ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საფრანგეთის დეპუტატთა პალატის დათხოვნა.
- ესპანეთი ბრუნდება ერთა ლიგაში.
- ნანკინის მოლაპარაკება ინგლისთან.
- ინგლის-სპარსეთის ურთიერთობა მწვავდება.
- არაბების მოძრაობა ინგლისის წინააღმდეგ ძლიერდება.
- ინდოეთის ნაციონალურმა კრებამ უარჰყო ხარჯები საიმონის კომისიის შესანახად.
- დაწვრილებითი ცნობები დონის ოლქში აღმოჩენილ კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულების შესახებ.
- სიცივეები და ქარბუქი შავი ზღვის სანაპიროებზე.

ოთხშაბათი, 21 მარტი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 66 (2109)

დღეს, მარტის 21, საღამოს 7 საათზე
შესდგება
სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
ს. ს. ცაკის სამდივნო

საკითხი ნათლად სდგას

განიარაღების მოსამზადებელ კომისიის სესიაში უკვე დაიწყო კამათი განიარაღების საბჭოთა პროექტის გარშემო. ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელ სესიის დროს იყო ცდა „არასადისკუსიოდ“ გამოეცხადებიათ საბჭოთა წინადადებები და ამნაირად გვერდი აევლოთ მათთვის, მაგრამ, როგორც სჩანს, იმპერიალისტებმა ამ მხრივ ვერ შესძლეს სრული შეთანხმების მიღწევა. და ეს, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ საბჭოთა პროექტის ასეთი აშკარა უარყოფა სავსებით ახდიდა ფარდას ჟენეველ „მშვიდობის მოყვარულთ“, იმათ თვალშიც, ვისაც კიდევ სჯერა, რომ მშვიდობიანობის განხორციელება მოსახერხებელია, ერთა ლიგის საშუალებით. შემდეგ: ასეთი პოზიცია კაპიტალისტურ მთავრობებისათვის მით უფრო სახიფათოა, რომ მრავალი მათგანი დღეს საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია, და პაციფისტური ჟესტები მათთვის აუცილებელია, როგორც საარჩევნო მანევრი. ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ცალკე იმპერიალისტურ სახელმწიფოებ შორის არსებული წინააღმდეგობანი საძნელოს ხდიან მათი ერთიანი ფრონტის შექმნას საბჭოთა მთავრობის მიმართ განიარაღების საკითხში, ისე როგორც ბევრ სხვა რამეში.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელი გარემოებით აიხსნება გამოსვლა გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლის ბერნსტორფის, რომელიც სიტყვიერად მაინც თანაგრძნობით ეკიდება და ვითომდა მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის მიერ წარდგენილ განიარაღების კონვენციის პროექტს. გერმანიის მთავრობის მიზანი ამ შემთხვევაში აშკარაა: ვერსალის „ზავით“ იმპერიალისტური გერმანია განიარაღებულია და ამიტომ საყოველთაო განიარაღების იდეის „დაცვით“ იგი თვითონ არაფერს კარგავს. გარდა იმისა, რომ ამით გერმანიის მთავრობა ლამობს მასსებში პოპულიარობის მოხვეჭას, თავისი ასეთი პოზიციით ფიქრობს შეიარაღების უფლების დაბრუნებას და იმპერიალიზმის ფართე გზაზე გამოსვლას. ან თქვენც განიარაღდით, ან მეც უნდა მქონდეს შეიარაღების საშუალებაო, — აი რას ეუბნება გერმანია თავის მოწინააღმდეგეთ. ხოლო რაკი მან კარგად იცის, რომ იმპერიალისტები განიარაღების გატარებაზე არასოდეს არ დასთანხმდებიან, იგი იმედოვნებს, რომ განიარაღების მომხრეობით მსოფლიო ომში გამარჯვებულ ქვეყნებს აიძულებს ერთგვარ დათმობაზე მათთან სამხედრო - პოლიტიკური მხრით გათანასწორების საქმეში. ამნაირად, გერმანიის პოზიცია, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ არის პრინციპიალური ხასიათის. არამედ გამომდინარეობს მისი, როგორც ომში დამარცხებულ ქვეყნის მდგომარეობიდან, ერთი მხრით, და მისი იმპერიალისტური ზრახვებიდან — მეორე მხრით.

არა მარტო გერმანია, არამედ ვერც ერთი სხვა იმპერიალისტური სახელმწიფო ვერ გაბედავს საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ პირდაპირ გალაშქრებას. თვით ლონდონი, რომელიც წარმომადგენელია უკიდურესი იმპერიალისტური ქვეყნის და საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერის — ინგლისის, — ეს ლონდონიც იძულებულია განიარაღების სესიაზე განაცხადოს, რომ „საბჭოთა პროექტის ზედმიწევნით შესწავლა მეტად საინტერესო და სასარგებლოა“-ო. ეს თვალთმაქცობა მოწმობს საბჭოთა წინადადებების უდიდეს მორალურ ძალას.

ამავე დროს ცხადია, რომ ამგვარი თვალთმაქცური განცხადებებით იმპერიალისტებს სურთ საყოველთაო განიარაღების საკითხის მიფუჩეჩება. უეჭველია, რომ ევროპიელი მთავრობები ბოლო დროს თავს იმტვრევენ იმაზე, თუ რა გზით უფრო მოახერხონ ეს, მაგრამ ისე კი, რომ თავი გაასაღონ მშვიდობიანობის მოციქულებად; ისინი „თანახმა“ არიან რომ საბჭოთა წინადადებები კარგია, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი მუშაობა თითქო მიმართულია განიარაღების განხორციელებისაკენ, მხოლოდ საჭიროა საბჭოთა პროექტის „საფუძვლიანი შესწავლა“, მისი კომისიაში დამუშავება და სხ. ჩვენ კი ვიცით, თუ რას ნიშნავს იმპერიალისტების ენაზე „საკითხის შესწავლა და კომისიაში მისი გადაცემა“, — ესაა საქმის დაუსრულებლივ გადადება. უდავოა, რომ ასეთი იქნება ჟენევაში ეხლა თავმოყრილ იმპერიალისტურ დიპლომატების დამოკიდებულება ჩვენი პროექტისადმი. ამასთან, ჩვენ კვლავ მოველით, რომ კაპიტალისტური პრესა განაახლებს განგაშს „საბჭოთა იმპერიალიზმზე“, ჩვენი წინადადებების „სააგიტაციო ხასიათზე“, და სხ., რომ ამ გზით ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო მისწრაფებებს, რომლებიც მკაფიოდ გამოხატულია მის მიერ წარდგენილ განიარაღების პროექტში.

მაგრამ ამგვარი ცდებისაგან არაფერი სიკეთე არ გამოვა იმპერიალისტებისათვის. ლაპარაკი განიარაღებაზე დიდი ხანია სწარმოებს. თვით საბჭოთა პროექტის შესასწავლად კაპიტალისტურ მთავრობებს საკმაოზე მეტი დრო ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ ეს პროექტი მეტად მარტივი და კონკრეტულია. განიარაღების სესიისათვის მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან მან უნდა უარყოს საბჭოთა პროექტი, ან უნდა მიიღოს ის, შუათანა, მიკიბულ - მოკიბული გამოსავალი აქედან შეუძლებელია. ამხ. ლიტვინოვმა საკითხი პირდაპირ დასვა: „თანახმაა თუ არა კომისია თავის მუშაობას საფუძვლად დაადვას საყოველთაო და სრული განიარაღების პრინციპი და განიარაღების პირველი ეტაპი გაატაროს ისეთი ანგარიშით, რომ ერთი წლის გავლის შემდეგ ომის წარმოება გაძნელდეს“. ამ, პირდაპირ და კონკრეტულად დასმულ კითხვაზე, ვიმეორებთ, შეუძლებელია პასუხის გაცემა ბუნდოვანი სიტყვიერებით. ჩვენ ვიცით, რომ რანაირიც არ უნდა იყოს ეს სიტყვიერება, იმპერიალისტების პასუხი უარყოფითი იქნება; ვინაიდან შეიარაღება და ომი —ეს თვით მათი ბუნებიდან გამომდინარეობს. ამით ისინი თავის მტაცებლურ ბუნებას საქვეყნოდ ამხელენ მშრომელ კაცობრიობის წინაშე, რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ჟენევაში, ეხლა მიმდინარე მოლაპარაკებას. აქედან მშრომელი მასები საჭირო დასკვნებს გააკეთებენ

კოოპერატიული დისციპლინის შესახებ

ჩვენს სამეურნეო მუშაობაში ჩვენ წავაწყდით ისეთ გარემოებას, რომელიც მეტის - მეტად აფერხებს სამეურნეო სიძნელეთა გადალახვას: ეს არის კოოპერატიული დისციპლინის უკიდურესი სისუსტე. კოოპერატიულ სისტემათა ცალკე ნაწილების უდისციპლინობის ფაქტებს, მეტადრე ქვედა ქსელში, წინათაც ვამჩნევდით; მაგრამ დაუდევრობისა და კოოპერაციისათვის უცხო ელემენტის გავლენის შემთხვევებს განსაკუთრებული სიმწვავით ჩვენ განვიცდიდით სიძნელეთა პირობებში. რევოლიუციის მეთერთმეტე წელიწადს ჩვენ უფლება გვაქვს, რომ ახლა უფრო გაცილებით მეტი მოთხოვნილება წაუყენოთ, ვიდრე წინათ, კოოპერაციის საქმიანობის მომწესრიგებელ და თვით კოოპერატიულ სისტემათა აპარატის ხელმძღვანელ ორგანოებს. ახლა სრულიად საკმარისი აღარ არის, რომ დავკმაყოფილდეთ საყვედურის გამოთქმას ამა თუ იმ ორგანიზაციების მიმართ და სხვადასხვა ნაწილობრივი ღონისძიებათა მიღებას. ახლა პირდაპირ უნდა დავაყენოთ შემდეგი საკითხები: რატომ ხდება, რომ კოოპერაციის ქვედა ქსელი დროზე და ზედმიწევნით არ აუღებს ხოლმე ალღოს ამა თუ იმ მოვლენებს, რომლებიც თავს იჩენენ ადგილობრივ ეკონომიკაში და, უმთავრესად, სოფლის ეკონომიკაში, რატომ არ არსებობს სრული რწმენა, რომ სახელმწიფოებრივი საჭიროების მოსაზრებით ნაკარნახევი და მშრომელი კლასების ძირითადი მასსებისათვის ხელსაყრელი ღონისძიებანი დროზე და ზედმიწევნით იქნება შესრულებული?

ერთ - ერთ სერიოზულ დაბრკოლებას, რომელიც ხელს უშლის კოოპერატიული რგოლების შეღწევას ცენტრებთან, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქსელის მომარაგება საქონლით დროზე ვერ ხდება, ირღვევა მომარაგების გეგმა, დამაკმაყოფილებელი ვერაა გამსაღებელი ოპერაციების ჩატარება და კრედიტების [illegible] განიცდიან. თვითეული დასახელებული ნაკლი, პირველ ყოვლისა, ძირს უთხრის კოოპერატიულ სისტემათა რგოლების ურთიერთ მატერიალურ დაინტერესებას და თვით დისციპლინის ბაზისსაც; ვინაიდან თვითეული რგოლის მატერიალურად დაინტერესება გულისხმობს კოოპერატივების წევრთა რეალურ ინტერესებს. თუ კოოპერატივმა იცის, რომ ობიექტიურ ხასიათის პირობების გამო მას არ შეიძლება მიეცეს იმდენი საქონელი, რამდენის მოხმარებაც შეუძლია მოსახლეობას, ის მუშაობს არსებულ შესაძლებლობათა მასშტაბით. მაგრამ თუ მიწოდების დეფექტების გამო ის ღებულობს ნაკლებ საქონელს და კრედიტებს ან მეტ საქონელს და მცირე კრედიტებს, მისთვის დისციპლინის მოთხოვნა ძნელია, ვინაიდან ამ შემთხვევაში ირღვევა მუშაობის მთელი გეგმა და გეზი.

რომ კოოპერატიულ ორგანიზაციების სათავეში იდგენ მეტი პოლიტიკური და ტეხნიკური კვალიფიკაციის მქონე კადრები, უეჭველია, რომ ჩვენ ბევრად უფრო ადვილად დავსძლევთ იმ მრავალ დაბრკოლებებს, რომლებიც აუცილებელია სოციალისტური აღმშენებლობის ახალი და არაჩვეულებრივად რთულ საქმეში. კოოპერატიულ კადრების შექმნის საქმეში ჩვენ კუს ნაბიჯით მივიწევთ წინ, აგრეთვე მოსახლეობის პოლიტიკურ და კოოპერატიულ ცოდნის აწევის საქმეში. კოოპერაციის საგანმანათლებლო და კულტურული მუშაობა ჯერ კიდევ ძლიერ სუსტად არის განვითარებული. ყველა კოოპერატიული ორგანიზაციები ვერ უწყობენ აქტიურად ხელს ახალ კადრების შექმნას და არსებულ კადრების გადამზადებას. ყველას არ ესმის, რომ ახალ კადრების დაწინაურების ძირითად და უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მოსახლეობის კულტურულ დონის და მისი კოოპერატიულ ცოდნის აწევა. თუ განვიხილავთ კოოპერაციის მუშაობის მოწესრიგების საკითხებს, აქ უწინარეს ყოვლისა თვალში გვეცემა მოწესრიგების ორგანოების და ფორმების სიმრავლე. მომწესრიგებელ აპარატების ამ სიმრავლესთან შეუფარდებელია პარტიულ ორგანოების შედარებით სუსტი კავშირი კოოპერაციასთან.

განა შესაძლებელი იქნებოდა ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის ძირითად პრინციპების ისეთი გადამახინჯება, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სამეურნეო დაბრკოლებებთან ბრძოლის პროცესში, რომ ეს ორგანიზაციები უფრო ახლოს მდგარიყვნენ კოოპერაციასთან და უფრო დაინტერესებული ყოფილიყვნენ კოოპერაციის მუშაობით?

დასასრულ, დისციპლინის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად უნდა აღინიშნოს მუშაობის მოწესრიგება კოოპერაციის შიგნით, ე. ი. თვითეულ კოოპერატიულ ცენტრის და კავშირის მიერ თავისი ქსელის მუშაობის მოწესრიგება. ჩვენ აქ იმის მოწმე ვართ, რომ ნებაყოფლობითი მუშაობა ესმით, როგორც უთავბოლობა და ანარქია. უნდა ითქვას, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებშიაც კი, სადაც კოოპერაცია მუშაობს კონკურენციის პირობებში, სადაც მუშათა კოოპერაცია მტრულად არის განწყობილი გლეხთა კოოპერაციისადმი და მუშათა კოოპერატივებიც კი ებრძვიან ერთმანეთს, იქაც კი არ ესმით დისციპლინა ისე ფართოდ, როგორც ჩვენში.

კერძო შემსყიდველისა და კულაკის დამარცხება, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტების განდევნა უკანასკნელ თავშესაფარიდან, სადაც ისინი გაფთრებით დაიცავენ თავს, შეუძლებელია მოშლილი რაზმის შეტევით.

უნდა სერიოზულად იქნას გადასინჯული შინაკოოპერატიულ მოწესრიგების საკითხები, რათა ნამდვილად იქნას უზრუნველყოფილი მჭიდრო კავშირი ყოველ კოოპერატიულ სისტემის საფეხურებს შორის.

კოოპერატიული დისციპლინა — ეს არ არის ბიუროკრატიული დაქვემდებარება. არაფერი არ იქნებოდა იმაზე უარესი, რომ ვინმეს აზრად მოსვლოდა კოოპერაციაში სამხედრო ყაიდის ბრძანებების შემოღება და დარღვევა აღმშენებლობის ნებაყოფლობისა, რომელიც ჩვენ გვესმის, როგორც მასების აქტიური და თვითშემოქმედი მონაწილეობა სოციალიზმის აღმშენებლობაში.

კოოპერატიული დისციპლინა უნდა განმტკიცებულ იქნას მთელ რიგ გეგმიან სამეურნეო და კულტურულ ღონისძიებათა საფუძველზე.

ჩვენ გვესაჭიროება კოოპერატიულ სისტემების განმტკიცება, რათა განვახორციელოთ ლენინის ანდერძი მთელი გლეხურ წარმოების კოოპერატიულად შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის შესახებ, რათა განვამტკიცოთ კოოპერატიულად დარაზმული მასების კავშირი პარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან და წარმატებით ვაშენოთ სოციალიზმი.

„პრავდა“, 20 მარტი.

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა განიარაღების საბჭოთა პროექტის დასაცავად

საბჭოთა კავშირის დელეგაცია მოითხოვს გარკვეულ პასუხს

გერმანიისა და თურქეთის დელეგაციები ესალმებიან საბჭოთა წინადადებებს

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში

ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა

ჟენევა, 19 მარტი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე 19 მარტს კენჭი ეყარა რეზოლიუციას უშიშროებისა და არბიტრაჟის კომიტეტის მუშაობის შესახებ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ სხდომა ცნობად იღებს კომიტეტის მუშაობის შედეგებს და ამტკიცებს შემდგომი მუშაობის გეგმას. რეზოლიუცია მიღებულ იქნა უკამათოდ. ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარე ტევფიკ რუშდი-ბეი აცხადებს, რომ „ოსმალეთი მზად არის მიიღოს მონაწილეობა მუშაობაში, რომელსაც მიზნად აქვს ომის საფრთხის აცილება. ეხლანდელ საერთაშორისო პირობებში არ შეიძლება ვიოცნებოთ იდეალურ უშიშროების შესახებ და უნდა დავკმაყოფილდეთ შედარებითი უშიშროებით, რომელიც შეიძლება დაამყაროს ხელშეკრულებებმა თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ“.

ტევფიკ რუშდი-ბეი წინადადებას იძლევა შესწავლილ იქნას ამგვარი ტიპის ხელშეკრულებანი.

კომისია გადადის განიარაღების საბჭოთა პროექტის განხილვაზე. სიტყვა ეძლევა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარეს ამხ. ლიტვინოვს, რომელიც აცხადებს:

„საბჭოთა კონვენციის პროექტი განიარაღების შესახებ სავსებით არის დამყარებული იმ პრინციპებზე, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა მოსამზადებელი კომისიის ნოემბრის სესიაზე. მოსამზადებელი კომისიის მეოთხე სესიაზე სერიოზულად არ ყოფილა განხილული საბჭოთა წინადადებები. არც ერთი არგუმენტი არ ყოფილა წამოყენებული საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ. უარის თქმა ჩვენ მიერ შეტანილ წინადადებათა განხილვაზე შეიძლებოდა აგვეხსნა ამ წინადადებათა სიახლით. მართალია, სესიაზე შეეცადნენ უარეყოთ ჩვენი პროექტების სიახლე, ამასთანავე მიუთითებდნენ ნორვეგიის პროექტებზე, რომელიც ვითომდა ჩვენი პროექტის მსგავსია, მაგრამ შედროვილ მასალებში მე ვერ აღმოვაჩინე ისეთი წინადადების კვალი, რომელიც შეიცავდეს საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმას. 1924 წელში ნორვეგიის დელეგაცია ლაპარაკობდა, რომ სურვილებზე, რომლებიც საპარლამენტოთაშორისო კომიტეტმა გამოსთქვა სამხედრო ბიუჯეტის ნახევრად შემცირების შესახებ 10 წლის განმავლობაში. ამასთანავე ამ განცხადებას ურთავდნენ სხვადასხვა შენიშვნებს, რომლებიც ქვეცავდა მათ მნიშვნელობას.

დანიის დელეგაციამ გამოსთქვა სურვილი, რომ ყველა ქვეყნების სახმელეთო ძალები შემცირებულიყო შემდეგი ანგარიშით: 5,000 ჯარისკაცი ერთ მილიონ მცხოვრებზე, ხოლო საზღვაო ძალები უნდა შემცირებულიყო შემდეგი ანგარიშით: 2,000 ან 4,000 ტონა ერთ მილიონ მცხოვრებზე. ამ ანგარიშის მიხედვით, საბჭოთა კავშირს შეეძლო ჰყოლოდა არმია 785,000 კაცის შემადგენლობით, ესე იგი ეხლანდელი არმიის რაოდენობა შეეძლო გაედიდებია 175.000 კაცით. ასეთია ყველაზე უფრო რადიკალური აზრები, რომლებიც ერთა ლიგაში გამოსთქვეს განიარაღების შესახებ. **შეიძლება უდავოდ ჩავთვალოთ, რომ წინადადება სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ შეტანილია პირველად. საბჭოთა კავშირი ამაყობს და ყოველთვის იამაყებს, რომ ამის ინიციატივა მხოლოდ მას ეკუთვნის.** საბჭოთა დელეგაცია სცდილობდა დაეჩქარებია პროექტის განხილვა, მაგრამ მხედველობაში იღებდა რა იმ გარემოებას, რომ მის მიერ წარდგენილი წინადადებები ახალია და კომისიის წევრებს აუცილებლად უნდა მიეცეს საშუალება მოემზადონ მისი სერიოზული განხილვისათვის, საბჭოთა დელეგაცია დასთანხმდა იმაზე, რომ ამ წინადადებათა განხილვა გადატანილიყო ეხლანდელ სესიაზე. საბჭოთა დელეგაცია, ყოველგვარი საშუალებით შეეცადა რა გაეადვილებია საქმიანი განხილვის პირობები, მოითხოვს თავის წინადადებათა დაჩქარებით განხილვას, **ვინაიდან მხოლოდ საყოველთაო და ერთდროული განიარაღების განხორციელება მოგვცემს საშუალებას გადავწყვიტოთ საყოველთაო უშიშროებისა და მშვიდობიანობის პრობლემა.** საბჭოთა დელეგაციის მიერ განსახილველად წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს ერთ ორგანიულ მთლიანს, რომელიც გამსჭვალულია ერთი იდეით და ამიტომ საჭიროებს საფუძვლიან განხილვას და ძირითადი პრინციპის მიღებას. გამოდის რა აქედან, **დელეგაცია მოითხოვს პასუხს: იღებს თუ არა კომისია საყოველთაო განიარაღების პრინციპს, პროექტში აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, და აგრეთვე იღებს თუ არა კომისია წინადადებას განიარაღების ისეთი ტემპის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის ომს ერთი წლის გავლის შემდეგ.** მოსამზადებელი კომისიის მეოთხე სესიის შემდეგი დროის (სამი თვის) განმავლობაში **დელეგაცია დარწმუნდა, რომ სრული განიარაღების იდეას ენტუზიაზმით ხვდებიან მთელი მსოფლიოს ფართო მასები. ამას მოწმობს ჩემ მიერ მიღებული მრავალი მიმართვები და რეზოლიუციები, რომლებშიაც მუშათა პარტიები და მსოფლიოს ყველა ნაწილების მრავალი ორგანიზაციები და საზოგადოებები გამოსთქვამენ თანაგრძნობას სრული განიარაღების პრინციპისადმი.**

გუშინ მე მივიღე 184 ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელიც გამოგზავნილია მრავალი მილიონი წევრის სახელით. საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ მისი წინადადებანი მისაღებია მოსახლეობის ფართო მასებისათვის, რომელნიც ფიქრობენ, რომ ეხლა საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებულია მხოლოდ მთავრობებზე.

ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ შეუდგეთ განიარაღების წინადადების საქმიან განხილვას. ლაპარაკი განიარაღების შესახებ საკმაოდ ბევრი იყო, ვინაიდან მხოლოდ საერთო კრებებმა და აგრეთვე ერთა ლიგამ განიარაღების საკითხზე გამოიტანა 111 რეზოლიუცია. საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ დროა ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას. საბჭოთა მთავრობა, რომელსაც დასახული აქვს უდიდესი ამოცანა — უზარმაზარი სახელმწიფოს აგება სრულიად ახალ საფუძველზე, და რომელიც მუშაობს მთელი დანარჩენი მსოფლიოს მხრივ აშკარა ხელის შეშლის და წინააღმდეგობის პირობებში, არ მოსცდებოდა თავის მუშაობას, რომ საბჭოთა კავშირი სერიოზულად არ ეკიდებოდეს მშვიდობიანობის პრობლემას, რომლის განხორციელება წარმოადგენს მისი პოლიტიკის საფუძველს. ჩვენ ვიცით, რომ არასერიოზული ხალხი ისეთ პოზას იღებს, რომ ვითომც წინააღმდეგობას ხედავენ საბჭოთა მთავრობის წინადადებებსა და წითელი არმიის არსებობის ფაქტს შორის. კავშირის მოსახლეობისა და საზღვრების სივრცის პროპორციონალობის მიხედვით, საბჭოთა კავშირს ჰყავს ნაკლები არმია, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სდგას **მთელი დანარჩენი მსოფლიო.** მრავალ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ უცვნია საბჭოთა მთავრობა, რაიც მტრული განწყობილების აქტს წარმოადგენს. მრავალი სახელმწიფოები, რომლებმაც იცნეს საბჭოთა ქვეყანა, სდგამენ ისეთ ნაბიჯებს საბჭოთა კავშირის მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის მოყვარეობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენს. საბჭოთა მთავრობამ თავის ტერიტორიაზე იხილა უცხოეთის ჯარები; ტერიტორია, რომლის მოსახლეობა აშკარად მიილტვის საბჭოთა კავშირისაკენ, დღემდე ისევ დაპყრობილია უცხოეთის ჯარების მიერ, მაგრამ მიუხედავად ამისა, **საბჭოთა კავშირი მზად არის თავისი შეიარაღებული ძალები გააუქმოს მაშინვე, როგორც კი ამგვარ გადაწყვეტილებას განახორციელებენ დანარჩენი სახელმწიფოები. საბჭოთა მთავრობა ეკითხება დანარჩენ სახელმწიფოებს: მზად არიან თუ არა ისინი?**

საბჭოთა მთავრობა პასუხს ელის ეხლანდელ სესიაზე. ჩვენი ძირითადი კითხვები შემდეგია: თანახმაა თუ არა მოსამზადებელი კომისია თავის მუშაობას საფუძვლად დაუდოს საყოველთაო და სრული განიარაღების პრინციპი და გაატაროს განიარაღების პირველი ეტაპი იმ ანგარიშით, რომ ერთი წლის გავლის შემდეგ გაძნელდეს ომის დაწყება.

საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ ყველა აქ მყოფ დელეგაციებს შეგნებული აქვთ თავისი გადაწყვეტილების პასუხისმგებლობა (ადს).

გერმანიის წარმომადგენლის გამოსვლა

ჟენევა, 19 მარტი. ლიტვინოვის სიტყვის შემდეგ, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, გერმანიის დელეგაციის სახელით გამოვიდა ბერნსტორფი, როგორც ბერნსტორფმა განაცხადა, მოსამზადებელი კომისიის ჯერ კიდევ წინანდელ სესიაზე, გერმანიის დელეგაციამ აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების იმ ნორმამდე შემცირებას, რომელიც საჭიროა შინაური უშიშროების დასაცავად, ითვალისწინებდა ჯერ კიდევ ვილსონის პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთა ლიგამ განიარაღების საკითხში ძალიან ცოტა რამ გააკეთა. საბჭოთა წინადადებას ახალი იმპულსი შეუძლია მისცეს მოსამზადებელი კომისიის მუშაობას, ვინაიდან ის სრულიად გარკვეულ მიუთითებს იმ საბოლოო მიზანზე, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს კომისია, გერმანიის დელეგაცია მხურვალედ მიესალმება საბჭოთა კავშირის წინადადებას. ბერნსტორფი აცხადებს, რომ მან ყურადღებით შეისწავლა საბჭოთა კავშირის წინადადება და მასში ჰპოვა მეტად საინტერესო იდეები, რომლებიც შეიძლება მეტად სასარგებლო იქნეს მოსამზადებელი კომისიის მუშაობისათვის.

„საბჭოთა კავშირის წინადადება,—ამბობს შემდეგ ბერნსტორფი,— აგებულია თანდათანობითი განიარაღების იდეაზე ისე, რომ საახსნი ეტაპები რაც შეიძლება ხანმოკლე იქნეს“.

ბერნსტორფს საჭიროდ მიაჩნია, რომ მანძილი განიარაღების სტადიებს შორის რაც შეიძლება მოკლე დარჩეს. გერმანიის დელეგაცია სავსებით იზიარებს იმ აზრს, რომ განიარაღების პირველი ეტაპი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს პრაქტიკულ შედეგებს, თუ პირველ პერიოდში ნამდვილად განხორციელდება შეიარაღების შემცირება.

შემდეგ ბერნსტორფი აცხადებს, რომ გერმანიის დელეგაცია სავსებით ეთანხმება აგრეთვე საბჭოთა კავშირის წინადადებას—მოსპობილ იქნას აუცილებლად პირველ პერიოდში ის საშუალებები, რომლებიც ემსახურება აგრესიულ ომის მიზნებს და მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ.

ბერნსტორფს წინადადება შეაქვს დეტალურად შეისწავლონ საბჭოთა კავშირის წინადადება და საქმის დაუყოვნებლივ განიარაღების კონფერენციის ან პროექტის მომზადება, რომელიც შემუშავებულია მოსამზადებელი კომისიის მიერ და რომელიც უნდა განიხილოს სესიამ. ბერნსტორფი მხარს უჭერს ლიტვინოვის წინადადებას დაუყოვნებლივ დაინიშნოს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ვადა,

ტევფიკ რუშდი-ბეის გამოსვლა

შემდეგ გამოვიდა თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე ტევფიკ რუშდი-ბეი, რომელმაც განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციამ თავისი წინადადებით საყოველთაო განიარაღების შესახებ დაამტკიცა მშვიდობიანობის იდეასადმი ერთგულება. თურქეთს თავის მოვალეობად მიაჩნია მიიღოს მონაწილეობა იმ მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს ბოლოს მოუღოს იმას. ტევფიკ რუშდი-ბეი მოითხოვს, რომ საბჭოთა დელეგაციის პროექტი განიხილოს მოსამზადებელი კომისიის პლენარულმა სხდომამ.

კომისიის თავმჯდომარე ლოუდონი აცხადებს, რომ შემოსულია წინადადება გადაიდოს კამათი ხვალინდელ დღემდე. წინადადება მიღებულია. (ადს).

ინგლის-სპარსეთის ურთიერთობა

ინგლისელების ძალადობა ხენგამში

თეირანი, 19 მარტი. ხენგამიდან იუწყებიან, რომ ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის მმართველმა დაიბარა სპარსელი კულიში და გასცა ბრძანება მისი გაწკეპლის შესახებ. იმის გამო, რომ მან ნებადაურთველად „ბარიდა“ ქოხის აშენება ინგლისის საკონცესიო ტერიტორიის ახლო. სპარსელის შეცურად დასჯის შესახებ მიიღეს ცნობა სპარსეთის ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, ინგლისის კონსული სპეციალურად ჩავიდა ხენგამში, რათა დაენგრია სპარსელის ქოხი და გადაესახლებია კულიში ხენგამიდან. კულიში ითხოვა, რომ მისთვის მიეცათ ერთი დღის ვადა მაინც. მაგრამ გამხეცებულმა ინგლისელმა კონსულმა ამაზე უარი უთხრა. ამ ინციდენტის შესახებ ხელმეორედ მიიღეს ცნობა სპარსეთის ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა, რომლებმაც მოსთხოვეს კონსულს ახსნა-განმარტება მისი უკანონო მოქმედების გამო. ამის საპასუხოდ კონსულმა წერილით აღნიშნა, რომ კულიში ინგლისის საკონსულოს ნებადაურთველად ააგო სახლი კონცესიის რაიონში.

კონსულის წერილის შინაარსიდან სჩანს, რომ ინგლისელები მთელ ხენგამს სთვლიან თავის კონცესიად, ვინაიდან ინგლისელ კონსულის მიერ დანგრეული სახლი დაშორებული იყო კონცესიიდან. (ადს).

სპარსელები ირაქში

თეირანი, 19 მარტი. ირაქის ხელისუფლებამ და ინგლისის მოხელეებმა სპარსეთის კონსულს ბასრაში წარუდგინეს მოთხოვნილება სპარსეთის ქვეშევრდომებისათვის პასპორტების გაცემის შეწყვეტის შესახებ. ვინაიდან პასპორტების გაცემის შეწყვეტა მათ ვერ მოახერხეს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ რეპრესიები დაიწყო იმ პირების მიმართ, რომლებიც ღებულობდნენ პასპორტებს. რეპრესიები გამოიხატებოდა დაჯარიმებაში და ზოგჯერ ცემაშიაც კი. იმ პირებს, რომლებსაც პასპორტები არ აუღიათ, ირაქის ხელისუფლება აიძულებს აიღონ ირაქის პასპორ-

მდგომარეობა ჩინეთში

ნანკინელები ინგლისელებს უთანხმდებიან

ტოკიო, 19 მარტი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, შეთანხმება, რომელიც შეიმუშავა ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრმა ხუან-ფუმ და ინგლისის ელჩმა ჩინეთში მაილს ლემპსონმა, შემდეგში მდგომარეობს: ინგლისი აღიარებს, რომ ნანკინის ინციდენტი გამოწვეულია კომუნისტების მოქმედებით და მაშასადამე ინგლისის მთავრობა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს ამის გამო, შეთანხმებამ ნანკინსა და ინგლისს შორის არ უნდა დაარღვიოს ჩინეთის დამოუკიდებლობა, საკითხი ზარალის ანაზღაურების შესახებ უნდა გამოიკვლიოს გაერთიანებულმა კომისიამ, რომელიც უნდა შესდგეს ინგლისის და ნანკინის წარმომადგენლებისაგან (ადს).

მუკდენელების დამარცხება

შანხაი, 19 მარტი. მუკდენის ჯარებმა, რომლებიც გადავიდნენ შეტევაზე შანსის პროვინციის გუბერნატორის ენ-სი-შანის წინააღმდეგ, დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. (ადს)

წითლების ოპერაცია

შანხაი, 19 მარტი. კანტონიდან იუწყებიან, რომ კომუნისტურმა რაზმებმა აიღეს ქალაქი გულინი, რომელიც მდებარეობს გუანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში და სვატოუს სამხრეთით. (ადს).

ამერიკის სანაოსნო კამპანიის ბოიკოტი

შანხაი, 19 მარტი. ჩინეთში (ნაციონალისტური მდინარე თაიცზიანზე) ამერიკის სანაოსნო კამპანია „როიპინგს“ ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოიკოტი გამოიწვია გემის ადმინისტრაციის მოქმედებამ—ადმინისტრაციამ აიძულა გადმოსხმა ჩინელი მგზავრები გემიდან. მგზავრების ძალით გადმოსხმის დროს დაიხრჩო 10 ჩინელი. (ადს).

ნანკინის ინციდენტი „მოგვარებულია“

შანხაი, 19 მარტი. მოლაპარაკება ნანკინის ინციდენტის გამო დამთავრებულია. ნანკინის მთავრობა დასთანხმდა აანაზღაუროს უცხოელ ქვეშევრდომებისათვის ნანკინში მიყენებული ზარალი. თანხის რაოდენობას გამოარკვევს შერეული კომისია. ნანკინის მთავრობა თანახმაა დასაჯოს ინციდენტში დამნაშავე და გამოაქვეყნოს ბრძანება ლი-ცზუნ-ფანის დაპატიმრების შესახებ (ლი-ცზუნ-ფანი იყო ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს ნაციონალისტური არმიის მე-6 კორპუსის პოლიტგანყოფილების უფროსი). ლი-ცზუნ-ფანს უცხო სახელმწიფოები სთვლიან მთავარ დამნაშავედ ინციდენტში. ამას გარდა ნანკინის მთავრობამ უნდა მოიხადოს ბოდიში. (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

პილსუდსკი დღესასწაულობს სახელწოდების დღეს.

ვარშავა, 19 მარტი. დაიწყო დღესასწაული პილსუდსკის სახელწოდების დღის აღსანიშნავად. დღესასწაულს განსაკუთრებული ზეიმის ხასიათი აქვს. გაიმართა მთელი რიგი საზეიმო კრებები, მანიფესტაციები და სხვა. მთელი პრესა მიძღვნილია დღესასწაულისადმი.

ესპანეთის დაბრუნება

ერთა ლიგაში

ბერლინი, 19 მარტი. ესპანეთის დაბრუნება ერთა ლიგაში გამორკვეულ საქმედ მიაჩნიათ. ხმებია, რომ ესპანეთის წარმომადგენლად ერთა ლიგაში იქნება ესპანეთის ელჩი პარიზში კვინონიეზ დე ლეონ.

შენიშვნა: ესპანეთი ერთა ლიგიდან გამოვიდა 1926 წ. იმის გამო, რომ მას ერთა ლიგის საბჭოში არ დაუთმეს მუდმივი ადგილი.

ფადიშაჰი პორტსმუტში

ლონდონი, 19 მარტი. 19 მარტს ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა ჩავიდა პორტსმუტში, სადაც შესდგება ფლოტის დათვალიერება. ფადიშაჰი პორტსმუტში ყოფნის დროს გაისეირნებს წყალქვეშა ნავით (ადს).

გლეხთა აჯანყება

კუნძულ კრიტაზე

ვენა, 19 მარტი. ათინიდან მიღებულ ცნობებით, მდგომარეობა კუნძულ კრიტაზე კვლავ გამწვავებულია. მღელვარება გლეხებს შორის, რომლებიც აღშფოთებულნი არიან გადასახადების გადიდებით, ავტონომისტური მოძრაობის ფორმას იღებს. მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი კაპიტანი სილკოსი დაპატიმრებულია, იგი წაიყვანეს ათინაში და პასუხისგებაში მისცეს. მას ბრალად სდებენ სახელმწიფო ღალატს. მოსალოდნელია სხვა პირთა დაპატიმრებაც (ადს).

ანტი-ინგლისური მოძრაობა არაბეთში

ქაბული, 19 მარტი. „ინდუსტან ტაიმს“-ის ცნობით 18.000 ვახაბიტმა (არაბთა დამოუკიდებელი ტომი), თავი მოიყარა ტებუქში (არაბეთის ჩრდილო-დასავლეთი) ხაში დღის სავალ მანძილზე მაანიდან.

გაზეთის ცნობებით, ვახაბიტები აპირებენ მაანის და აკაბას სადგურების დაკავებას. ეს ქალაქები მდებარეობს ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მყოფ ტრანსიორდანიაში. არაბების მოძრაობა გამოწვეულია ინგლისელების მოქმედებით, ვინაიდან ინგლისელები სცდილობენ გაავრცელონ თავისი გავლენა დამოუკიდებელ ტომების ტერიტორიაზე. (ადს).

„ზინოვიევის წერილი“-ს გარშემო

ლონდონი, 20 მარტი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თემთა პალატის დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა მაკდონალდი მუშათა პარტიის რეზოლიუციის დასაცავად. მაკდონალდმა განაცხადა, რომ „ზინოვიევის წერილი“ წარმოადგენს პოლიტიკურ შანტაჟს, რომლის მსგავს მოვლენას ინგლისის პოლიტიკურ ისტორიაში არ ჰქონია ადგილი. გადაჭრით უარყოფს რა ბრალდებას, რომ ის თითქოს შეგნებულად ხელს უშლიდა „ზინოვიევის წერილის“ გამოქვეყნებას, მაკდონალდი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ თვეებში ბერლინსა და პარიზში მოხდა ისეთი ამბები, რომლებიც ცხადათ ადასტურებენ, რომ იმ ხანებში ევროპის ყოველი ქვეყანა ავსილი იყო ყალბი დოკუმენტებით. გარდა ამისა, ამას წინად ამერიკაში ირჩეოდა საქმე, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ამერიკის მთავრობის მუშაკებიც მოტყუებული აღმოჩნდნენ ამგვარადვე. ის ფაქტი, რომ მთავრობა ხელისუფლების სათავეში მოექცა ასეთი ხასიათის საშუალებებით, დიდათ სცხებს ჩირქს თანამედროვე არჩევნების დემოკრატიულ პრინციპებს. საზოგადოება მოითხოვს, რომ ის დაცული იქნეს ასეთი მოვლენებისაგან. თუ „დეილი მეილ“-ის ყოფილი რედაქტორის მოთხრობა იმის შესახებ, როგორ ჩაუვარდა მას ხელში „ზინოვიევის წერილი“ სწორია, მაშინ ეს, —მაკდონალდის სიტყვით,—გადაჭრით ამტკიცებს იმას, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ქაღალდები სახელმწიფო დაწესებულებებიდან სისტემატიურად ხელში უვარდებოდათ ზოგიერთ გაზეთების რედაქციებს.

მაკდონალდის საპასუხოდ მთავრობის სახელით გამოვიდა პრემიერი ბოლდუინი, შეეხო რა საიდუმლო დოკუმენტების დაკარგვის საკითხს, ბოლდუინი ამტკიცებდა, რომ „ზინოვიევის წერილზე“ ინგლისის კომპარტიის აღმასკომს მსჯელობა ჰქონდა ჯერ კიდევ 1924 წ. 10 ოქტომბერს. ბოლდუინის სიტყვით, ისტორიამ მას ასწავლა, რომ თუ ვინმე მოღალატეა თავისი საკუთარი ქვეყნის,—ის მოღალატე ხდება სხვა ქვეყნის მიმართაც, ოპოზიცია ბოლდუინის სიტყვას აწყვეტინებს პროტესტებით. სპიკერი ჰკიცხავს მუშათა პარტიის დეპუტატებს იმის გამო, რომ მათ შემოაქვთ რეზოლიუცია და სურთ მოისმინონ პასუხი მასზე.

მუშათა პარტიის დეპუტატი ვილიამსი უპასუხებს, რომ მათ უხდებათ სრული სიყალბის მოსმენა. სპიკერი წინადადებას აძლევს ვილიამს უკანვე წაიღოს თავისი სიტყვები და რადგან ვილიამსი უარს აცხადებს, ამიტომ სპიკერი წინადადებას აძლევს მას დასტოვოს დარბაზი. ვილიამსი ემორჩილება.

შემდეგ ბოლდუინმა განაცხადა, თითქოს ინგლისის მთავრობის განკარგულებაში არსებულ ცნობების მიხედვით, ჩიჩერინმა მოსკოვში თავის კოლეგებს უთხრა, რომ ის შეეკითხა „ზინოვიევის წერილის“ შესახებ და ზინოვიევმა თითქოს აღიარა, რომ ის გაეგზავნა ინგლისის კომპარტიას, მაგრამ გაკვირვებული იყო, თუ როგორ მოახერხა ინგ. მთავრობამ წერილის ასლის მიღება, ზინოვიევმა ეს ახსნა გამცემლობით, რომელსაც ადგილი ექნებოდა მოსკოვში ან ლონდონში. ზინოვიევმა თითქოს მიუთითა, რომ გამოქვეყნებული ტექსტი ზოგან დამახინჯებულია, მაგრამ ჩიჩერინმა შენიშნა, რომ არ შეიძლება ამაში ბრალი დაედოთ ინგლისის მთავრობას, ვინაიდან ეს იმას უდრის, რომ ჩვენ ვსცნობთ წერილის სინამდვილეს და ერთად ერთი გამოსავალია გამოვაცხადოთ, რომ წერილი ყალბია. დაახლოვებით ერთი თვის შემდეგ, ჩიჩერინმა თავის კოლეგებს აცნობა, რომ წერილის ორიგინალი მოსპობილია და საბჭოთა მთავრობას შეუძლია მოითხოვოს საქმის გამოძიება, ვინაიდან წერილის ორიგინალის წარმოდგენა შეუძლებელია. წერილის გამოქვეყნების შემდეგ მოსკოვში დააპატიმრეს ერთი რუსი, რომლის შესახებაც საბჭოთა მთავრობას ეჭვი ჰქონდა, რომ სწორედ მან გასცა წერილის ასლი. ეს კაცი დახვრიტეს. განაგრძობს რა ახსნა-განმარტებას, ბოლდუინი აცხადებს, რომ ის უარს ამბობს გამოძიების დანიშვნაზე, ვინაიდან ინგლისის არც ერთი სახელმწიფო საიდუმლოება ამ საქმეში არაა გაცემული და ინგლისის ხალხის მიმართ არავითარი ბოროტმოქმედება არაა ჩადენილი. შემდეგ ბოლდუინი ამბობს რომ დოკუმენტი, რომლის შესახებაც ლაპარაკია ამ შემთხვევაში, დაიკარგა არა ოფიციალურ წრეებში, არამედ ლონდონის კერძო წრეებში.

ცნობები დოკუმენტის შესახებ ჩაუვარდა ხელში სიტის ერთ-ერთ ჯენტლმენს, რომელმაც გადმოსცა მის შესახებ 48 საათის წინ მანამდე, სანამ ცნობები მასზე მიაღწევდა მთავრობამდე. ბოლდუინი აქვეყნებს ამ პიროვნების განცხადებას მისივე თანხმობით. ამ განცხადების შინაარსი, რომელიც ხელმოწერილია ვინმე მტერნის მიერ, დაახლოვებით ასეთია: „1924 წლის 8 ოქტომბერს მე შევხვდი ლონდონში ჯენტლმენს, რომელთანაც წინათ მე ვაწარმოებდი საქმეებს და რომელიც დაახლოვებულია ინგლისის კომუნისტურ წრეებთან. ეს პიროვნება არ ირიცხებოდა ინგლისის სახელმწიფო სამსახურში. მას შემდეგ, როცა ჩვენ დავამთავრეთ ლაპარაკი ჩვენს საქმეზე, მან სთქვა, რომ მისი ცნობების თანახმად, ინგლისში მიღებულია მოსკოვიდან ულტრარევოლიუციური წერილი, გამოგზავნილი კომუნისტური პარტიის ცენტრალურ დაწესებულების სახელზე ერთი პიროვნების მიერ, რომელსაც ჰქვიან ზინოვიევი. მე ვსთხოვე მას ეშოვნა ჩემთვის ამ წერილის სრული ტექსტი, რაც მან შეასრულა მეორე დღესვე. წერილის წაკითხვის შემდეგ მე ამაშფოთა მოსკოვის გეგმამ ამბოხების მოწყობის შესახებ ჩვენს არმიასა და ფლოტში. ამიტომ მე გადავწყვიტე მეცნობებინა ეს ფაქტები სათანადო სამინისტროებისათვის და მიღებული ინფორმაცია გადამეცა პრესის საშუალებით ინგლისელ ამომრჩევლებისათვის მას შემდეგ, როცა ჩემი ინფორმატორი მოათავებდა თავის საქმეს და წავიდოდა უშიშარ ადგილას, რადგან იგი მარწმუნებდა მე, რომ მას სიცოცხლეს მოელის საფრთხე.

როდესაც ყოველივე სამზადისი ჩემი ინფორმატორის დასაცავად მოგვარებულ იქნა, მე გადავეცი წერილი არა პირდაპირ „დეილი მეილი“-ს რედაქციას, არამედ სანდო პირს ჩემ მეგობრებიდან, რომელიც, როგორც მე ვიცოდი, დაახლოვებული იყო ხსენებულ გაზეთთან და ვთხოვე მოეგვარებინა საქმე ამ დოკუმენტის გამოსაქვეყნებლად“.

დასასრულ ბოლდუინმა განაცხადა, რომ თუ მაკდონალდს თვითონ უნდოდა „ზინოვიევის წერილი“-ს გამოქვეყნება ან და თუ იგი ამ საქმეში გაფრთხილებული იყო ვისმეს მიერ, მაშინ ძნელი „ჯაშუშობა“—ვის ემდურის იგი.

შემდეგ გამოვიდა მუშათა პარტიის დეპუტატი მექსტონი (დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ლიდერი), რომელმაც სთქვა, რომ როგორც რუსი, ისე ინგლისელ კომუნისტებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან გახსნან თავისი არქივები, რათა გადასინჯულ იქნეს ყველა დოკუმენტები, რომლებიც იმყოფებიან მათ მფლობელობაში.

მექსტონი მიუთითებს, იმაზე, თუ როგორ დაამტკიცა მუშათა პარტიამ, რომ „ზინოვიევის წერილი“ არის დოკუმენტი, შედგენილი პრემიერის მეგობრების სიტყ. კომისიამ, რომელმაც განიხილა ეს საქმე მუშათა პარტიის დავალებით, სცნო, რომ ეს წერილი არის ფალსიფიკაცია, მექსტონი აცხადებს, რომ ინგლისის მთავრობის პოლიტიკაში, ის საკითხები, რომლებიც ეხებიან ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან, დამოკიდებულნი არიან პროფესიონალურ მატყუარებზე.

მექსტონი მიუთითებს, რომ სწორედ მაშინ, როდესაც მაკდონალდი იყო შორს ლონდონიდან, მისი მოადგილე პონსონბი კი იმყოფებოდა თათბირზე რაკოვსკისთან, გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელენი თათბირობდნენ „ზინოვიევის წერილის“ შესახებ; ამასთანავე პონსონბის ყურამდე არ მიუღწევია არც ერთ სიტყვას. სამინისტროს მოხელეებმა შეგნებულად დაუმალეს ეს საქმე პონსონბის.

კომუნისტურმა დეპუტატმა საკლატვალამ, რომელიც გამოვიდა მექსტონის შემდეგ, განაცხადა, რომ ბოლდუინი წარმოადგენს სრულ ფალსიფიკაციას. თემთა პალატის ღირსება— საკლატვალას სიტყვით—მოითხოვს იმას, რომ ამ საკითხის ირგვლივ დანიშნულ იქნეს გამოძიება. „ზინოვიევის წერილი“ წარმოადგენს სიყალბეს, შემუშავებულს რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციის მიერ.

ამის შემდეგ გამოვიდა გენერალური პროკურორი ხოგი, რომელმაც განაცხადა: „მტერნი ჯენტლმენია, კარგათ ცნობილი ლონდონის სიტის წრეებში. იგი არ არის დაკავშირებული არც რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან, არც მთავრობასთან, არც სახელმწიფო დაწესებულებებთან. ის წყარო, საიდანაც მან მიიღო თავისი ცნობები, არ ეკუთვნის იმ წყაროებს, საიდანაც ინგლისის მთავრობა ღებულობს თავის ინფორმაციას და იგი სავსებით დამოუკიდებელია.

* * *

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ნებართვით საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ინგლისის პრემიერ ბოლდუინის სიტყვაში მოხსენებული განცხადებანი სსრ. კავშირის მოღვაწეებისა, რომლებითაც ბოლდუინს უკანა რიცხვით სურს დაამტკიცოს ყბად აღებულ „ზინოვიევის წერილის“ სინამდვილე, წარმოადგენს სრულ ცილისწამებას და სიყალბეს. ამ ჭორის უსაფუძვლობა აშკარა გახდება, თუ მოვიგონებთ თუნდაც იმ გარემოებას, რომ საბჭოთა მთავრობამ მაშინვე, როგორც კი განაცხადა, რომ „ზინოვიევის წერილი“ ყალბია, წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას შეექმნა კომისია ამ „დოკუმენტის“ წარმოშობის საკითხის გამოსარკვევად. როგორც ვიცით, ინგლისის მთავრობა ამ საქმის გამორკვევას გაურბოდა. (ადს).

* * *

ლონდონი, 19 მარტი. კამათის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მაკდონალდმა, ბოლდუინმა, მაკსტონმა (მუშათა პარტია), საკლატვალამ და ხოგმა (გენერალური პროკურორი), თემთა პალატამ 325 ხმით 132 წინააღმდეგ უარყო მუშათა პარტიის რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა „ზინოვიევის წერილის“ წარმოშობის გამორკვევას, ლიბერალები, ჯერ ფიქრობენ თავი შეეკავებიათ, მაგრამ ბოლდუინის ახსნა-განმარტების შემდეგ, ლიბერალების უმრავლესობამ, როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თავის თავი იძულებულად ჩასთვალა ხმა მიეცა რეზოლიუციის წინააღმდეგ (ადს).

დემონსტრაცია ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ

ვენა, 19 მარტი. 18 მარტს ბუქარესტში ბრატიანუს მთავრობის წინააღმდეგ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო გლეხურმა პარტიამ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 50.000 კაცმა. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებზედაც იყო მთავრობის გადადგომისა და ახალი არჩევნების დანიშვნის მოთხოვნილების ლოზუნგი. პოლიცია, ჟანდარმერია და მთელი გარნიზონი ფეხზე დადგა. მიტინგზე გამოვიდნენ ოპოზიციის ბელადები, რომლებიც სასტიკად ილაშქრებოდნენ მთავრობის წინააღმდეგ. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საქ. სახკინმრეწვის საკითხი კინოთათბირზე

მოსკოვი, 20 მარტი. საკავშირო პარტიულ თათბირზე კინო-საკითხების შესახებ ამხანაგი **კრინიცკი** თავის სიტყვაში შეეხო საქართველოს კინომრეწველობის მდგომარეობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კინომრეწველობა თავის ძირითად ამოცანად უნდა ისახავდეს ადგილობრივ მასალების დამუშავებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება გამართლებული საქართველოს და სხვა ნაციონალურ რესპუბლიკათა კინომრეწველობის არსებობა და მუშაობა.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ორატორები ეხებოდნენ საქართველოს კინომრეწველობის მუშაობასაც. ისინი აღნიშნავდნენ საერთოდ, რომ საქართველოს კინომრეწველობა შედარებით დიდ აქტივობას იჩენს, მაგრამ ამ მუშაობის დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს კინომრეწველობის პროდუქცია უმთავრესად აშენებულია ძველ ლიტერატურულ მასალაზე. საჭიროა ამ ნაკლის დაძლევას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. მეტი დაახლოება თანამედროვეობასთან, მეტი კავშირი ახალ ლიტერატურულ მასალასთან—აი, რა უნდა დაისახოს მიზნათ საბჭოთა კინომრეწველობამ საზოგადოთ და განსაკუთრებით საქართველოს კინომრეწველობამ.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე საქართველოს სახკინმრეწვის წარმომადგენელმა, რომელმაც სხვათა შორის, წამოაყენა წინადადება სრულიად საკავშირო კინოსინდიკატის დაარსების შესახებ.

ამხ. კრინიცკის მოხსენების გარშემო პრაქტიკულ წინადადებათა გამოსამუშავებლად არჩეულია ცალკე კომისია.

თათბირის გადადება

მოსკოვი, 20 მარტი. თათბირი ეროვნულ უმცირესობათა მუშების კულტურული საკითხების შესახებ გადაიდო მიმდინარე წლის 27 აპრილისათვის.

ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია

მოსკოვი, 20 მარტი. ოთხშაბათს, 21 მარტს საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში დაიწყება დიდი პროცესი ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის შესახებ. ბრალდებულთა სკამზე სხედან ურთიერთ ნდობის საზოგადოების მუშაკები. აღნიშნული საზოგადოება სახელმწიფო ბანკს აყენებდა კერძო ვაჭრობის სასარგებლოდ. ყალბი დოკუმენტების საშუალებით ურთიერთ ნდობის საზოგადოება, სადაც თავი შეაფარა სხვადასხვა ჯურის ბნელ ელემენტებმა და კომბინატორებმა, სახელმწიფო მრეწველობის სავაჭრო ორგანოებიდან იძენდა მილიონობით ღირებულ საქონელს. აღნიშნულ პირებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სახელმწიფო ბანკისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის ზოგიერთ მუშაკებთან. თანამდებობის პირთა ქრთამით შესყიდვა, დოკუმენტების ფალსიფიკაცია და სხვა აი, რაში გამოიხატებოდა უმთავრესად საურთიერთო ნდობის საზოგადოების მუშაობა. სასამართლოს წინაშე წარსდგებიან აგრეთვე სახელმწიფო ბანკისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლები, რომელნიც პირადი ანგარების მიზნით ხელს უწყობდნენ საურთიერთო ნდობის საზოგადოების მუშაკებს ბოროტმოქმედების ჩადენაში.

დისპუტი მეიერხოლდის დადგმის შესახებ

მოსკოვი, 20 მარტი. შესდგა მეტად საინტერესო დისპუტი ვ. მეიერხოლდის ახალი დადგმის „გორე უმუ“-ს შესახებ. დისპუტმა დიდძალი აუდიტორია მიიზიდა, მომხსენებლად გამოვიდა ამხ. **პიქსანოვი**. მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. ორატორების უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა მეიერხოლდის ახალი დადგმა. დისპუტი სკანდალით დასრულდა, მეიერხოლდმა თავისი უხეში გამოსვლებით შეურაცხყოფა მიაყენა მომხსენებელს.

საბჭოთა კავშირში

სპეციალისტების მომზადება

მოსკოვი, 20 მარტი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭო აღნიშნავს დიდ დეფექტებს სპეციალისტების მომზადების საქმეში. ადგილი აქვს ზოგიერთ სპეციალობათა სიჭარბეს და ზოგიერთის ნაკლებობას. სასწავლო გეგმებში მეტისმეტად ბევრი საგნებია. უმაღლეს სასწავლებლების მუშაობის გეგმა არ შეეფერება მრეწველობის განვითარების გეგმას. დეფექტების აღმოსაფხვრელად ს.მ.უ. საბჭოს საჭიროდ მიაჩნია გეგმიანობის გაძლიერება სპეციალისტების მომზადების საქმეში. (ადს).

მუშა-ხელის რიცხვის ზრდის შესახებ

მოსკოვი, 20 მარტი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ამხ. კუიბიშევი, ყველა სამეურნეო ორგანოებს წინადადება ეძლევა მაქსიმალური ყურადღებით ადევნონ თვალყური იმას, რომ სამრეწველო-საფინანსო გეგმით გათვალისწინებული მუშა-ხელის რიცხვის ზრდა შეეფერებოდეს წარმოების ნამდვილ საჭიროებებს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული ზედმეტ მუშა-ხელის შექმნა. მუშა-ხელის არსებული სჭარბე სავსებით უნდა იქნას დაძლეული, რისთვისაც გამოყენებული უნდა იქნეს მუშა-ხელის ნორმალური ბრუნვა და ბუნებრივი კლება. (ადს).

ზღვის ტყვეიდან

მურმანსკი, 20 მარტი. ამოღებულია დიდი გემი, რომელიც 1917 წ. დაიძირა მურმანსკის ნავსადგურში. გემი მშვენივრად არის შენახული. წყალმყვინთავთა რაზმი გაემგზავრა ყინულოვან ოკეანეს ლოკანის ყურეში გემ „ელიზ"-ის ამოსაღებად. როდესაც თეთრი ზღვა განთავისუფლდება ყინულებისაგან, შეუდგებიან ათი გემის ამოღებას. (ადს).

მდინარის გემების მშენებლობის პროგრამა

მოსკოვი, 20 მარტი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა მდინარის გემების მშენებლობის ხუთწლიანი ორიენტაციო გეგმა. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭომ დაავალა გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატს გამოარკვიოს მდინარის გემების მშენებლობის გაძვირების მიზეზები და გამოიმუშაოს ზომები მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. (ადს).

ბოროტმოქმედებანი მარტის სახ.-ლობის ქარხანაში ნიკოლაევში

ხარკოვი, 20 მარტი. ნიკოლაევის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ მარტის სახელობის ქარხანაში ნიკოლაევში გამოარკვია უყაირათობა, რომელიც ბოროტმოქმედებას უდრის. ქარხანა საზღვარგარეთ ახდენდა დაკვეთებს, ყიდულობდა მოწყობილობას და არ იცოდა, თუ როგორ, როდის და სად შესძლებდა ამ მოწყობილობის გამოყენებას. რამოდენიმე თვის წინად საზღვარგარეთიდან მიღებული მანქანები დღემდე გამოუყენებელია. მანქანები დიდხანს ეყარა ქარხანაში გადაუფუთავად და იჟანგებოდა. ზოგიერთი საზღვარგარეთული დაზგები არ შეეფერებოდა მოთხოვნილებას და უვარგისი აღმოჩნდა. (ადს).

საბჭოთა სასწორები სპარსეთში

მოსკოვი, 20 მარტი. ვინაიდან სპარსეთის მეჯლისმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით სპარსეთში შემოღებული იქნება მეტრიულ სისტემა. სპარსელმა ვაჭრებმა გამოსთქვეს სურვილი, რომ შესყიდულ იქნას საბჭოთა სასწორების პირველი პარტია. განზრახულია მომავალში საბჭოთა სასწორები შესყიდულ იქნას მეტის რაოდენობით (ადს).

ქარბუქი

სიმფეროპოლი, 20 მარტი. ქარ-ყინვიანი ამინდი შეიცვალა ქარბუქით, რომელიც მეორე დღეა რაც მძვინვარებს. მოვიდა საკმაოდ დიდი თოვლი, რაც მარტისთვის მეტად იშვიათი მოვლენაა. საერთოდ, წლევანდელი ზამთარი ყირიმში განირჩევა განსაკუთრებული სიმკაცრით და ასეთი ცივი ზამთარი არ ყოფილა ამ უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში (ადს).

ქარიშხალი ნოვოროსიისკში

ნოვოროსიისკი, 20 მარტი. ჩრ.-აღმოსავლეთის ქარი, რომელიც ამ ბოლო დროს მძვინვარებდა, გადაიქცა ქარიშხალად. ქარის სიძლიერე 29 მეტრს აღწევს წამში. ზღვაზე ძლიერი ქარიშხალია. ნავსადგურში მუშაობა შეწყვეტილია. გემები აღარ მოდიან. ყინვა უდრის 8 გრადუსს, ასეთი სიცივე მარტში უჩვეულოა. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები
კონტრრევოლიუციონურ შეთქმულების შესახებ
დონის საქვანახშირო რაიონში

მოსკოვი, 20 მარტი. „რაბოჩაია გაზეტა"-ში გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ცნობები შახტის რაიონში აღმოჩენილ შეთქმულების შესახებ.

შეთქმულების მთავარი მონაწილენი არიან ემელიან, კირილე და ანდრია კოლოდუბები. ემელიან კოლოდუბი არის მაღაროს ყოფ. მეპატრონე, ძველი შავრაზმელი, რომელიც თვითმპყრობელობის დროს მემამულის დარაჯობიდან დაწინაურდა დონ-გრუშევის მაღაროების მმართველის თანამდებობამდე. მაღაროებში ემელიან კოლოდუბმა მოაწყო ყველა თავისი ნათესავები: ძმა ანდრია, ძმისწული კირილე, ტეხნიკოსები მატუსენკო, ბაბენკო და სხვები. 1905 წელში კოლოდუბის ოჯახი ენერგიულად ეხმარებოდა ჟანდარმებს მემაღაროეთა მღელვარების ჩაქრობაში. 1916 წელში კოლოდუბმა შეიძინა თავისი მაღარო. დენიკინის დროს კოლოდუბი თავის მეგობარ ტეხნიკოს გავრიუშენკოსთან ერთად, ეხმარებოდა კონტრდაზვერვას, კონტრ-დაზვერვის განყოფილება მის ბინაზედაც კი მოაწყო.

თეთრგვარდიელების დროს ანდრია კოლოდუბის მოთხოვნილებით დახვრიტეს მისი მოსამსახური, ვითომდა ქურდობისათვის.

ანდრია კოლოდუბთან ერთად დიდ დახმარებას უწევდენ დენიკინელებს ინჟინრები და ტეხნიკოსები გავრიუშენკო, ბუზერი და კალგანოვი.

საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კოლოდუბის ხროვა გაიფანტა შახტის რაიონში. ანდრია კოლოდუბი ეწყობოდა სამუშაოდ რამოდენიმე მაღაროში, მაგრამ მუშები ააშკარავებდენ მას და აგდებდნენ. ბოლოს და ბოლოს კოლოდუბის ხროვა, შახტის საინჟინერო-ტეხნიკურ სექციის დახმარებით, მკვიდრათ მოეწყო სამუშაოზე. კალგანოვი გახდა დონ-გრუშევის მაღაროების სამმართველოს მთავარ ინჟინრად, გავრიუშენკო— ამხ. ვოროვსკის სახელობის მაღაროების გამგედ და სხვ. ძველ მეპატრონეთა დაბრუნების იმედით კოლოდუბის ხროვა აფეთქებდა მაღაროებს, ამხედრებდა მუშებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ურჩევდა საბჭოთა სამეურნეო მუშაკებს ხელის აღებას ისეთ მაღაროების დამუშავებაზე, რომლებიც მდიდარი იყო ქვანახშირით. ასე მაგალითად, კოლოდუბებმა დამალეს ძლიერ მდიდარი ბეზურგენევის მაღარო.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა ამ მაღაროს წესიერი ექსპლოატაციის დაწყება, ადგილობრივმა სპეციალისტებმა, რომლებიც მოსყიდული იყვნენ უცხოელების მიერ, ერთხმად ასტეხეს განგაში, რომ ბეზურგენევის მაღარო არაფრად არ ვარგა. ისინი ყოველნაირად ანგრევდნენ და იტაცებდნენ მაღაროს მთელ მოწყობილობას, რის შემდეგ ეს მაღარო მოხსნეს აღრიცხვიდან, როგორც „არ არსებული". მეორე მდიდარ მაღაროში— ნოვო-აზოვის— კოლოდუბის ხროვამ შეუშვა წყალი, წინასწარ კი დაიტაცა მისი მდიდარი მოწყობილობა. ამ მაღაროსთან დამოკიდებულება ჰქონდა ინგლისის კაპიტალს.

კოლოდუბის ხროვას განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან, რომლებიც იმყოფებიან საზღვარგარეთ. საზღვარგარეთიდან კოლოდუბებს საჩუქრად და მათი „მუშაობის" შესამოწმებლად ჩამოდიოდნენ ვიღაც ბნელი პიროვნებები, რომლებიც ამხნევებდნენ კოლოდუბებს ინტერვენციის მოახლოებით. თვითეულმა მათგანმა კონტრ-რევოლიუციონერმა წინდაწინვე გამოითხოვა მაღაროს ყოფილი მეპატრონეებისაგან კარგი თანამდებობა. ყოფილმა მეპატრონეებმა ჯაშუშობის უბრალო მონაწილეებსაც კი აღუთქვეს თბილი ადგილები— არა უმცირეს მაღაროს მმართველობა. (ადს).

კინო-თათბირი

მოსკოვი, 20 მარტი. საკავშირო პარტიულ კინო თათბირზე ამხ. კრინიცკიმ ჯამი გაუკეთა დისკუსიას საბჭოთა კინოს შესახებ და აღნიშნა, რომ კინო თათბირმა ერთხმად დაასახელა საბჭოთა კინემატოგრაფიის შემდეგი ნაკლულოვანებანი: კინო საკმაოდ ვერ ემსახურება მუშათა და გლეხთა მოთხოვნილებებს, საკმაოდ ვერ აშუქებს საბჭოთა ფილმებში სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, საბჭოთა კინემატოგრაფიის პროდუქცია უმთავრესად აკმაყოფილებს ობივატელთა გემოვნებას.

ამხ. კრინიცკი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კინემატოგრაფიის წინაშე სდგას შემდეგი პრაქტიკული ამოცანები: აუცილებელია დამყარდეს უფრო მტკიცე ფორმები კინემატოგრაფიის მუშაობის პარტხელმძღვანელობისათვის. კინო-თეატრების, პროფკავშირების, პოლიტგანების და სხვა ორგანიზაციების საშუალებით უნდა შეგროვდეს მუშათა და გლეხთა შეფასებანი ფილმების შესახებ და ეს შეფასებანი სათანადოთ უნდა იქნას შესწავლილი; საჭიროდ უნდა დაისვას საკითხი კინო ქსელის გაფართოებისა და ახალი კინო თეატრების აგების შესახებ; ამ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან ადგილობრივი ორგანიზაციები, კოოპერაცია და სხვა. კინო ცნობილ უნდა იქნას საგიტაციო საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მუშაობის ერთ-ერთ ფორმად. გადაჭრით იქნას აღებული კურსი ფილმების ტირაჟის გადიდებაზე და ამით შემცირდეს ფილმების თვითღირებულება.

შემდეგ ამხ. შვედჩიკოვმა გააკეთა მოხსენება საორგანიზაციო და სამეურნეო საკითხების შესახებ. შვედჩიკოვის მოხსენების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. მეშჩერიაკოვის მოხსენება— კინოს ამოცანები სოფლად.

ამხ. მეშჩერიაკოვი ციფრების საშუალებით ამტკიცებს, რომ 1928 წელში სტაციონალური კინოების ქსელი უნდა გაიზარდოს 75 პროცენტით. ხოლო მოძრავი კინოების ქსელი 100 პროცენტით. ამხ. მეშჩერიაკოვი აღნიშნავს დიდ წარმატებას კინო წარმოების გაფართოების დარგში. (ადს).

ახალი კონტრ-რევოლიუციონური ბუდე

მინსკი, 20 მარტი. მინსკის გარნიზონის საბინაო ნაწილის რევიზიამ გამოაშკარავა აღმაშფოთებელი ფაქტი: ყოფილ მეფის ოფიცერთა ჯგუფი, რომელიც მოკალათებული იყო სამხედრო უწყებაში ძარცვავდა სახელმწიფო ქონებას. საბინაო ნაწილის ხელმძღვანელი ლეონტიევი, ყოფილი მეფის ოფიცერი, 2 ნახ. წლის განმავლობაში თავის თანამოსამსახურეთა დახმარებით ძარცვავდა ხაზინას. სამხედრო უწყების სახლების მმართველი იყო ლეონტიევის ცოლის ძმა ხოპერსკი— ყოფილი მეფის პოლკოვნიკი. ლეონტიევის ცოლი სწერდა საანგარიშო ბარათებს, ლეონტიევის ცოლის და ადგენდა გეგმებს და ამზადებდა ნახაზებს. ამასვე აკეთებდა ლეონტიევის ცოლის ძმა. ჯერ ჯერობით აღმოჩენილ მასალების მიხედვით გაფლანგული თანხის რაოდენობა უდრის 35.500 მან. რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე ყალბი საბუთები და ყალბი ხელწერილები სამუშაოს შესრულების შესახებ. მთელი ეს კომპანია პასუხისგებაშია მიცემული (ადს).

რიაზანის სასამართლოს მუშაკების საქმე

რიაზანი, 20 მარტი. 9 მარტიდან 18 მარტამდე რიაზანში უზენაეს სასამართლოს სესიამ გაარჩია რიაზანის სასამართლოს მუშაკების საქმე. ბრალდებული იყო სულ 28. მთავარი ბრალდებულები: საგუბერნიო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილენი ხრომოვი და სოლომატინი, პროკურორის თანაშემწე ალიფანოვი, რიაზანის მილიციის ყოფილი უფროსი ტროფიმოვი და პროკურორის თანაშემწე ფერნებოკი. ხრომოვს ჰბრალდებოდა ის, რომ ქალაქის საბჭოს ყოფილი მდივნის სოშკინისა და სხვა შუამავალთა დახმარებით მოდავე მხარეებს ქრთამს ართმევდა. იგივე ჰბრალდებოდა სოლომატინს, რომელიც დილით ამართლებდა მოქალაქეებს, საღამოთი კი მათსავე ხარჯზე მათთან ქეიფობდა. ალიფანოვს ჰბრალდებოდა სოროკინისაგან ქრთამის აღება, რის გამო საქმე მის სასარგებლოდ გადასწყვიტა. ტროფიმოვს ჰბრალდებოდა ლოთობა იმ მოქალაქესთან, რომლის საქმე საგუბერნიო სასამართლოში სწყდებოდა შუამავლებისა და ქრთამის შემწეობით. ყველაზე მრავალფეროვანია ფერნებოკის დანაშაული აქ ვხედავთ: სრულიად უსაბუთოდ დაჯარიმებას, ჯარიმების მოხსნას მილიციის უფროსის შეხედულების თანახმად, ძალად კავშირის დაჭერის ცდას ქალებთან, ფერნებოკის ცოლის სიარულს მაღაზიებში „ნებაყოფლობითი ძღვენის" შესაგროვებლად, ნივთების უკანონოდ ჩამორთმევას და სხვა.

ბრალდებულთა ცალკე ჯგუფს წარმოადგენდენ დამცველთა კოლეგიის ყოფილი წევრები ფეოდოროვი, ბარგინი და მატუსევიჩი. ისინი შუამავლები იყვნენ ქრთამის საქმეში და ნადავლის დიდ ნაწილს თვითონ იჯიბავდნენ. 18 მარტს შვიდი საათის თათბირის შემდეგ გამოტანილ იქნა განაჩენი სოშკინს მიუსაჯეს 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, ფერნებოკს თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით, ხრომოვს— 4 წლით, სოლომატინს, ბარგინს და ფედოროვს 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, მატუსევიჩს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით (ადს).

თურქესტან ციმბირის რკინი გზის მშენებლობის გეგმა

მოსკოვი, 20 მარტი. 19 მარტს თურქესტან-ციმბირის რკინის გზის სამმართველოს უფროსმა ამხ. შიტოვმა და გზათა სახალხო კომისარიატის ახალი გზების მშენებლობის ცენტრალურ განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. საფონოვმა გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიაში გააკეთეს მოხსენება თურქესტან-ციმბირის რკინის გზის საბოლოო ღირებულების შესახებ. რკინის გზის სიგრძე იქნება 1.481 კილომეტრი. მუშაობის წარმოების გეგმა ასეთია: 1928 წ. განზრახულია 187 კილომეტრი გზის გაყვანა, 1929 წელში—242 კილომეტრის, 1930 წ.—115 კილომეტრის, 1931 წ.—83 კილომეტ. ასიგნობები წლების მიხედვით ნაწილდება ასე: 1927—28 წ.—37 მილ. მან., 1928—29 წ.—57 მილ. მან. 1929—30 წ.—55 მილ. მან., 1930—31 წელ.—40,5 მილ. მან.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კოლეგიამ აირჩია კომისია თურქესტან-ციმბირის რკინის გზის საამშენებლო გეგმის შემდგომი დამუშავებისათვის. (ადს).

საურთიერთო კრედიტის მოღვაწეთა გასამართლება

მოსკოვი, 19 მარტი. 21 მარტიდან საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში დაიწყება საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საქმე. საქმის ვითარება ასეთია:

მოსკოვის და ხარკოვის საურთიერთო კრედიტების სამრეწველო საზოგადოებათა ხელმძღვანელები, სარგებლობდენ რა სახელმწიფო ბანკის კრედიტებით, ფართოდ ანვითარებდენ ოპერაციებს მევახშური თამასუქებით და ფიქტიური ჩეკებით. ისინი სახელმწიფო მრეწველობას იყენებდენ კერძო პირების სასარგებლოდ. ამ ხელმძღვანელებმა უფულო დოკუმენტების საშუალებით შეიძინეს ერთი მილიონი მანეთის სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია, მანუფაქტურა, ბამბა, ტყავი და შაქარი, და ეს საქონელი ბაზარზე გამოიტანეს სახელმწიფოსათვის არახელსაყრელ მომენტში. ყოველივე ამან დაარღვია ფასების მოწესრიგების პოლიტიკა. კრედიტებით უკანონოდ სარგებლობამ სახელმწიფო ბანკში, შეასუსტა კრედიტის მიწოდება სახელმწიფო მრეწველობისა და კოოპერაციისათვის. პასუხისგებაშია მიცემული 42 კაცი—საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა ხელმძღვანელნი, კერძო კაპიტალის წარმომადგენელნი და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკის და ფინსახკომის თანამშრომლები. პასუხისგებაში მიცემულთ ბრალი ედებათ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციაში. (ადს).

ქართული წითელი ჯარის შვიდი წლის თავი

შ ვ ი დ ი   წ ე ლ ი

დღეს ქართულ წითელ ჯარს უსრულდება შვიდი წელი დღიდან დაარსებისა. ისტორიულად ეს თარიღი უკავშირდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას (1921 წ. 25 თებერვალი) 21 მარტს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ქართული წითელი ჯარის ორგანიზაციის შესახებ. აქედან დაიწყო მისი ზრდა განვითარება. მეტის მეტად მძიმე პირობებში ხდებოდა ქართული წითელი ჯარის შენება. მძიმე მატერიალურ მდგომარეობას ერთოდა მოწინააღმდეგე ძალების გააფთრებული ბრძოლა ყოველ გზა-ჯვარედინზე და ყოველგვარი საშუალებით. მაგრამ წითელმა ჯარმა გადალახა ყოველივე სიძნელენი და საქართველოს მშრომელი მასის ენერგიული დახმარებით იგი სავსებით ჩამოყალიბდა და განმტკიცდა, მენშევიკურ ბანდიტიზმთან ბრძოლამ კიდევ უფრო გაასალკლდევა იგი.

ამხ. გ. კუთათელაძე
1-ლი ქართ. მსრ. დივიზიის მეთაური
—:—

ქართულ წითელ ჯარს აქვს თავისი ბრძოლის ტრადიცია და მნიშვნელოვანი მიღწევები, რომლითაც ჩვენ კანონიერად შეგვიძლია ვიამაყოთ. ჩვენი მიღწევები სამხედრო და პოლიტიკური მომზადებისა და აღზრდის დარგში იმდენად დიდია, რომ ამ მხრივ ქართული წით. ჯარი უკვე გვერდში უდგას საბჭოთა კავშირის შიგა ოლქების დივიზიებს. ქართული წითელი ჯარი ღირსეულად ასრულებს და ატარებს იმ დიდ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობას, რომელიც ჩვენ ქვეყანას და განსაკუთრებით კი სოფელს ყოველწლიურად აძლევს რამოდენიმე ათეულ ათას საზოგადოებრივი საქმისათვის მომზადებულ მუშაკს.

შვიდი წლის განმავლობაში ჩვენ შევძელით შეგვექმნა მუშურ-გლეხური მეთაურთა საკმაო კადრი, რომელსაც გავლილი აქვს სხვადასხვა კურსები და მეთაურთა სკოლები.

ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან მიღწევათ უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენ ნაწილობრივ უკვე შევსძელით ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის შექმნა და წითელი არმიის სამხედრო წესდებების ქართულ ენაზე თარგმნა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ საერთოდ ტერმინოლოგიის შექმნის სიძნელეს და იმ დროს, რომელიც მას სჭირდება, მაშინ აშკარა იქნება ჩვენთვის ამ ფაქტის მეტის მეტად დიდი მნიშვნელობა.

აქვე უნდა შევეხოთ ჩვენში ტერიტორიალურ ნაწილების მშენებლობის საკითხს, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი შეიარაღებული ძალების სისტემაში. ამხ. ფრუნზეს სახელობის ქართულ მსროლელ დივიზიის არსებობა იწყება 1924 წლის გაზაფხულიდან. მანამდე საბჭოთა საქართველოში იყო მხოლოდ ერთი საკადრო დივიზია, სამი წლის განმავლობაში ამ დივიზიამ, რომელიც დღეს მთლიანად ტერიტორიალურია, მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა. მის მიერ ჩატარებულია რამოდენიმე საერთო და მოკლევადიანი შეკრებები და წვევამდე მზადება, როდესაც 15 ათასამდე ახალგაზრდამ შეისწავლა სამხედრო საქმე. თუ როგორია საერთოდ ტერიტორიულურ დივიზიის მომზადება, ამას გვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ ტყვიამფრქვევიდან სროლაში მან დაიკავა პირველი ადგილი არმიის ფარგლებში. აქედან აშკარაა ის გარემოება, რომ ტერიტორიალური ნაწილები ჩვენში მკვიდრ ნიადაგზეა დამდგარი და ისინი თავისი მომზადების მხრივ არ ჩამორჩებიან საკადრო დივიზიას.

ამრიგად, ქართული წითელი ჯარი თავის არსებობის 7 წლის თავს ხვდება მნიშვნელოვანი მიღწევებით. საქართველოს მუშებსა და გლეხებს თამამად შეუძლიან სთქვან, რომ მათ ყავს პოლიტიკურად მომზადებული, ბრძოლის უნარიანი წითელი ჯარი, რომელიც ღირსეულად დაიცავს მშრომელ მასის ინტერესებს მტრების თავდასხმისაგან.

დ. აროშიძე.

ამხ. ვ. გიორგაძე
მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის მეთაური
—:—

ქართული წითელი ჯარი

შვიდი წლის წინათ საბჭოთა საქართველოს რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება ქართული წითელი ჯარის შედგენის შესახებ. 1921 წელს 21 მარტს, თანახმად სამხედრო საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრის ბრძანებისა, შედგენილ იქნა ქართული წითელი ჯარის პირველ საბჭოთა ლეგიონი, და ეს დღე—21 მარტი—შევიდა ჩვენი შეიარაღებული ძალის ისტორიაში, როგორც ქართული წითელი ჯარის საიუბილეო თარიღი.

ცუდ პირობებში უხდებოდა ჩამოყალიბება ახალგაზრდა ქართულ წითელ ჯარს. ყოფ. მენშევიკურმა მთავრობამ, გააფუჭა რკინისგზები, აფეთქა ხიდები, გაიტაცა სახალხო ქონება, ქართული წითელი ჯარის პირველ ლეგიონებს არ ჰქონდათ სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, საჭირო ფურაჟი ცხენებისათვის. ახლად შედგენილი ლეგიონები ბანაკდებოდენ იმ ადგილებში, სადაც იყო საგრძნობი სურსათ-სანოვაგის და ფურაჟის ნაკლებობა.

ამის გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ბლომად იყვნენ უპასუხისმგებლო, ბნელი ელემენტები, რომლებიც დაძვრებოდნენ ხალხში და ცდილობდენ გაეტეხნათ სახელი საბჭოთა ხელისუფლებისა და წითელი ჯარისათვის.

მიუხედავად ამ სიძნელეებისა, საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის და მისი ბელადის ამხ. ლენინის—უშუალო ხელმძღვანელობით, შესძლეს შექმნა საკუთარი წითელი ჯარის, რომელმაც არა ერთხელ დაუმტკიცა საქართველოს მშრომელებს თავისი ერთგულება.

ყველას კარგად ახსოვს ამხ. ლენინის წერილი სერგო ორჯონიკიძისადმი, სადაც ის საჭიროდ სცნობდა ქართული წითელი ჯარის შექმნას საკუთარ მეთაურებით, რომელიც შესძლებდა გამკლავებოდა ყოველგვარ მტრებს და დაეცვა მუშებისა და გლეხების მშვიდობიანი შრომა.

საქართველოს მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს ეს დავალება.

ქართველი მენშევიკები, თავად-აზნაურობასთან ერთად ბევრჯერ ეცადნენ ჩაეთრიათ მშრომელი მოსახლეობა თავის ბნელ საქმეებში, რისთვისაც აწყობდნენ საქართველოს მივარდნილ კუთხეებში, გამოსვლებს. მაგრამ, ქართული წითელი ჯარი, ყოველთვის მტკიცედ იდგა თავის პოსტზე და ღირსეული პასუხით უმასპინძლდებოდა ავანტიურისტებს.

მაგრამ, ამის გარდა წითელ ჯარს აქვს კიდევ არა ნაკლები დამსახურება კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე.

დღევანდლამდის ქართულმა ჯარმა შეასწავლა წერა-კითხვა 10.000-მდე ახალგაზრდას. ყოველწლიურად წითელი ყაზარმა უმზადებს სოფელს კოოპერატორებს, სამკითხველოების და სამხედრო კუთხეების გამგეებს, საბჭოთა მუშაკებს და სხვა.

ტერიტორიალური ნაწილები, რომლებიც გაფანტულნი არიან საქართველოს დაბა-ქალაქებში, აწარმოებენ უდიდეს სამხედრო და პოლიტიკურ მუშაობას გლეხობის შორის. მათ მიერ ჩატარებულია დიდი მუშაობა მოსახლეობის გასამხედროების დარგში, რასაც მოწმობს სამხედრო კუთხეების, წრეების და ტირების რიცხვი.

თვით ყაზარმაშიც სწარმოებს გაძლიერებული პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობა. კლუბების რიცხვი უდრის 10, ჯარში არსებობს 20-მდე ძირეული მოძრავი ბიბლიოთეკა, წიგნების რიცხვი მათში უდრის 80.000 ტომს.

ქართული წითელი ჯარი დღითიდღე ძლიერდება და მტკიცდება. საქართველოს მშრომელები უდიდესი ნდობით და სიყვარულით უცქერის თავის პირმშო შვილის—წითელ ჯარს. ეს მჭიდრო კავშირი, ეს სიყვარული თავდებია იმის, რომ ფრონტისა და ზურგის შეერთებული ძალა საჭირო დროს წარმატებით გადასჭრის მუშურ-გლეხური ქვეყნის თავდაცვის დიად ამოცანებს.

შ. ხ—ლი.

მისალმება პროფინტერნს

მოსკოვი, 20 მარტი. პროფინტერნის კონგრესისადმი გაგზავნილ მისალმებაში გლეხთა ინტერნაციონალი აღნიშნავს, რომ კაპიტალის შემოტევას მუშებთან ერთად განიცდის მთელი მსოფლიოს მშრომელი გლეხობაც, რომელსაც სძარცვავენ მემამულეები და კაპიტალისტები. გლეხინტერნი გამოსთქვამს რწმენას, რომ კონგრესის შედეგები ხელს შეუწყობს მუშათა კლასისა და გლეხობის მებრძოლი კავშირის განმტკიცებას. (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 20 მარტი. პურის დამზადების წლიური გეგმა ვორონეჟის და კურსკის გუბერნიაში მთლიანად შესრულებულია. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა მადლობა გამოუცხადა ვორონეჟისა და კურსკის საგუბერნიო საორგანიზაციო განყოფილებებს და პურის დამზადების კამპანიის ყველა მონაწილეთ ამ რაიონებში. ამასთანავე წლიური გეგმა ორივე გუბერნიაში გადიდებულია 100.000 ტონით. 50.000 ტონით თვითეულზე. ამ გუბერნიების პურის რესურსები და აპარატის მოწყობა უზრუნველყოფს დირექტივის შესრულებას, თუ ადგილი ექნება მუშაობის მტკიცე ხელმძღვანელობას. (ადს).

პურის დამზადების დიდი შემცირება ჩრდილო. კავკასიაში

დონის-როსტოვი, 20 მარტი. მარტის მესამე ხუთდღეულში პურის დამზადება ჩრდილო-კავკასიაში დიდათ შემცირდა. დამზადდა 17.705 ტონა, 1,721 ტონით ნაკლები, ვიდრე წინა ხუთდღეულში. მარტის გეგმა შესრულებულია 64 პროც. სამომხმარებლო კოოპერაციის დამზადება წინა ხუთდღეულთან შედარებით 40 პროც. შემცირდა (ადს).

რემედასის ყრილობა

მოსკოვი, 19 მარტი. გაიხსნა რემედასის მეორე საკავშირო ყრილობა, რომელსაც ესწრება 200 დელეგატი. ყრილობას ესწრება ამხ. კლარა ცეტკინი, საკავშირო კომპარტიის (ბ) მდივანი ამხ. კოსიორი და პარიზის კომუნის ვეტერანები—ჟიარა, ფურკადე და ხაფინი. ყრილობა გაიხსნა რემედასის ცეკას თავმჯდომარის ამხ. სტასოვას სიტყვით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანმა ამხ. კოსიორმა თავის მისასალმებელ სიტყვაში ცეკას სახელით გამოსთქვა სურვილი, რომ რემედასის მეორე ყრილობა შეიქნეს გამოსავალი წერტილი რემედასის მუშაობის გაძლიერებულად მსოფლიო კომუნის გამარჯვებისათვის. (ადს).

ახალი რეკორდი ჰაეროსტატით გაფრენაში

მოსკოვი, 19 მარტი. 19 მარტს დილ. 10 ს. კალუგის მახლობლად ძირს დაეშვა თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოების ჰაეროსტატი, რომელიც ფრინავდა 4 საათ. 32 წუთის განმავლობაში, რაიც ახალ საკავშირო რეკორდს წარმოადგენს. ჰაეროსტატს ფრენის დროს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა თავდაცვა-ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოებასთან, რომელიც აწვდიდა ცნობებს ფრენის შესახებ და მისგან იღებდა დირექტივებს ფრენის მიმართულების შესახებ. (ადს).

ინციდენტი საბჭოთა ოქროს გარშემო
(საუბარი ამერიკელ მრეწველთან)

20 მარტს თბილისში ჩამოვიდა ამერიკის ხე-ტყის მრეწველობის მსხვილ ორგანიზაციების წარმომადგენელი და მონაწილე მოქ. ლუი მესმერი.

ჩამოსვლის მიზანს შეადგენს კავკასიის ძვირფასი ხე-ტყის მასალის ამერიკაში გატანის საკითხის გამორკვევა. ლუი მესმერი თბილისში ჩამოსვლამდე იყო მოსკოვში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა ხე-ტყის მასალის საექსპორტო ორგანიზაციებთან.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ლუი მესმერმა გამოსთქვა თავისი აზრი საბჭოთა ოქროს გარშემო ნიუ-იორკში მომხდარ ინციდენტის შესახებ:

„ვაჭრობა საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის,—სთქვა ლ. მესმერმა—განუწყვეტლივ იზრდება, ამერიკის იმ სავაჭრო სამრეწველო წრეებს, რომლებიც ოპერაციებს აწარმოებენ საბჭოთა კავშირთან, არავითარი საფუძველი არა აქვთ უკმაყოფილო იყვნენ უკანასკნელით. ორივე ქვეყანას შორის დამყარებულმა სავაჭრო ურთიერთობამ ნათელჰყო, რომ საბჭოთა კავშირი პირნათლად ასრულებს ყველა ნაკისრ ვალდებულებებს და ამერიკის სამრეწველო წრეები სრული დამშვიდებით შეყურებენ ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას.

საბჭოთა ოქროს გარშემო მომხდარი ინციდენტი, როგორც პირადათ ჩემთვის, ისე, მემგონია, ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო წრეებისთვისაც, სრულიად მოულოდნელი იყო. საფრანგეთის ბანკის პრეტენზიები უსაფუძვლოა.

საბჭოთა მთავრობას ანგარიშის გასასწორებლად მართლაც რომ საფრანგეთის ოქროს ფრანკები გაეგზავნა და მართლაც რომ შესაძლებელი იყოს იმის დამტკიცება, რომ ეს ოქრო საფრანგეთის ბანკის საკუთრებას წარმოადგენს, მაშინ საკითხი შეიძლებოდა გართულებულიყო.

ამ შემთხვევაში კი სულ სხვა მდგომარეობაა, რომელიც სრულიად არ ლაპარაკობს იმას, რომ საბჭოთა დაკვეთებზე ანგარიშის გასასწორებლად გაგზავნილ ოქროს კონფისკაცია უყონ ან და არ მიიღონ ის ხაზინაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს დღეებში ეს საკითხი გადაწყდება საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ ისე, რომ არავითარ გავლენას არ მოახდენს ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო ურთიერთობაზე".

თათბირი წყალთა მეურნეობის საკითხებზე

მეშვიდე სხდომა

მეშვიდე სხდომაზე სარიგაციო სამუშაოების ფინანსების უზრუნველყოფის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ინჟ. ბრედტჩენკო. მოხსენებელი აღნიშნავს, რომ სარიგაციო სამუშაოებში მთავარი მნიშვნელობა აქვს სამუშაოებზე დახარჯულ თანხების კომპენსაციას და მათ დაბრუნებას. ეს შეიძლება მოხდეს სარიგაციო სისტემების მიზანშეწონილი ექსპლოატაციით. მაგრამ საექსპლოატაციო გადასახადების წესი ჩვენს სინამდვილეში სულ სხვანაირი უნდა იყოს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამერიკაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მომხსენებლის გადმოცემით, წყალი არის საქონელი და მას ჰყიდიან ისე და იმ ფასად, როგორც ეს კერძო მწარმოებლის ინტერესებს შეეფერება. ჩვენში კი წყალით სარგებლობა უნდა მოეწყოს საერთო სახალხო მეურნეობის ინტერესების საფუძველზე. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიაშიც სარწყავ წყალზე გადასახადების დაწესების დროს გამოდიან „სამეურნეო ანგარიშიანობის" პრინციპიდან და ანგარიშში არ უწევენ სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

შემდეგ მომხსენებელი კიცხულობს გეგმას, რომლის საფუძველზედაც უნდა ხდებოდეს გადასახადების განაწილება წყლით მოსარგებლეებზე. გადასახადების რაოდენობის ნორმა უნდა იყოს გამოანგარიშებული სარწყავ სისტემაზე დახარჯული კაპიტალის მიხედვით და ამავე დროს მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მეურნეობის გაუმჯობესების დონე.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

მერვე სხდომა

მერვე სხდომაზე თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სარწყავი სისტემის ხარჯების დაფარვის საკითხს. აღნიშნულ საკითხის შესახებ სპეციალური მოხსენებით გამოვიდა ა. ბოკშიკი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთელი რიგი სარწყავი სისტემები ყოველგვარ ხარჯებს ფარავენ საკუთარი შემოსავლით. დღემდე ამ საკითხის მოგვარებას არ ჰქონდა მიპყრობილი შესაფერი ყურადღება.

ეხლა, როდესაც მთელ ამიერ-კავკასიაში უკვე გვაქვს რამოდენიმე კარგად მოწყობილი სარწყავი სისტემა, საჭიროა მოგვარებულ იქნას აღნიშნულ სისტემების ექსპლოატაციის საკითხები.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის ზოგიერთ რესპუბლიკებში სარწყავი არხები ჯერ კიდევ არ არიან გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე. ამიტომ თათბირმა საჭიროდ აღიარა, რომ თანდათანობით ყველა სარწყავი სისტემები გადაყვანილი იქნეს სამეურნეო ანგარიშზე. ამ მიზნით რესპუბლიკანურმა წყალთა მეურნეობის სამმართველოებმა უნდა შეასრულონ შემდეგი სამუშაოები: გამოარკვიონ, თუ რა დაჯდა თვითეული სარწყავი სისტემის მოწყობა, რა სარგებელს აძლევს მეურნ. ესა თუ ის სისტემა, რამდენი დესეტინა მიწა ირწყვება ამა თუ იმ არხით და სხვა.

ყველა აღნიშნულ ცნობების დამუშავების შემდეგ შედგენილ უნდა იქნეს სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის გეგმები.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ, საღამოს დაიხურა თათბირი წყალთა მეურნეობის და წყალით სარგებლობის საკითხების შესახებ.

თათბირის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინეს რეზოლიუციები სარწყავი სისტემების ექსპლოატაციის, წყლით სარგებლობის ორგანიზაციის, წყალთა კოდექსის და სარიგაციო სამუშაოთა პერსპექტივების შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო.

დასასრულ თათბირმა დაადგინა, რომ თათბირის მუშაობის მთელი მასალები გამოცემულ იქნას ცალკე წიგნათ, რომ ადგილებს უფრო გაუადვილდეს თათბირის დადგენილებებით ხელმძღვანელობა.

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

საქ. კ. პ. ც. ს. კ. და მუშ. და გლეხთა ინსპექცია თვალყურს ადევნებს თესვის კამპანიის სათანადოთ ჩატარებას

თესლეულის დამზადება.-საკვების მომარაგება საქონლისათვის

სას.-სამ. მანქანების მიღება.-კრედიტების განაწილება კოლმეურნეობებს შორის

მეთვალყურეობა თესვის კამპანიის ჩატარებაზე

ამჟამად საქ. კ. პ. ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექცია დიდ ყურადღებას უთმობენ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ორჯონიკიძის დეპეშისა და ცირკულიარის მიღებისთანავე საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა ამხ. რასულ-ზადე დანიშნა მთავრობის მიერ თესვის კამპანიის გასატარებლად შედგენილ კომისიაში. მასვე დაევალა ხელმძღვანელობის გაწევა იმის შემოწმების საქმეში, თუ რამდენად ასრულებენ სამიწათმოქმედო ორგანოები, სასოფლო სამეურნეო საკრედიტო საზოგადოებები, კოოპერაცია და სხვა. უმაღლეს ორგანოების დირექტივებს თესვის კამპანიის წარმატებით გასატარებლად. ამ მიზნით ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მთელი რიგი შეკითხვები გაუგზავნა სათანადო ორგანოებს, რომლებმაც ამ შეკითხვებზე სასწრაფოდ უნდა გასცენ საჭირო პასუხი. ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშ. და გლ. ინსპექციის ადგილობრივ რწმუნებულებს ცენტრ. საკ. კომ. თავმჯდომარის და მუშ. და გლ. ინსპ. სახ. კომისარის ამხ. ა. დოლიძის სახელით დაეგზავნა დეპეშები და ცირკულიარები იმ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც საჭიროა თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად.

ამ ცირკულიარებში აღნიშნულია მთელი რიგი მომენტები, რომლებსაც მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს თესვის კამპანიის გატარების დროს, მაგალითად სოფლისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტების, სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების მიწოდება და მათი განაწილება ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის, აგრეთვე შეღავათების მინიჭება უმაღლეს ორგანოების დადგენილებების თანახმად.

რათა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას საშუალება ექნეს სასწრაფოდ გამოარკვიოს, თუ რა აბრკოლებს ადგილობრივ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშ. და გლ. ინსპექციის რწმუნებულებს ავტონომიურ რესპუბლიკებში და მაზრებში დაევალა ყოველკვირეული ცნობები მიაწოდონ ცენტრ. საკონტროლო კომისიას და მუშ. და გლ. ინსპექციას მიმდინარე მუშაობის მსვლელობის შესახებ.

ამას გარდა ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშ. და გლ. ინსპექცია ორკვირეულ ცნობებს უგზავნის საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის მსვლელობის შესახებ საქართველოში. პირველი ასეთი ცნობა უკვე გაიგზავნა ამხ. ორჯონიკიძის სახელზე.

რა გააკეთა მიწათმოქმედების კომისარიატმა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა მომავალ საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად დღემდე მიიღო შემდეგი ღონისძიებები:

თესლი

მიწათმოქმედების ხარისხოვან თესლეულობის ფონდიდან ღარიბ გლეხებს შორის გასანაწილებლად მაზრებს დაეგზავნათ 2355 ფუთი ხორბლეულის და სიმინდის ხარისხოვანი თესლი, სახალხო მამულებს—2240 ფუთი, აგრო-პუნქტებს—460 ფუთი. აგრეთვე მაზრებში მომუშავე აგრონომებს გადაეგზავნათ 400 ფუთი პურის და სიმინდის ხარისხოვანი თესლი. ამ თესლებით აგრონომებმა თავიანთ სამოქმედო რაიონების ფარგლებში უნდა დათესონ 10 ჰექტარი მიწა. ხარისხოვან თესლის მისაღებად შემდეგი წლისათვის.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში ამჟამად 59 გამქირავებელი პუნქტია, ამ პუნქტებს აქვთ 408 გუთანი, 76 სათესი მანქანა, 117 ნიადაგის დამამუშავებელი მანქანა და სხვადასხვა ხელსაწყო.

ამას გარდა არსებობს თესლის გამწმენდი 48 პუნქტი, რომლებსაც აქვთ 52 მანქანა.

მიწათმოქმედების კომისარიატმა გადასწყვიტა ის 2 ტრაქტორი, რომელიც კომისარიატს ამჟამად აქვს თბილისში, გამოიყენოს თბილისის რაიონში ღარიბ გლეხების მიწების მოსახნავათ.

მიწსახკომის 1927—28 წლის გეგმით უკვე მიღებულია და ახლო ხანში მაზრებს შორის განაწილებული იქნება 2200 გუთანი, 250 ფარცხი, 550 კულტივატორი, 150 სათესი მანქანა, 40 ძნების ამკინძავი; 550 სათიბი, სიმინდის და ხორბლეულის 500 სალეწი მანქანა, 250 სანიავებელი, 100 ჩალის სამკალი, 100 სარკვევი მანქანა, 16 ტრაქტორი, 500 ვერმორელი და 2000 გოგირდის მისაყრელი იარაღი. ამ იარაღს გარდა შეძენილია კიდევ 270.000 ათასი მანეთის სხვადასხვა სასოფლო სამეურნეო ინვენტარი. ეს მანქანა-იარაღები მაზრებსა და გლეხებს შორის განაწილებული იქნება „სოფლის კავშირის" საშუალებით.

ტრაქტორების გამოყენება

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით, ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 227 ტრაქტორი, აქედან აღმოსავლეთ საქართველოშია—198, დასავლეთ საქართველოში—20, აფხაზეთში—5, აჭარისტანში—2, ოსეთში—2. ყველა ტრაქტორი მუშაობს ნავთით.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული წინადადება მისცა ყველა კოლექტიურ ამხანაგობებს და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ ტრაქტორი, სასწრაფოდ გასინჯონ ტრაქტორები და მიიღონ სათანადო ზომები, რათა ყოველი ტრაქტორი შეუფერხებლად იქნეს გამოყენებული თესვის კამპანიის განმავლობაში.

ცირკულიარულ წინადადებასთან ერთად მათვე დაეგზავნათ ტრაქტორის ნაწილების პრეისკურანტი, რომლის მიხედვით ტრაქტორის მქონე ორგანოებს შეუძლიათ ტრაქტორის ესა თუ ის ნაწილი მოითხოვონ მიწათმოქმედების კომისარიატიდან.

მიწათმოქმედების კომისარიატმა აიყვანა სპეციალური მონტიორები, რომლებიც პირველ მოთხოვნილებისთანავე გაგზავნილი იქნებიან მაზრებში ტრაქტორების შესაკეთებლად.

ტეხნიკური კულტურები

მიწსახკომის ცნობით წელს მთელ საქართველოში ბამბა დათესილი იქნება 6400 დესეტინაზე, რომლისთვისაც უკვე მზათაა 19.000 ფუთი თესლი. კანაფი—400 დესეტინაზე, თესლი დამზადებულია 1200 ფუთის რაოდენობით, თამბაქო—13.900 დესეტინაზე და შაქრის ჭარხალი—50 დესეტინაზე. თამბაქოს და ჭარხლის თესლებიც დამზადებულია საჭირო რაოდენობით.

წამლეულობა და საქონლის საკვები

უკვე მიღებულია და ამ დღეებში მაზრებს დაეგზავნებათ: 1900 ტონა შაბიამანი და 800 ტონა გოგირდი.

ამას გარდა, მიწსახკომის მიერ შეძენილია და დიდი ზამთრის გამო დაზარალებულ რაიონებში იგზავნება საქონლის სხვადასხვა საკვები, მათ შორის—30.00 ტონა ქატო და 45.000 ტონა კოპტონი.

თესლეულობის დამზადება

გასული წლის მოუსავლობის გამო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისთვის საჭირო იყო სათესლე მასალის დამზადება, ვინაიდან ჩრდილო-კავკასიის სიმინდი გამოუსადეგარია სათესლეთ, გადაწყვეტილი იყო სათესლე სიმინდის ადგილობრივ დამზადება. ამ მიზნით „სოფლის კავშირმა" შეიძინა და გაუნაწილა ამხანაგობებს 25.000 ჩრდილო კავკასიის სიმინდი, რომელიც ადგილებზე გაცვლილი უნდა იქნეს ადგილობრივ სიმინდზე. გარდა ამისა, „სოფლის კავშირი" შეუდგა ადგილობრივი სიმინდის დამზადებას ნაღდ ფულზე.

სათესლე ხორბალი „სოფლის კავშირის" მიერ დამზადებული იქნება 3.000 ფუთის რაოდენობით; ადგილებს უკვე გადაეცა 4.000 ფუთი უკრაინული ხორბალი.

სათესლე მასალების დასამზადებლათ „სოფლის კავშირს" გადაცემული აქვს 50.000 მანეთი—აქედან სათესლე სიმინდზე დაიხარჯა 44.000 მანეთი ხოლო დანარჩენი თანხა გადადებულია სიღნაღის მაზრისთვის საჭირო ხორბლის შესაძენათ.

გასული წლის 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე „სოფლის კავშირმა" მიაწოდა მოკავშირე ორგანიზაციებს ტრაქტორები—10, ტრაქტორის გუთნები „კოკშუტი"—6 ცალი, სათესი მანქანები—31 ცალი, ფარცხები—14 ცალი; სიმინდის საცეხველები—100 ცალი, სანამყენე დანები—1936 ცალი, ბაღის ხერხები—117 ცალი; ხილის სათესლე მანქანები—2 ცალი და შაბიამანი—213.976 კილოგრამი.

პურის გადაცვლა თესლზე

ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულთან შემდგარი თათბირის დადგენილების თანახმად, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს მიეცათ 100.000 ფუთი ხორბალი სათესლე მასალაზე გადასაცვლელად. ამ რაოდენობიდან საქართველომ მიიღო 60.000 ფ. (40.000 ფ. სიმინდი და 20.000 ფ. ხორბალი), სომხეთმა 30.000 ფ. და აზერბეიჯანმა 10.000 ფ. ხორბალი.

კრედიტები თესლეულობის შესაძენათ

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თესლეულის შესაძენათ გადასდო 200.000 მანეთი. აქედან სომხეთს მიეცა 100.000 მან., საქართველოს—70.000 მან. და აზერბეიჯანს—30.000 მანეთი. ეს თანხები გადაეცა რესპუბლიკანურ სას.-სამეურნეო ბანკებს, რომლებმაც კრედიტები უნდა გაანაწილონ თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ სამეურნეოებთან შეთანხმებით.

ავტონომიური ოლქები კრედიტებს მიიღებენ რესპუბლიკანურ სას.-სამ. ბანკების საშუალებათაგან.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიღება

გუშინ „ზაკტელმაშმა" მიიღო დეპეშა, რომ ბათუმში მოვიდა ამერიკული გემი „ოვრე", რომელმაც მოიტანა „ზაკტელმაში"-ს მიერ ამიერ-კავკასიისათვის დაკვეთილი ბამბისა და სიმინდის სათესი 236 მანქანა.

ამ რაოდენობიდან საქართველო მიიღებს 60 ცალს, აზერბეიჯანი—106 და სომხეთი—70.

ამგვარად, წლევანდელ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის „ზაკტელმაში"-ს მიერ ამ.-კავკასიის რესპუბლიკებში განაწილებულია 446 სათესი მანქანა.

ამავე გემით მიღებულია აგრეთვე „ინტერნაციონალი"-ს სისტემის 29 ტრაქტორი და „ჰოლტი"-ს სისტემის—8 ტრაქტორი. გაცემულია განკარგულება საქართველოში რვა „ინტერნაციონალის სისტემისა და რვა „ჰოლტის" სისტემის ტრაქტორის გადმოტვირთვის შესახებ. დანარჩენი ტრაქტორები ნაწილდება ასე: აზერბეიჯანს—15 და სომხეთს—6 ტრაქტორი.

ამასთანავე გემ „ოვრე"-თი მიღებულია სამი კომპლექტი მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოებისათვის.

დეპეშა ამხ. ს. ორჯონიკიძეს

საგაზაფხულო თესვის კამპანიის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში ამხ. ბაგიროვმა თესვის კამპანიის საკავშირო რწმუნებულს ამხ. ს. ორჯონიკიძეს გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გთხოვთ შეგვატყობინოთ პასუხი ჩვენს შუამდგომლობაზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისთვის სათესლე მასალის მიწოდების შესახებ. ამასთანავე გთხოვთ დაგვრთოთ ნება შევუდგეთ მუშა-საქონლისათვის საკვების დამზადებას ჩრდილოეთ-კავკასიაში. სომხეთის საჭიროებისათვის ჩრდილოეთ-კავკასიის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ჯერ-ჯერობით დაამზადეს მხოლოდ 35.000 ფუთი თივა.

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში კვლავ გრძელდება თოვა, ამიტომ განსაკუთრებულ მწვავე ხასიათს იღებს საქონლის საკვების კრიზისი, რის დაძლევაც საჩქაროთაა საჭირო, რომ ხელი არ შეეშალოს თესვის კამპანიის ჩატარებას".

პარტიული ცხოვრება

რა გვიჩვენა გამოკვლევამ
(პარტდატვირთვის საკითხები)

თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომმა ახლო წარსულში ჩაატარა 14 უჯრედის გამოკვლევა. სხვა საყურადღებო მასალის შორის, რომელიც მოგვცა ამ გამოკვლევამ, ძალზე საინტერესოა ცნობები პარტდატვირთვის შესახებ. უნდა ითქვას, რომ გამოკვლეულ უჯრედთა შორის არის როგორც საწარმოო, ისე საბჭოთა უჯრედები მართალია მიღებული ცნობები ამომწურავათ არ ჩაითვლება, მაგრამ ისინი მაინც იძლევა დამახასიათებელ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება პარტდატვირთვა ჩვენს უჯრედებში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ერთი მეტად გავრცელებული არანორმალური თითქმის საყოველთაო მოვლენა, რომელიც გვხდება პარტდატვირთვის განაწილების საქმეში. ეს არის ის, რომ მთელ რიგ უჯრედებში შეხვდებით ამხანაგებს, რომელთაც 3—4 პარტიული მოვალეობა აქვთ დაკისრებული. ამავე დროს უჯრედის წევრთა დანარჩენ და უდიდეს ნაწილს ან თითო პარტიული დავალება აქვს ან სრულიად განთავისუფლებულია პარტიულ სამუშაოდან. ასე მაგალითად, პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბაში უჯრედის ერთ წევრს აქვს დაკისრებული 4 მოვალეობა, რუსულ მუშფაკის უჯრედში კი 65 კაცს (53 პროცენტს) სრულიად არა აქვს არავითარი პარტიული დატვირთვა. საერთოდ გამოკვლეულ უჯრედებში 908 კაციდან პარტიული დატვირთვა აქვს მხოლოდ 465 კაცს (51 პროცენტი).

ასეთი მდგომარეობა ყოვლად გაუმართლებელია, როგორც ჩვენი წესების, ისე პარტიულ მუშაობის მიხედვით. ზოგჯერ ამ არანორმალობას ხსნიან იმით, რომ უჯრედში არ არის პარტიული სამუშაო ყველასათვის. ვთქვათ—ეს ასეა. მაშინ, რატომ ხდება პარტდატვირთვის ასეთი არათანაბარი განაწილება, როცა ერთს ათი საქმე ეკისრება, ხოლო დანარჩენები სრულიად განთავისუფლებულნი არიან პარტიულ მოვალეობისაგან? ცხადია ასეთი მდგომარეობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ბიუროებმა ბევრ შემთხვევაში, ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს პარტიულ მუშაობის რაციონალურად განაწილება. ამ საკითხს უჯრედებში არ ეთმობა სათანადო ყურადღება. დავალებები ეძლევა მას, ვინც მეტ აქტივობას იჩენს, ვისაც მეტი ცოდნა და გამოცდილება აქვს. ბიუროები მიდიან ნაკლები წინააღმდეგობათა გზით. უჯრედის პასივი კი ხელუხლებელი რჩება. მის ჩაბმაზე პარტიულ მუშაობაში, ვისთვის შესაფერის თუნდაც მცირე მოვალეობის გამოძებნაზე ხშირად არავინ ზრუნავს.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს აღარ უნდა გაგრძელდეს. მე-4 რაიონის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიერ მოცემული საგულისხმო მასალებიდან ჩვენმა უჯრედებმა სათანადო პრაქტიკული დასკვნა უნდა გამოიტანონ.

ზ. დ.

ჩვენი მიღწევები
(გორის მ.)

ამ რამოდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვიდღესასწაულეთ ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი. ეს დღე მით უფრო შესანიშნავია, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ მოახდინა იმის შემოწმება, თუ რა არის გაკეთებული განვლილ ხანში ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლათ და რის გაკეთება შეიძლება მომავალში.

წელს ქ. გორში, ბორჯომში და ხაშურში გახსნილია ბავშთა კონსულტაციები. მოეწყო 5 ადგილას მექათმეობის ნადები, მებოსტნეობა მებაღეობის არტელები, მეაბრეშუმეობის კოლექტივები და ორ ალაგას აბრეშუმის ფარდული.

კოოპერატივის მიერ გაღებულ თანხებიდან უღარიბესი ქალები მიღებულ იქნენ კოოპერატივის წევრებათ. მოეწყო კოოპერატივთან დედათა და ბავშთა კუთხე (სადაც იქნება გასაყიდი უსაჭიროესი ნივთები დედების და ბავშებისათვის), შეძენილი იქნა კოოპერატივის მიერ ლიტერატურა ქართულ ენაზე. გლეხკომმა იყიდა საკერავი მანქანები, რომლებიც გადასცა სამკერვალოს და ჭრაკერვის სკოლას. წამოყენებული იქნა საპასუხისმგებლო სამუშაოზე რამოდენიმე მშრომელი ქალი, მიღებულ იქნენ პარტიაში მუშა ქალები და გადარიცხული იქნენ კომკავშირიდან პარტიაში ასაკ შესრულებული აქტივისტი ქალები.

ლ. მღებრიშვილი.

პარტგანათლება ჩვენს მაზრებში

პარტგანათლების ქსელის გაშლა დაიწყო ოქტომბრის შუა რიცხვებიდან. პირველად გაიხსნა სოფლის მოძრავ პოლიტცოდნის სკოლები 80-დე, შემდეგ სოფლის სტაციონალური, ქალაქის შემოკლებული და ნორმალური სკოლები, გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები, საგნობრივი და მიმდინარე პოლიტიკის წრეები. მოძრავ სკოლების გამოშვება მოხდა იანვარში და თებერვალში ჩამოყალიბდა ახალი სკოლები, რომლებმაც უნდა გაიარონ კურსი სასწავლო წლის ბოლომდე.

ამჟამად სწარმოებს პარტგანათლების სისტემატიურ და არა სისტემატიურ ქსელის სკოლებისა და წრების და მსმენელთა რაოდენობის აღრიცხვა. ზოგიერთმა მაზრებმა ცნობები წარადგინა, რომლების მიხედვით პარტგანათლება შემდეგ სურათს იძლევა.

ახალციხე: სოფლის მოძრავი სკოლა 2—67 მსმენელით; ქალაქის შემოკლებული სკოლა 3, მსმენელი 84; სოფლის სტაციონარული სკოლა 3, 86 მსმენელით; ლენინიზმის წრე—1, 33 მსმენელით; მუშა-ქალთა პოლიტცოდნის წრე 1, 23 წევრით; გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები 7, მსმენელთა რიცხვი 218

ახალქალაქი: მოძრავი სკოლები—4—110 მსმენელით; სტაციონარული სკოლა—2—47 მსმენელით; პარტისტორიის შემსწავლელი წრე 2—44 წევრით; შემოკლებული სკოლა 2—41 მსმენელით; ქალთა პოლიტცოდნის წრე 1—19 წევრით; გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებები—3—59 მსმენელით.

ფოთი: ქალაქის ნორმალური სკოლები (მათ შორის 2 სავეჩერო) 4—274 მსმენელით; შემოკლებული სკოლები 8—333 მსმენელით; ლენინიზმის წრე 1—47 წევრით, ისტორიული მატერიალიზმის 1—18 წევრით; სადელეგატო კრებების პუნქტები 7—134 მსმენელით.

შორაპანი: მოძრავი სკოლები 4, მსმენელები 119; სტაციონარული სკოლა 21; ქალაქის შემოკლებული სკოლა 7; საღამოს პოლიტკურსი 1; ლენინიზმის წრე 1; ანტირელიგ. წრე 1; აგიტატორთა წრე 2; მსმენელთა რიცხვი წრეებში და სკოლებში აღემატება 700 კაცს.

თელავი: მოძრავი სკოლა 8; მსმენელები 264; სტაც. სკოლები 2. მსმენელები 102; ლენინიზმის წრე 1—26 წევრით; ანტირელ. წრე 1; თვითგან. წრე 6—62 წევრით; აგიტატორთა წრე 1—20-მდე წევრით. პოლიტწრე—22 67 წევრით.

დუშეთი: მოძრავი სკოლა 22—55 მსმენელით; სტაციონ. 2—65 მსმენელით.

სენაკი: მოძრავი სკოლა 5, მსმენელნი 191.

ზუგდიდი: მოძრავი სკოლა 4, მსმენელნი 112; სტაციონარული 12, მსმენელნი 335.

ვემზადებით კულტურულ მუშაობისათვის
(ცენტრ. პარტიული სკოლა)

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის ცენტრ. პარტ. სკოლა აერთიანებს 190 კურსანტს.

სოფლად და ქალაქად პრაქტიკულ კულტურულ მუშაობის საწარმოებლად კურსანტებისათვის სკოლის კლუბთან დაარსებულია შემდეგი წრეები: სამხატვრო, მომღერალთა, ქადრაკის და სხვა. ეს წრეები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან. ტარდება სხვადასხვა წარმოდგენები, ეწყობა დღესასწაულები, მხიარული საღამოები და სხვა. აქ არსებობს სკოლის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიაც და ყოველთვიურად გამოდის კედლის გაზეთი.

დ. წოწერია.

კომკავშირში
ჩვენი ნაკლი და მიღწევები
(ს. ბანძა, სენაკის მაზრა)

ბანძის თემის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია აერთიანებს დაახლოებით 35 კაცს. უჯრედი იზრდება, როგორც რიცხობრივად, ისე თვისობრივადაც. უპარტიო ახალგაზრდობის კომკავშირისაკენ ლტოლვა დიდია. გლეხობა კ. კავშირს ნდობით უყურებს. უჯრედში ჩამოყალიბებულია პოლიტწრე და პოლიტსკოლა. უჯრედს არა აქვს ოთახი. ეხლანდელი მისი ბინა კლუბის კორიდორზეა მოთავსებული. უჯრედის ოთახში დაეტევა 3—4 კაცი. ეს კი მუშაობას აბრკოლებს.

პიონერთა შორის მუშაობა არა სდგას შესაფერ დონეზე. საუბარი პიონერთა შორის ყოველთვის სწარმოებს, მაგრამ ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც ბავშებს ძლიერ აინტერესებს, სათანადო სპეციალისტის უყოლობის გამო, არ სწარმოებს. ოპოზიციონურ გადახრებს ბანძის კომკავშირში ადგილი არ ჰქონია. კომკავშირსა და პარტიას შორის არის მჭიდრო კავშირი. ბანძის კომკავშირის უჯრედს მოსდის სხვადასხვა გაზეთები და ჟურნალები. ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ კომკავშირი არ სცემს კედლის გაზეთს, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ორგანიზაციისათვის.

ბაგრატი პატარაია.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ზოგიერთ თემსაბჭოსთან არ არსებობენ სექციები

ფოთის სავაჭრო-კოოპერატიულ სექციას დღიდან ჩამოყალიბებისა ჰქონდა მხოლოდ ერთი სხდომა

ფოთის საბჭოს სექციები

ფოთის ქალაქის საბჭოში უკანასკნელ დრომდე ჩამოყალიბებული იყო შემდეგი სექციები: 1. ადგილობრივი მეურნეობის, 2. ჯანმრთელობის, 3. განათლების, 4. საფინანსო-საგადასახადო და 5. სავაჭრო-კოოპერატიული. ახალი დებულების თანახმად მიმდინარე წლის თებერვლიდან დაარსებულია ერთი სექცია: სასამართლო-ადმინისტრატიული და მუშათა და გლეხთა ინსპექციის.

ალმასკომის პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია, რომელიც 15 მარტიდან შეუდგა სექციების მუშაობის გამოკვლევას. ამ გამოკვლევას რომ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნეს, კომისიამ თავის პირველ სხდომაზე დაადგინა გამოკვლევა მოხდეს სექციის წევრთა დასწრებით, ცოცხალი აზრთა გაცვლა მეტსა და უტყუარ მასალას მისცემს კომისიას სექციების მუშაობის გამოსაცნობად.

სავაჭრო-კოოპერატიული სექცია

სექციაში ირიცხება 18 წევრი. სექციის სხდომა მოწვეული იყო ორჯერ. პირველი გასული წლის 5 აპრილს, მეორე იმავე წლის 7 ივნისს. არც ერთხელ კრება არ შემდგარა. არ არის ცნობები, თუ რა იყო მიზეზი, ან რა ზომები იქნა მიღებული ასეთი არანორმალური მდგომარეობის გამოსასწორებლად. უკანასკნელი კრება შესდგა მიმდინარე წლის 28 თებერვალს. სამუშაო გეგმის განხილვა სექციაში არ სწარმოებდა. სექციამ ბიურო გამოჰყო 28 თებერვლის სხდომაზე. აქვე გარჩეულია წარმოებასთან დაკავშირებული ორი საკითხი: სურსათ-სანოვაგით მომარაგების და საქონლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. კრებას 18 წევრიდან დაესწრო 13. წევრების აქტივობა კრებაზე სუსტია. აქტივობას იჩენს მხოლოდ ერთი წევრი ამხ. ჩხარტიშვილი. სექციას სამუშაო გეგმა არა აქვს.

სასამართლო-ადმინისტრატიული სექცია

ეს სექცია ჩამოყალიბებულია მიმდინარე წლის 7 თებერვლიდან. სექციის პირველი სხდომა შესდგა 1-ლ მარტს. სხდომას 13 წევრიდან დაესწრო 9. სექციას ჰყავს მიმაგრებული აქტივიდან ორი წევრი. პირველ სხდომაზე სექციამ დაამუშავა შემდეგი საკითხები: 1. სექციის მნიშვნელობა, 2. ბიუროს არჩევა, 3. სამუშაო გეგმის შედგენა როგორც სექციისათვის, ის ბიუროსა.

ბიუროს თავმჯდომარედ ადმინისტრატიულ განყ. გამგის არჩევით, სექციის დებულება და რეგლამენტი. ეს სექცია ახლადაა ჩამოყალიბებული და ბევრის თქმა მის მუშაობაზე არ შეიძლება, მაგრამ აქედანვე ეჩნევა დეფექტიც: დადგენილი იყო სექციის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი ყოფილიყო ერთი კვირის განმავლობაში, რაც დღესაც არ არის შესრულებული.

ილ. ჟუანია.

საგარეჯოს თემსაბჭო

(გარე-კახეთი, თბ. მაზრა)

როგორ ჩატარდა საანგარიშო კამპანია

ამას წინად დამთავრდა საგარეჯოს თემსაბჭოს საანგარიშო კამპანია. ამომრჩევლებმა მოისმინეს თემ-საბჭოს წლიური მუშაობა-მოღვაწეობის მოხსენება. საანგარიშო კამპანიის დაწყებამდე ჩატარებული იქნა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა. კამპანიაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმის მიზნით ჩატარდა გლეხთა აქტივის, ღარიბ გლეხთა და მასწავლებელთა საგანგებო თათბირები, მოწვეულ იქნა თემსაბჭოს გაფართოებული სხდომა, სადაც სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში დასმული იყო თემ-ალმასკომის საანგარიშო მოხსენება და თემ-საბჭოს საანგარიშო კამპანიის ჩამტარებელ კომისიის არჩევის საკითხი. ამას გარდა მასალების დაწვრილებით შესწავლის და დამუშავების მიზნით ჩატარდა საბჭოს წევრ მომხსენებლების თათბირი. მოსამზადებელ მუშაობის ჩატარების შემდეგ, დაიწყო თემ-საბჭოს საანგარიშო მოხსენების კითხვა, მოხსენება ჩატარებული იქნა 10 საარჩევნო პუნქტებზე.

როგორ მუშაობდა თემ-საბჭო

საანგარიშო ხნის განმავლობაში საბჭომ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა მასიური მუშაობის გასაძლიერებლად. საგარეჯოს თემ-საბჭო 104 წევრსა და 34 კანდიდატს აერთიანებს. თემ-ალმასკომში 5 წევრი და 2 კანდიდატია არჩეული. საანგარიშო პერიოდში შესდგა თემ-საბჭოს 11 და თემ-ალმასკომის 48 სხდომა. წევრ კანდიდატთა დასწრება, როგორც თემსაბჭოს, ისე თემ-ალმასკომის სხდომაზე ნორმალური იყო, წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყოველგვარი საკითხების განხილვაში. საბჭოს იმ წევრების და კანდიდატების წინააღმდეგ, რომელნიც სისტემატიურად არ ესწრებოდნენ სხდომებს, მიღებული იქნა საჭირო ზომები: საყვედურის და წინადადების გამოცხადებით და ნაწილობრივ საბჭოს წევრობიდან უკან გაწვევის სახით.

თემ-საბჭოსთან პირველათ მრავალი სექცია არსებობდა, მუშაობის პროცესში ზოგიერთება გაუქმებულ იქნა და დარჩა 4 სექცია: საამშენებლო-კეთილმოწყობის, სახოფლო მეურნეობის, საექიმო სანიტარო და კულტურულ-საგანმანათლებლო. პირველ ხანებში სექციების მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. ალმასკომმა მიიღო გადამჭრელი ზომები სექციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად მოწვეულ იქნა სექციების თავმჯდომარეების საგანგებო თათბირი, სადაც გაკეთებულ იქნა საინსტრუქციო-სახელმძღვანელო მოხსენება სექციების მუშაობის ირგვლივ.

ამას გარდა თემ-ალმასკომი სისტემატიურად იძლეოდა სექციების საანგარიშო-საინფორმაციო მოხსენებებს და აძლევდა მთელ რიგ საქმიან მითითებებს, რომელთა ცხოვრებაში გატარებამ საგრძნობლად გააჯანსაღა მათი მუშაობა.

სექციებში საბჭოს წევრებთან ერთად ჩაბმული იყვნენ არა წევრებიც: პროფკავშირის წევრები, გლეხ-ქალები, სოფლის მშრომელი ინტელიგენციის და ნაწილობრივ კომკავშირის აქტივი. სექციები წინასწარ ამუშავებდნენ საჭირბოროტო საკითხებს და შეჰქონდათ საბჭოში გარკვეული წინადადებანი ამა თუ იმ ნაკლის გამოსასწორებლად. კერძოთ აღსანიშნავია საამშენებლო სექციის ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც 85 საკითხი აქვს განხილული. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ თემ-ალმასკომის მიერ უარყოფილი ყოფილიყოს საამშენებლო სექციის ესა თუ ის წინადადება. საბჭოსთან თითქმის ყველა სექციები ორგანიზაციულად მოეწყო არსებულ წესის მიხედვით.

სექციების მუშაობის პრაქტიკაში წესათ იყო შემოღებული დროებითი—ქვე-კომისიების გამოყოფაც. სექციების თაოსნობით და თემალმასკომის დახმარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მშენებლობის და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოების დარგში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სექციების მუშაობა საგარეჯოში მტკიცე საფუძველზე სდგას.

ბევრ ადგილებში საბჭოების მიერ ამომრჩეველთათვის ანგარიშის ჩაბარებას შემთხვევითი ხასიათი აქვს. საგარეჯოში ეს, ასე არაა. საანგარიშო ხნის განმავლობაში—დეპუტატებმა სამჯერ ჩააბარეს ანგარიში ამომრჩევლებს თემსაბჭოს და თავიანთი მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე წესათ შემოღებული იქნა მომხსენებლებათ საბჭოს ისეთ წევრების გაგზავნა, რომლებიც დაწვრილებით იცნობდნენ თემსაბჭოს, თემ-ალმასკომის და ცალკე დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობას. ასეთმა ნაბიჯმა ხელი შეუწყო დეპუტატთა პასუხისმგებლობის ზრდას როგორც საკუთარ თვალში, ისე ამომრჩეველთა წინაშე.

საგრძნობლად გაუმჯობესდა სახოფლო-საზოგადო ყრილობებზე ხელმძღვანელობაც. თემ-ალმასკომი წინასწარ ამუშავებდა ყრილობის საკითხებს, აგზავნიდა საკითხებზე გამოცდილ ხელმძღვანელებს და მთლიანად სწორ ხელმძღვანელობას უწევდა მათ. ასეთი ხასიათის სხდომები დღემდის ჩატარებულია 62-ჯერ. სერიოზული ყურადღება ექცეოდა თემში არსებულ დაწესებულება - ორგანიზაციათა მუშაობის გამოცოცხლების საქმეს. ამ მიზნით თემსაბჭოს და თემ-ალმასკომის სხდომებზე ტარდებოდა მათი საანგარიშო მოხსენებები და ეძლეოდათ მთელი რიგი პრაქტიკული მითითებანი მომავალ მუშაობის გასაჯანსაღებლად. დღეს, თითქმის ყველა ორგანიზაციების მუშაობა საგარეჯოში სამაგალითოდ და სანიმუშოთაა წარმოებული.

ასეთი მიღწევებით ხასიათდება საგარეჯოს თემ-საბჭოს მიმდინარე საქმიანობა. საანგარიშო პუნქტებზე ჩატარებულ მოხსენებებს დაესწრო ამომრჩეველთა 30 პროც.

კამპანიის შედეგები

საანგარიშო კამპანიამ საგრძნობლად გაზარდა საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობა ამომრჩეველთა წინაშე. ამომრჩევლებმა თავიანთი საქმიანი კრიტიკით სავსებით გამოარკვიეს დეპუტატთა, საბჭოს და ალმასკომის მუშაობა. საბჭოს უმოქმედო წევრების მაგიერ აირჩიეს აქტიური პირები.

საანგარიშო კამპანიაში აღსანიშნავია ღარიბ გლეხობის აქტივობის თვალსაჩინო ზრდა. ძირითად დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სალი, ცოცხალი და საქმიანი მსჯელობა, რომელიც ფართოთ გაიშალა თემ-საბჭოს მუშაობა-მოღვაწეობის ირგვლივ და რომელმაც მოგვცა მთელი რიგი საქმიანი მითითებანი მომავალ მუშაობისათვის. კამპანიაში ადგილი არ ჰქონია კულაკურ და ანტი-საბჭოთა ელემენტების გამოსვლებს, რაც ღარიბ და საშუალო გლეხობის ძლიერი გავლენით უნდა აიხსნას. კამპანიაში საბჭოთა დემოკრატიის ფართოდ გატარებამ გამოასწორა წარსულში ჩატარებულ საბჭოების საანგარიშო კამპანიის ნაკლიც. დასკვნა ასეთია: მომავლისათვის—თემში სკოლის შენობის აგების და მისი გაფართოების საკითხი, თემის განათება, მიწათმოწყობის დაჩქარებით ჩატარება, სამანქანო ამხანაგობების მეტათ ჩამოყალიბებამ წყლის საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით პირველი ადგილი უნდა დაიკავოს თემ-საბჭოს მუშაობაში. სწორედ ამ საკითხების მოგვარებას თხოულობს ამომრჩეველთა მასა.

საჭიროა საანგარიშო პუნქტებზე მიცემულ პრაქტიკულ მითითებათა ზედმიწევნით დამუშავება, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს საბჭოს, მტკივნეულ ადგილების საფუძვლიანად გამოსწორებას.

ზ. ძ—ლი.

ახალ-ხიბულის თემსაბჭო

(ზუგდიდის მაზრა)

ამ დღეებში ჩატარებულ თემსაბჭოს მუშაობის საანგარიშო კამპანიამ ნათელი სურათი მისცა ამომრჩევლებს, თუ რა მუშაობა ეწარმოებოდა თემ-საბჭოსა და თემ-ალმასკომს საანგარიშო ხნის, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში.

სათემო საბჭოს ჰქონდა 20 სხდომა, სადაც გარჩეულია 101 საკითხი. საკითხები ეხება: გზების შეკეთებას, თემის საჭირბოროტო საკითხებზე მაზრის წინაშე შუამდგომლობის აღძვრას, აღმშენებლობას, კერძო ხასიათის განცხადებების განხილვას და სხვ.

თემსაბჭოს და ალმასკომის მიერ ჩატარებული მუშაობა მართველობის და რევოლიუციონური წესრიგის დაცვის დარგში გამოიხატა შემდეგში: მოსახლეობისადმი ახალი კანონების გაცნობა, ბრძოლა თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების, ქურდობის, მიწის ყიდვა-ცხადების განხილვას და სხვ.

მიწად-მოწყობა

ჩატარებული მუშაობა მიწად-მოქმედების დარგში არ არის საკმაო, ვინაიდან ახალ-ხიბულის თემი მიწად-მოწყობის საქმეში ძალზე ჩამორჩენილია, საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა მუშაობის ამ დარგისათვის. ჩამორთმეულ მიწების აღრიცხვა მოხდენილია და მზარეებზე, როგორიც ყოფილ მებატონეებზე, ისე მიწობილ გლეხებზე ჩამორთმეულ გამოიწერილი, რომ პირველმა ხელი არ შეუშალოს მეორეს და ამ უკანასკნელმა კი დაამუშაოს მიწები.

აღმშენებლობა

გზები შეკეთებულია ნაწილობრივ. გაკეთებულია 6 ბოგირი და ერთი დიდი ხის ხიდი ჭონის-წყალზე. შეკეთებულია აფთიაქის შენობა (ნაწილობრივ) საავადმყოფო, კლუბი და თემში არსებული სკოლის შენობები.

ჯანმრთელობის დაცვა

მუშაობა ჯანმრთელობის დარგში მოისუსტებს, რაც აიხსნება ექიმის უყოლობით. ამას წინად დაარსდა წითელ ჯვრის საზ-ბის დამაარსებელი ბიურო.

კულტურული მუშაობა

მუშაობა კულტურულ დარგში: დაარსდა 2 ლიკსკოლა, გამოცოცხლდა სამკითხველოს მუშაობა. მასწავლებლების მუშაობა სკოლის გარეშე დამაკმაყოფილებელია.

სათემო ბიუჯეტი

თემის ბიუჯეტი დეფიციტიანია. ბიუჯეტის არა დანიშნულებისამებრ შემცირებას ადგილი არ ჰქონია. სას.-სამ. გადასახადის აკრეფა ხდებოდა თავის დროზე. ნაკლი გადასახადის გაწერაში იყო უმნიშვნელო და ისიც გამოსწორებულ იქნა. თემის ბიუჯეტში 1927—28 წ. გათვალისწინებული იყო შემოსავალი 1982 მ., რომელიც ბიუჯეტის შედგენის შემდეგ გაიზარდა 180 მანეთით.

კოოპერაცია

საანგარიშო ხნის განმავლობაში კოოპერაციის წევრად შეყვანილ იქნა 310 წევრი. საერთოდ მომხ. კოოპერაციის წევრები თემში შეადგენენ მთელი მოსახლეობის 90 პროცენტს.

საფოსტო-სატელეფონო საქმე თემში სასურველ დონეზე სდგას.

გლეხკომები

ახალ-ხიბულის თემში არსებობს ორი გლეხკომი: ახალ-ხიბულის და ძველი-ხიბულის. მათი მუშაობა მოისუსტებს.

თემსაბჭოს საანგარიშო კამპანიაში გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს; ცხოველ მონაწილეობას იღებს საკითხების განხილვაში, აძლევს მითითებებს ნაკლთა გამოსწორების შესახებ და სხვ.

საერთოდ გლეხობა კმაყოფილია თემსაბჭოს მუშაობით.

ვასო ნ—ია.

თბილისი უზრუნველყოფილია პურით

თბილისში მოიპოება პურის ფქვილის დიდი მარაგი.—ყოველ დღე ცხვება 7.200 ფ. პური, რაც მოთხოვნილებას გადაჭარბებით აკმაყოფილებს. — რიგების გამრავლების მიზეზია საცხობების სიმცირე და მათი არათანაბარი განაწილება რაიონების მიხედვით. — მიღებულია ზომები საცხობების რაოდენობის გასადიდებლად.

(საუბარი ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთან საქართველოში—ამხ. საკიანთან)

უკანასკნელ დღეებში თბილისში პურის საცხობებთან გახშირდა „კუდები". ამის გამო გუშინ ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში — ამხ. საკიანს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

უკანასკნელ დღეებში პურის დუქნებთან გახშირებული რიგები არ არის გამოწვეული ფქვილის მარაგის უქონლობით. თბილისის მცხოვრებთა საერთო რიცხვი უდრის 296.400 კაცს, და დროებით ჩამოსულთა — 6.600 კაცს, სულ — 303.000 კაცს. თბილისისათვის საჭირო პურის რაოდენობის გამორკვევის დროს, სულზე ვიანგარიშეთ, საშუალოდ, 1,3 გირ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნორმა აღებულია მთელი მოსახლეობისათვის (მათ შორის ყველა ასაკის ბავშვებისთვისაც) და ამიტომ რეალურად მეტია ნამდვილ მოთხოვნილებაზე.

ამ ნორმის მიხედვით ქალაქ თბილისისათვის დღეში საჭიროა 7.100 ფუთი ფქვილი.

ფქვილის ეს რაოდენობა რომ არ ცხვებოდეს ყოველ დღე, რიგები პურის დუქნებთან ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა. მაგრამ საცხობებს ყოველ დღე ეძლევა 7.200 ფუთი ფქვილი, ე. ი. მაქსიმალურ მოთხოვნილებაზე მეტი 100 ფუთით. გარდა ამისა მთელი რიგი დაწესებულებები — საბავშო სახლები, საბავშო სასადილოები, ა. კ. კომუნისტური უნივერსიტეტი, გამსახლი და სხვ., რომლებიც შედიან მოსახლეობის საერთო რიცხვში, ცალკე ღებულობენ ფქვილს თავიანთ მოთხოვნილებისათვის.

ფქვილი ეძლევა აგრეთვე ბულკების გამოსაცხობად შრომის კოლექტივებს, მთელ რიგ საკონდიტროებს, მაკარონის და გალეტის ფაბრიკებს; ფქვილი ეძლევა წევრებზე გასაყიდათ მუშკოოპს, საგზაო - სატრანსპორტო და სამხედრო სამომხ. საზოგადოებებს 5 გირვანქის ანგარიშით თითო წევრზე.

ამ პირობებში, ცხადია 7.200 ფუთი ფქვილიდან გამომცხვარი პური სრულიად საკმარისია თბილისის მოსახლეობისათვის, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ახლო - მახლო სოფლებიდან ჩამოსული გლეხები გაზიდავენ თბილისიდან ცოტაოდენ გამომცხვარ პურს.

ამჟამად ფქვილის შემოზიდვა როგორც თბილისისთვის, აგრეთვე მთელი ამიერ - კავკასიისთვის სრულიად ნორმალურად მიმდინარეობს და არავითარი საფუძველი არ არის იმის, რომ შემოზიდვა შეფერხდება. პირიქით, ამჟამად იმდენი ფქვილია შემოზიდული, რომ პურის შემომზიდველ ორგანიზაციებს საწყობები სავსე აქვთ ფქვილით და ადგილი აღარა აქვთ ახლად მოსული ფქვილის შესანახად. ფქვილის შესანახ საწყობების საკითხი იმდენად მწვავეთ სდგას, რომ ამ საკითხის მოსაგვარებლად მოწვეულია სპეციალური თათბირი.

ასევე უსაფუძვლოა პურის გაძვირების შიში. მიუხედავად რიგებისა პურის ფასი აქამდე სტაბილურია, და რწმუნებულის აპარატი პურის საცალო ფასების შემცირების მიზნით შეუდგა პურის კალკულიაციის გადასინჯვას. ეს საქმე ეხლა გაცილებით ადვილი მოსაგვარებელია, ვინაიდან პურის ცხობა თბილისში მთლიანად გადაეცა კოოპერაციას. ამრიგად „კუდები" პურის დუქნებთან გამოწვეულია არა ფქვილის სიმცირით, არამედ შემდეგი მიზეზებით:

1) ომამდე თბილისში იყო 900 პურის დუქანი, შემდეგ ეს რაოდენობა შემცირებულ იქნა 500-მდე. ამრიგად პურის თითოეული დუქანი ომის წინანდელ დროსთან შედარებით დატვირთულია ორჯერ მეტად. ეს გარემოება, რასაკვირველია, ართულებს პურის ნორმალურად განაწილების საქმეს.

2) მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს 120 დუქანი ეჭირა კერძო პირებს, რომლებიც სარგებლობდნენ ზოგიერთ მაზრებში პურის გაძვირებით და პურის გამოცხობის ნაცვლად ფქვილს ყიდდნენ აწეულ ფასებში. ამ მიზეზების გამო 120 კერძო პურის მცხობელს აეკრძალა პურის ცხობა და მათი ნორმა ფქვილი ეძლევა კოოპერაციას. ამ გარემოებით კიდევ უფრო შემცირდა პურის დუქნების რიცხვი. ამჟამად კოოპერაციას თბილისში აქვს 418 პურის დუქანი. 1 აპრილისთვის კიდევ გაიხსნება 51 ახალი დუქანი. ამრიგად პურის გამსაღებელი პუნქტების რაოდენობა აყვანილი იქნება 460-მდე. შემდეგ, თუ საჭირო შეიქნა, დამატებით გაიხსნება დუქნების სათანადო რაოდენობა.

3) პურის გამსაღებელი პუნქტები ქალაქის უბნებს შორის განაწილებულია არა მიზანშეწონილად და ამჟამად სწარმოებს მუშაობა ამ საქმის მოსაგვარებლად.

4) მთავარი მიზეზი არის მოსახლეობის ობივატელური ნაწილის შიში. ობივატელი ადვილად ვარდება პანიკურ მდგომარეობაში და ყიდულობს პურს რამოდენიმე დღის მარაგათ.

პურის ვაჭრობის დრო მოგვარებულია და აქაც არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ არის მოსალოდნელი.

ჩვენ რამოდენიმეთ დავაგვიანეთ პურის გამსაღებელ ახალი დუქნების გახსნა, ვინაიდან ზოგიერთმა კოოპერატიულმა ორგანიზაციამ ვერ გაითვალისწინა პურის გამსაღებელ პუნქტების გამრავლების მთელი მნიშვნელობა. ეს საკითხი ეხლა უკვე მოგვარებულია და 1 აპრილისთვის, როგორც უკვე ვთქვით, გაიხსნება 51 ახალი დუქანი.

თბილისის მახლობელ რაიონებს ამჟამად ფქვილი ეძლევა რეგულიარულად. ამიტომ გამომცხვარი პურის გაზიდვა თბილისიდან საგრძნობლად შემცირდება, რაც გავლენას მოახდენს თბილისის პურის ბაზრის განმტკიცებაზე.

მასწავლებელთა ხელფასის მომატება

უმაღლესი სასწავლებლების და პროვინციის სკოლების მუშაკთა ხელფასის ფონდის გასაძლიერებლად საკავშირო თანხებიდან ამიერ-კავკასიას მიეცემა 1.168.000 მან. აქედან საქართველო მიიღებს 728.000 მანეთს.

უმაღლეს სასწავლებლების სამეცნიერო პერსონალის და პროვინციის სკოლების მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საკავშირო ორგანოებში გადაწყდა, აღნიშნულ სამსახურთა დაწესებულებათა პროფესორებისა და მასწავლებელთა ხელფასის ფაქტიური ფონდის გადიდება. ამიერ კავკასია ამ მიზნისათვის მომავალ საბიუჯეტო წელში მიიღებს 1.168.000 მანეთს.

საქართველო ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად ამ თანხიდან მიიღებს 728.000 მანეთს, აქედან 500.000 მანეთი უნდა მოხმარდეს პროვინციის მასწავლებელთათვის ხელფასის მომატებას. დანარჩენი 228.000 მანეთი —უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო პერსონალისათვის ხელფასის გადიდების საქმეს. ამ 728.000 მანეთს გარდა, საქართველოს დამატებით მიეცა 88.000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარდეს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაკთა ხელფასის მომატებას.

მასწავლებელთა ხელფასის ფონდის გაძლიერებისათვის გადადებული 500.000 მანეთი უნდა განაწილდეს საქართველოს ყველა მაზრების სკოლებს შორის (ავტონომიური რესპუბლიკებითურთ) გარდა თბილისის მაზრის სკოლებისა, რომლებიც იმყოფებიან ადგილობრივ ბიუჯეტზე.

საქ. ცაკში

გლეხკომების ყრილობა რაჭის მაზრაში

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ, გუშინ დეპეშა მიიღო რაჭის მაზრიდან, რომელშიაც ნათქვამია, რომ იქ გლეხკომების სამაზრო ყრილობა გაიხსნება 25 მარტს.

ახალციხის მაზრაში

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით, მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში ახალციხის მაზრაში მომქმედმა გლეხკომებმა დახმარებათ დაურიგა ღარიბ გლეხებს, ინვალიდებს, ობლებს, ქვრივებს და წითელ არმიელების ოჯახებს—1036 მანეთი და 26 კაპიკი. სესხით მისცა ღარიბ გლეხებს მეურნეობაში მოსახმარათ—956 მანეთი, ასესხებინა თავის თავდებობის ქვეშ 7 ღარიბ გლეხს საკრედიტო ამხანაგობიდან 700 მანეთი და თავის ხარჯით კოოპერატივში ჩააბა წევრებათ 203 ღარიბი გლეხი. შრომით დახმარება აღმოუჩინა 23 ოჯახს და დახმარებათ მისცა სხვადასხვა სახის კულტურულ დაწესებულებებს 252 მანეთი და 18 კაპიკი.

დახმარება ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ ბათომის ყრუ-მუნჯთა საზოგადოებას დახმარებათ მისცა 150 მანეთი.

დახმარება სკოლებს

საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ დახმარებათ მისცა სოფელ გუმათის (ქუთაისის მაზრაშია) სკოლას 150 მანეთი და სოფელ გურიანთის სკოლას (ოზურგეთის მაზრაშია)—320 მანეთი.

საქ. სახკომსაბჭოში

გრანიტის ქარხანა სოფ. კურსებში

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო დაწყებულ იქნეს მიმდინარე წელში გრანიტის ქარხნის აგება სოფ. კურსებში (ქუთაისის მაზრა).

აღნიშნულ ქარხნის მოწყობისათვის საჭირო იარაღების საზღვარგარეთიდან შემოტანა უნდა მოხდეს თბილისის ალმასკომის კომუნალური მეურნეობის საიმპორტო კონტინგენტის ანგარიშზე. რისთვისაც წინადადება მიეცა საგეგმო კომისიას გადასინჯოს ხსენებული კონტინგენტის სპეციფიკაცია ს. მ. უ. საბჭოსა და თბილისის ალმასკომთან ერთად.

ახალქალაქის მაზრალმასკომის შუამდგომლობა

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად ახალქალაქის მაზრის სოფლები პოგა, განძა და საღამო გადარიცხულ იქნენ საძოვართო რაიონში.

აღნიშნულ სოფლებისათვის საძოვრების გამოყოფის საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრა მიწსახკომს.

ქარხნების გადაცემა სარეწაო კოოპერაციისათვის

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, საქართველოს სარეწაო კოოპერაციის კავშირს გადაეცა უფასოდ შემდეგი ქარხნები ქ. თბილისში: ა) საპნის ქარხანა (კახეთის ქ.), ბ) საპნის ქარხანა (კომუნალური ქ.), გ) კერამიკული ქარხანა (ბ. ზუთის ქ.), დ) საპნის ქარხანა (ყოფ. ხოშტარიასი) და ე) ფანერის ქარხანა (ელისაბედის ქ.).

შრომის შემნახველი სალაროები

ა.-კ. ფინსახკომის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ა.-კ. შრომის შემნახველ სალაროების მდგომარეობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 1926—27 წელში, წინა წლებთან შედარებით მეანაბრეთა რიცხვი გაიზარდა 17.000 კაცით, ანაბრების ნაშთი გაიზარდა—1.809.000 მანეთით.

1927 წლის 1 ოქტომბრისათვის ა.-კ. შრომის შემნახველ სალაროებში ირიცხებოდა 31355 მეანაბრე, ხოლო ანაბრების ნაშთი უდრიდა 3.227.000 მანეთს. 1928 წლის 1 თებერვლისთვის ითვლებოდა 45.000 მეანაბრე და 4.200.000 მან. ანაბარი.

კოლეგიის დადგენილებით შრომის შემნახველ სალაროების მიღწევები მიჩნეულია დამაკმაყოფილებლად.

ამასთანავე კოლეგია აღნიშნავს, რომ გლეხობა სუსტად არის ჩაბმული სალაროების საქმიანობაში (222 მეანაბრე გლეხი 6.300 მან. ანაბრებით); თანამშრომლები საკმაოდ არ არიან დატვირთული; ცენტრალურ სალაროებში არ სწარმოებს საფონდო და საბანკო ოპერაციები; აზერბეიჯანის დამოუკიდებელი შრომის სალარო, ბაქოს ეკონომიურ შესაძლებლობასთან შედარებით, სუსტად არის ჩაბმული სესხების გაცემაში და საერთოდ საფონდო ოპერაციებში; ნავთის რაიონებში და საკურორტო ადგილებზე საკმაოდ არ არის გაშლილი სალაროების ქსელი. სალაროების ძირითად ქსელში სჭარბობენ დაბალი კვალიფიკაციის თანამშრომლები და საზოგადოებრიობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს შემნახველ სალაროების განვითარების საქმეს.

აღნიშნულ დეფექტების თავიდან აცილების მიზნით, კოლეგიის მიერ შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც შრომის შემნახველ სალაროების მიერ გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში ა.-წ. 1 მაისამდე.

კურორტების მომარაგება სურსათ-სანოვაგით

საკურორტო სეზონის მოახლოვებასთან დაკავშირებით, გუშინ საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციების, „ზაკმისტორგი"-ს და საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელთა თათბირი კურორტების სურსათ-სანოვაგით მომარაგების მოწესრიგების შესახებ.

საკურორტო სამმართველოს წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წინა წლებში სურსათ-სანოვაგის მთავარი მომწოდებელი კურორტებისათვის იყო კერძო ვაჭრობა, რომელიც სარგებლობდა ამ გარემოებით და ძალიან აწეულ ფასებში ყიდდა სურსათ-სანოვაგეს. მომავალში რომ არ განმეორდეს ასეთი მდგომარეობა, მომხსენებლის აზრით საჭიროა, რომ კოოპერატიული ორგანიზაციები ამ თავითვე შეუდგნენ სამზადისს, რათა კურორტები სურსათ-სანოვაგით მომარაგებული იქნენ საკმაო რაოდენობით.

თათბირმა დაადგინა—წინადადება მიეცეს სათანადო ალმასკომებს დაჩქარებით გადმოგზავნონ ცნობა თუ რა რაოდენობის სურსათ-სანოვაგე იქნება საჭირო თვითეულ კურორტისათვის.

„მიასოპროდუქტს" დაევალა—პირველ რიგში უზრუნველჰყოს ხორცით საკურორტო სამმართველო, რომელსაც ხორცი უნდა მიეცეს თვითღირებულების ფასში, კურორტების მომარაგება ხორცით და რძის ნაწარმოებით დაევალა „მიასოპროდუქტ"-ს და საქ. „მეყემს", ხოლო „ცეკავშირს", „ზაკტპო"-ს და „ზაკგოსტორგ"-ს დაევალა კურორტების სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

წყალდიდობის მოლოდინში

თბილისის წყალსადენის დასაცავად

თბილისის წყალსადენის უფროსმა ინჟ. ლ. დიასამიძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა, რომ წელს წყალდიდობის მხრივ საფრთხე მოელის ქალაქის წყალსადენსაც: გარდა იმისა, რომ მთებში დიდი თოვლია დადებული, რამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს მდ. მტკვარის ადიდება,—დიდათ თოვლი აგრეთვე ქართლშიაც. თოვლის დნობის დაწყებისთანავე პატარა მდინარეები ძლიერ იმოქმედებენ მტკვარში წყლის დონის აწევაზე.

წყალსადენის სამმართველომ წინასწარ გაითვალისწინა ასეთი შესაძლებლობა და უკვე შეუდგა შესაფერ მუშაობას. დამზადებულია ჯებირების ასაგები 2000 კუბ. მეტრი ქვის მასალა და 20.000 კონა ფიჩხი, რითაც საჭიროების დროს გამაგრებული იქნება ის ადგილები, სადაც შეიქმნება წყლის ნაპირებიდან გადმო-

ალაზნის არხზე

წყალდიდობასთან მებრძოლი სიღნაღის სამაზრო სამეულის თავმჯდომარე დეპეშით იტყობინება, რომ მდ. ალაზანზე წყლის დონემ უკვე შესამჩნევად აიწია. სამაზრო სამეული ითხოვს სპეციალისტების სასწრაფოდ გაგზავნას ალაზნის არხის ადგილობრივ დასათვალიერებლად.

უფასო ხე-ტყის მასალა

წყალდიდობასთან მებრძოლმა რესპუბლიკანურმა საგანგებო კომისიამ წინადადებით მიმართა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს და სამხ.-ოსეთის მთავრობას გასცენ განკარგულება, რომ მდინარების ნაპირების გასამაგრებლად საჭირო ხე-ტყის მასალა უფასოდ დაეთმოთ სოფლებს.

ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ კი გადაწყვიტა მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი მასალები რკ. გზით რიგს გარეშე გადაზიდონ.

მუშათა ცხოვრება

დღეს, მუშკორთა კრება არ შესდგება

საწარმოო კომისიების მუშაობა

სატრანსპორტო კავშირის ც. გამგეობის დადგენილებით გამოკვლეულ იქნა სატრანსპორტო კავშირში შემავალ ყველა საწარმოო და ეკონომ-კომისიების თათბირების 6 თვის მუშაობა. გამოკვლევის შემდეგ, 28 თებერვალს, შესდგა საწარმოო და ეკონომ-კომისიის წევრთა კონფერენცია ადგილკომების თავმჯდომარეების, მდივნებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების თანდასწრებით. კონფერენციის დღის წესრიგში იდგა: მოხსენება სატარიფო საეკონომიო განყოფილების მიერ გამოკვლევის შედეგებზე და საინსტრუქციო მოხსენება.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილებზე შედარებით წინანდელთან გაუმჯობესებულია საწარმოო თათბირების მუშაობა, მაგრამ მაინც არსებობს ნაკლი, რომელიც ხელს უშლის საწარმოო და ეკონომ. თათბირების ნაყოფიერ მუშაობას. გამოკვლევის დროს აღმოჩნდა შემდეგი ნაკლოვანებანი:

სხდომების არარეგულიარულად მოწვევა. თათბირებზე ირჩევა ისეთი საკითხები, რომლებიც არ შეადგენენ საწარმოო თათბირის ფუნქციას, არ არსებობს სექციონური კომისიები, საქმის წარმოება და ანგარიშების მუშაობა სწარმოებს არა დაწესებული ფორმებით. მუშაობაში საინჟინრო-ტექნიკური ძალთა სექცია სუსტ მონაწილეობას ღებულობს, საწარმოო თათბირებზე სამეურნეო ორგანოები და საერთოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ ღებულობენ მონაწილეობას, მომჭირნეობის აღრიცხვა არ სწარმოებს, არ არსებობს საპრემიო ფონდი, საწარმოო თათბირის საქმიანი წინადადებები ცხოვრებაში ნაკლებად ტარდება და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები მიუთითებდნენ გამოკვლევის დროს აღმოჩენილ დეფექტებზე და მოითხოვდნენ მომავალში ამ ნაკლის გამოსწორებას. დასასრულ კონფერენციამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოყვანილია მრავალი ღონისძიებანი საწარმოო თათბირების მუშაობის გასაცხოველებლად.

გარდა ამისა, ც. გამგეობის დადგენილებით, საწარმოო კომისიებზე მიმაგრებულ იქნა საინჟინრო-ტექნიკური ძალთა სექციის და ც. გამგეობის თითო წევრი, რომლებსაც დაევალათ გაუწიონ იდეური ხელმძღვანელობა ადგილებზე.

ალ. ფრუიძე.

მისი განკარგულებით

(აბასთუმანი)

სანატორიუმ „არაზინდო"-ს სამეურნეო განყოფილებაში მსახურობს — ამხ. ა. რამიშვილი, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ცხრა თვეა რაც მუშაობს, ჯერაც არ არის დაზღვეული. ეს არ იკმარა ფილიალის განყოფილების უფროსმა და გამოაცხადა, რომ თებერვლის თვიდან მოხსნილი ხარ სამსახურიდანო.

მოხსნის მიზეზად უფროსმა დაასახელა უმაღლეს ორგანოს განკარგულება, მაგრამ ჩვენის აზრით ეს მოწყობილია თვით განყოფილების უფროსის მიერ.

ამხ. რამიშვილი პირნათლად და ერთგულად ასრულებდა თავის მოვალეობას. ამიტომ მისი მოხსნა სამსახურიდან დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს განყოფილების უფროსს.

შაქრო ნავთლუღელი.

მუშა ქალთა ექსკურსია

4 მარტს, ქალთა განყოფილებამ მოაწყო მუშა ქალების ექსკურსია რევოლიუციონურ მუზეუმში. ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 60-მდე ქალმა.

მუზეუმში ექსკურსანტებს მისცეს ყოველგვარი ახსნა-განმარტება საქართველოში რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ და მოკლეთ გააცნეს მუშა-ქალებს მუშების მდგომარეობა. როგორც თვითმპყრობელობის დროს, ისე მენშევიკების ბატონობის დროსაც.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მუშა ქალებზე დასტოვა ბაქოს 26 კომუნარის სურათმა. რევოლიუციონურ მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, ქალებმა დაათვალიერეს ისტორიული მუზეუმი, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ექსკურსანტებზე.

მადლობის ღირსია ქალთა განყოფილება და მუშა ქალი დანდუროვი, რომელმაც ითავა ამ ექსკურსიის მოწყობა.

მოველი.

ვინ უწყობს ხელს?

1-ლ სამილიციო რაიონში კარგა ხანია გახშირდა მიწის ნაკვეთებზე ქოხმახების აშენება. ეს განსაკუთრებით ხდება ლენინის სახ. საბ. საამშენებლო ამხანაგობის ადგილზე „ფიქრის გორაზე", სადაც ამხანაგობის მიერ აგებულია 6 სახლი. ამ სახლებში ცხოვრობენ მბეჭდავეთა კავშირის მუშები. ამხანაგობა წელს დაამთავრებს კიდევ 8 ბინას, ასე რომ ბინების აღმშენებლობის მხრივ ამხანაგობა ფართოვდება და მას უკვე 50-მდე წევრი ჰყავს.

ამხანაგობას „ფიქრის გორაზე" თავისუფალი მიწის ნაკვეთები აღარ აქვს და იძულებულია ვაკეზე გადაიტანოს ბინების აგების საქმე. იქ ახლოს კი მოიპოვება ბევრი თავისუფალი მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ამ ბოლო ხანებში „პატრონები" აღმოუჩნდნენ. გასულ წელს ამხანაგობამ ითხოვა „ფიქრის გორასთან" ახლო მდებარე ანანურის ქუჩაზე მიწის ნაკვეთები, მაგრამ კომუნალურ განყოფ. ოთახიდან უარით გამოისტუმრეს ამხანაგობის წარმომადგენლები იმ მიზეზით, რომ ვითომ უკვე არსებობს საბინაო-საამშენ. ამხანაგობა, რომელიც ანანურის ქუჩაზე ბინების შენებას აწარმოებს. ნამდვილად არავითარი ამხანაგობა არ ყოფილა. ვიღაც ორი პიროვნების შინაურული წესით აუგიათ ორი პატარა ქოხი და მოუცდენიათ ისეთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა 12 ბინის აშენება.

ასევე ხდება დღეს მატერიალური და ნიკოლაძის ქუჩების კუთხეში, სადაც ვინმე ჯინჭარაძე იშენებს თავისთვის ქოხს და უჭირავს დიდი მიწის ნაკვეთი, აგური და ქვა უკვე მოუზიდავს და საძირკველიც დაუწყია.

ვინ უწყობს ხელს ასეთ „მშენებლობას", როცა ქალაქის ცენტრში მუშებისათვის ბინის ასაშენებლად მიწის ნაკვეთების სიმცირეა?

ო.

მუშკორთა წერილებიდან

თავხედი მეპატრონე. ვახტანგოვის ქ. მდებარე სახლი № 11-ის პატრონი მოქ. ერ. აკოფოვა მოსვენებას არ აძლევს მდგმურებს. სიტყვიერი შეურაცხყოფის გარდა ხშირად მუშტებითაც უმასპინძლდება მუშებს. 15 მარტს შევარდა უმუშევარ სტეფანიანცის ბინაზე და საშინლად სცემა მის ცოლს. მილიციამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ალაგმოს ხულიგანი და თავხედი აკოფოვა.

მდგმური.

სისუფთავე დაიცავით. ახალი სანაპირო გზის მუშები ბინადრობენ აზმაიფარაშვილის ხე-ტყის სახერხ ქარხნის ეზოში, სადაც საშინელი სიბინძურეა გამეფებული. სანიტარულ განყოფილებამ, დაიცავი სისუფთავე.

ნ. ა—ლი.

ფულის მახე (ქუთაისი). ქუთაისის ბარიტის ქარხნის მახლობლად გახსნილია სამიკიტნო, რომელიც ქარხნის მუშებისათვის ფულის მახედ არის გადაქცეული. სამიკიტნოს პატრონი ნისიად, ასმევს მუშებს ღვინოს. ჯამაგირის მიღების დროს კი ერთის სამად უანგარიშებს. ალმასკომმა უნდა დაკეტოს აღნიშნული სამიკიტნო, და მის მაგიერ ქარხკომმა გახსნას სამკითხველო.

ქარხნელი.

რატომ მოგვატყუეს. შინა-მრეწველ ქალთა სკოლასთან არსებული სალიტერატურო წრე, დიდი ხანია ელოდება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენელს, რომელიც მისცემდა ახალგაზრდა მწერლებს ახსნა-განმარტებებს ლიტერატურის შესახებ, მაგრამ მის მოსვლას საშველი არ დაადგა. გვპირდებიან მოსვლას, მაგრამ გვატყუებენ.

კალ-ლი.

როდის დაგვიბრუნებენ. წელიწადზე მეტია, რაც სადგურ ნავთლუღის მუშებს ხელი მოაწერინეს ათპროცენტიან სესხის ობლიგაციებზე, მაგრამ დღემდე ობლიგაციები არ დაურიგებიათ. ადგილკომო, გამოარკვიე, როდის დაარიგებენ ობლიგაციებს.

კოტე.

ძვირად დაუჯდება. გაზ. „კომუნისტი"-ს ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი, სათაურით „ვინ მიიღებს", რომელიც ეხებოდა ვინმე შაინოვის შვილს; უკანასკნელმა წერილის წაკითხვისთანავე დაიწყო მუშკორის ძებნა „სათანადო პასუხის" მისაცემად. ვურჩევთ მოქ. შაინოვს განებოს თავი მუშკორის ძებნას, თორემ ძვირად დაუჯდება.

მარნელი.

პროფ. ა. ა. ვასილიევის გარდაცვალება

18 მარტს, დღის 12 საათზე, თბილისში გარდაიცვალა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორი, რიონჰესის მთავარი ინჟენერის მოადგილე და ზაჰესის აგების ერთი მთავარი ინიციატორთაგანი **ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ვასილიევი.**

პროფ. ვასილიევი დაიბადა 1883 წელს. გიმნაზია დაამთავრა ქ. ტვერში.

1907 წელს დაასრულა მაშინდელი პეტერბურგის ტეხნიკური ინსტიტუტი და იქვე მუშაობა დაიწყო ტრამვაის სამმართველოში. შემდეგ მუშაობდა ხარკოვის ორთქლმავლების დამამზადებელ ქარხანაში და აგრეთვე იყო „საერთაშორისო ელექტრონის კომპანიის" ინჟენერი.

1920 წელს ჩამოვიდა საქართველოში. 1922 წელს მოწვეულ იქნა საქ. წყალთა სამმართველოში ინჟენერათ, ე. წ. „თეთრი ნახშირის" გამოყენების დარგში. იმავე წელს დაინიშნა ზაჰესის ელექტრო-მექანიკურ ნაწილის გამგეთ. ზაჰესის აგების შემდეგ დაინიშნა რიონჰესის მთავარი ინჟენერის მოადგილეთ.

განსვენებული აგრეთვე ითვლებოდა ა.-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო-საელექტროფიკაციო დარგის კონსულტანტათ.

ამასთან ერთად ის 1926 წლიდან მოწვეული იყო პროფესორად პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, სადაც ლექციებს კითხულობდა ტეხნიკურ მაღალი ჭიმვის და ცვალებად ენერგიის ციკლიდან. ამავე დროს ის თავმჯდომარეობდა პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ტეხნიკურ-საგნობრივ კომისიას.

განსვენებულს გამოცემული აქვს 8 სხვადასხვა სახელწოდების მეცნიერული შრომა და მრავალი წვრილი გამოკვლევანი. პროფ. ა. ვასილიევი იყო განსაკუთრებული ენერგიის პატრონი და ელექტროფიკაციის დიდი სპეციალისტი.

გუშინ, პროფ. ა. ვასილიევის ცხედარი გადმოსვენებული იქნა პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.

დამკრძალავი კომისიის დადგენილებით დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 მარტს, დიდუბის პანთეონში.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოში

თბილისში თოვა გრძელდება. თოვლის სიღრმე 20 მარტს მიაღწია 15 სანტიმეტრს.

საქართველოს დანარჩენ ადგილებში ასეთი ამინდია: თბილისიდან-ხაშურამდე თოვს; სურამში ქრის ძლიერი ქარი, ყინავს, ტემპერატურა უდრის 4 გრადუსს, არ თოვს, არც წიფაში თოვს, ქრის ქარი; ქიათურაში მშრალი დარია. დასავლეთით წვიმს.

აზერბაიჯანში

ბაქოში, ხაჩმასში და ქიურდამირში თოვს, ხანგამოშვებით წვიმს.

განჯაში მშრალი დარია, ქრის ძლიერი ქარი.

20 მარტს დილით თოვა და წვიმა შესწყდა.

სომხეთში

წინა დღეებში ცუდი ამინდები იდგა. ზოგიერთ ადგილებში თოვდა და ქროდა ქარი. ეხლა ამინდი შეიცვალა. აღარ თოვს.

ა.-კ. რკ. გზების მეტეოროლოგიური განყოფილების ცნობით, თოვა და ქარბუქი, რომელსაც ადგილი ჰქონდა და ნაწილობრივ ეხლაც აქვს ამ.-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში დიდხანს არ გაგრძელდება.

მდგომარეობა რკინის გზებზე

სომხეთის ხაზზე

სომხეთისაკენ ნამქერმა შეჰკრა გზა ზოგიერთ ადგილებში. გზა შეიკრა ლენინაკან-ალთაქლისის შუა, სადაც თოვლში ჩარჩა საბარგო მატარებელი, რომელიც გამოიყვანა თოვლ მწმენდავმა.

თოვლში ჩაეფლო აგრეთვე საბარგო მატარებელი ნალბანდ-ქალთახჩის შუა. რამოდენიმე საათის შედეგარი მუშაობით მატარებელი განთავისუფლებულ იქნა.

თოვლის ნამქერების გამო 19 მარტს, ღამით დაიკეტა ხაზი ლენინაკანს შუა. ამის გამო სადგ. კარაკლისში და აგინში გაჩერდა საფოსტო მატარებლები.

ხაზი გასწმინდეს და მოძრაობა აღადგინეს 20 მარტს, დილით.

დამატებით მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ თოვლის ნამქერი სომხეთის ხაზზე შესწყდა.

აზერბაიჯანის ხაზზე

ქარბუქს ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის ხაზზეც. მაგრამ უფრო სუსტი იყო, ვინემ სომხეთის ხაზზე.

მატარებლების მიმოსვლა არ შეწყვეტილა.

გზატკეცილებზე

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს ცნობით, გზატკეცილებზე მდგომარეობა არ შეცვლილა. გზები ისევ დაკეტილია.

დეპეშათა სააგენტოს ცნობები

ახალ-სენაკი, 19 მარტი. თოვლის სწრაფი დნობის გამო სენაკის მაზრას მოელის წყალდიდობის საფრთხე. მდინარეები: ცხენის-წყალი, რიონი და ტეხური ემუქრება 14 თემს. მაზრის ალმასკომთან შესდგა სამეული წყალდიდობასთან საბრძოლველად. ანალოგიური სამეულები შექმნილია თემის ალმასკომთანაც. მიღებულია სასწრაფო ზომები ნაპირების გასამაგრებლად განსაკუთრებით საშიშ ადგილებზე. (ადს).

სტეფანაკერტი, 20 მარტი. მეორე დღეა გრძელდება თოვა. ხანგრძლივი სასტიკი ზამთრის გამო ოლქი განიცდის საქონლის საკვების მწვავე ნაკლებობას. საქონელი მასიურად იხოცება შიმშილის ნიადაგზე. (ადს).

კარიაგინო, 20 მარტი. მეოთხე დღეა თოვს. ადგილ-ადგილ თოვლის სიღრმე აღწევს ნახევარ მეტრს. ადგილი აქვს საქონლის საკვების ნაკლებობას. (ადს).

კოლექტიური მეურნეობები სიღნაღის მაზრაში

(წერილი სიღნაღიდან)

სიღნაღის მაზრაში კოლექტიური მეურნეობანი ჩამოყალიბდა 1923 წლის დასაწყისში. ეს კოლექტივები პირველ ხანებში განაგრძობდნენ არსებობას შემდგომ სათანადო ორგანოს დამტკიცების გარეშე. იმ დროს, კოლექტივებზე ხელმძღვანელობაც ძლიერ სუსტი იყო, რის გამოც 1923 წელში დაარსებულ კოლექტივებიდან უმეტესი ნაწილი დაიშალა. დარჩა ორი კომუნა, რომელნიც დღესაც არსებობენ.

ნამდვილი კოლექტივების სწორად მოწყობა მაზრაში იწყება 1924 წ. დასასრულიდან ე. ი. იმ დროიდან, როდესაც სოფლად შემოსვლა იწყო განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებმა და მაზრაში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა.

1925 წლიდან მოწყობილ კოლექტივებშიც იყო დამახინჯებანი და შეცდომები. იყო შემთხვევა, რომ კოლექტივში შეძვრნენ კულაკები, მოქალაქეობრივი უფლება ჩამორთმეულნი და სხვა არა მშრომელი ელემენტები, იმ მიზნით, რომ უკანასკნელთ შეღავათიან ფასებში, ესარგებლნათ კრედიტებით და შეენარჩუნებინათ თავიანთ განკარგულებაში უკანონოდ მყოფი მიწა-მამული და დიდი (ტრაქტორი, სალეწი მანქანა), სასოფლო-სამეურნეო იარაღები. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლექტივები პირველ ხანებში (1923—24 წ.) ეწყობოდნენ სტიქიურად, ყოველგვარი გეგმის და სათანადო ორგანოების ხელმძღვანელობის გარეშე. საკმარისი იყო სოფლის რამოდენიმე გლეხი შეკრებილიყო, ამოერჩიათ „ხელმძღვანელი", რომ „კოლექტივი" არსდებოდა.

ასეთი ცრუ „კოლექტივები" გზავნიდნენ თავიანთ წარმომადგენლებს „ზაკსელმაში" და კოლექტივების სახელით მოჰქონდათ განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები სათანადო შეღავათებში. ზემოხსენებულ ცრუ „კოლექტივში" დიდ როლს თამაშობდნენ შეძლებული გლეხები. ხშირად კულაკები იყვნენ ორგანიზატორები „კოლექტივების" მოწყობის. მანქანა-იარაღს იძენდნენ კოლექტივის სახელით და ბოლოს ტრაქტორს და სხვა იარაღებს კულაკობა თავისებური მახინაციებით საკუთრად ინარჩუნებდა.

ეს მდგომარეობა მაზრის ხელისუფლების მიერ დროზე იქნა შემჩნეული და მიღებული იქნა გადამჭრელი ზომები კოლექტივებიდან კულაკების და ყველა არა მშრომელი ელემენტების გასადევნად და კოლექტივებად მოსაწყობად ისე, რომ კოლექტივების შემადგენლობაში ყოფილიყო მხოლოდ ღარიბი და საშუალო გლეხობა.

მაზრის ხელისუფლების მიერ კოლექტივები საფუძვლიანად გამოკვლეულ და შესწავლილ იქნა. ხსენებულ გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მოხდა ცრუ კოლექტივების დაშლა- და ზოგის გაწმენდა. ასე მაგალითად დღემდე მთელ მაზრაში 13 სხვადასხვა კოლექტივიდან განდევნილი იქნა 52 არა მშრომელი ელემენტი და შეძლებული გლეხი. გარდა ამისა მაზრის ხელისუფლების გადაწყვეტილებით უნდა ჩატარდეს სახელმწიფო ფასებში კულაკებიდან ტრაქტორების გამოსყიდვა და მისი გადაცემა არტელებისა და სამანქანო ამხანაგობებისათვის.

ამასთანავე შემუშავებულია გეგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოეწყოს მაზრაში კოლექტივების ქსელი. ხსენებული გეგმა ითვალისწინებს მაზრის სხვადასხვა კუთხის თავისებურ მდებარეობა-ნიადაგს და კოლექტივები მოეწყობიან იმის მიხედვით, თუ რომელ რაიონში როგორი ტიპის კოლექტივი იქნება შესაფერი და რენტაბელური.

განზრახულია მაზრაში ტეხნიკური კულტურების (თამბაქო, ბამბა, თრიმლი) კოლექტიური მეურნეობის ხაზებში მოქცევა.

გარდა ამისა სიღნაღის სამაზრო ალმასკომის უკანასკნელმა პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება კოლექტივების მიწების მოწყობის მოკლე ხანში დასამთავრებლად. მიწების მოუწყობლობა კოლექტივების სწორად მოწყობას უარესად აბრკოლებს და ამახინჯებს. ამისათვის მიწსახკომისაგან მეტი დახმარებაა საჭირო კოლექტივების მიწების მოწყობის დასაჩქარებლად. დახმარება უნდა გამოიხატოს უმთავრესად მიწის მზომლების მეტი რაოდენობის მოცემაში.

დღემდე იყო შემთხვევა, რომ კოლექტივები არ იყვნენ შესულნი წევრად სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციაში. ეს მდგომარეობა აღმოფხვრილია; ყველა კოლექტივები, რომლებიც ზემდგომ სათანადო ორგანოს მიერ ცნობილი და დამტკიცებულია ითვლებიან სასოფლო-სამ. კოოპ. წევრებად.

აგრონდახმარების საკითხის მოსაგვარებლად კოლექტივებზე მიღებულია შემდეგი ზომები. მაზრაში მყოფ ყველა აგრონომიულ პუნქტებს მიეცათ დირექტივები ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კოლექტივებს მეურნეობის საუკეთესოდ დაყენების საქმეში. მიღებულია აგრეთვე ზომები (აგრონომების სიმცირის გამო) გლეხურ ახალგაზრდობის სკოლების აგრონომ მასწავლებლების დასახმარებლად კოლექტივებისათვის საჭირო დარიგების მისაცემად.

წინადადება აქვს მიცემული სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს შეღავათიან კრედიტების და სასოფ.-სამ. იარაღების პირველ რიგში კოლექტივისათვის მისაცემად.

გარდა ამისა მაზრის ხელისუფლების დადგენილებით შემოღებულ იქნა კოლექტივების ხელმძღვანელთა სამაზრო თათბირის სისტემატიური მოწვევა. ასეთი თათბირი უკვე მოწვეულ იქნა მარტის პირველ რიცხვებში. ეჭვი არაა, რომ ხსენებული თათბირები დიდ როლს ითამაშებენ კოლექტივების მუშაობის სამაგალითოდ დაყენების, საქმის და ანგარიშის წარმოების მოწესრიგების და კოლექტივებში გეგმიანი მუშაობის დასამკვიდრებლად.

შემჩნეული იყო თემში მომუშავე პ.-მ. ამხანაგების გატაცება კომუნების მრავლად დაარსებაში. ეს ტენდენცია აღმოფხვრილ იქნა. ადგილებს საკმაოდ განემარტათ, რომ კომუნა კოლექტიური მეურნეობის უმაღლესი და რთული ფორმაა და რომ კოლექტივების მოწყობა უნდა დაიწყოს უმარტივესი ფორმიდან (სამანქანო ამხანაგობა, მიწის საზოგად. დამუშავება და სხვა).

უკანასკნელად მაზრაში არაჩვეულებრივი ტემპით გაიზარდა გლეხების (ინდივიდუალური მეურნეთა) ლტოლვა კოლექტიური მეურნეობისაკენ. სამაზრო ალმასკომში 1928 წ. იანვრიდან დღემდე შემოსულია 80 კოლექტიური თხოვნა ღარიბი და საშუალო გლეხებისაგან, რომელნიც მოითხოვენ კერძო მეურნეობაზე ხელის აღებას და მიწის დასამუშავებლად კოლექტივებში გაერთიანებას. ღარიბ და საშუალო გლეხობის ეს მასიური ლტოლვა იმით აიხსნება, რომ გლეხი კოლექტიური მეურნეობიდან მეტ სარგებელს და შეღავათს მოელის. მიუხედავად ამისა მაზრის ხელისუფლებას არ შეუძლია ყველა თხოვნის დაკმაყოფილება კოლექტივების მოწყობის შესახებ. ეს შეუძლებელია იმისათვის, რომ მასიურად მოწყობილ კოლექტივების დაკმაყოფილება ერთბაშად შეუძლებელია კრედიტით, იარაღებით, მიწის მოწყობით, აგრონდახმარებით და სხვა. ამის გარეშე კი კოლექტივები უსათუოდ მიიღებენ მახინჯ სახეს და ისინი გახდებიან ცუდი მაგალითის მიმცემი გლეხობისათვის.

მაზრაში დღემდე არსებული კოლექტივების რიცხვი ტიპების მიხედვით შემდეგია: კომუნა—2, მიწის ამხანაგურად დამმუშავებელთა ამხ.—ბა—14, სამანქანო ამხანაგობა—36, მევენახეთა—1, მერძევეთა—1, ქალთა არტელი—3.

ქალთა არტელი შესდგება მეხალიჩე და მებამბეებისაგან. განზრახულია მომავალ სეზონისათვის სათანადო რაიონებში მოეწყოს მშრომელ ქალთაგან მეაბრეშუმეობის ძლიერი არტელები, საამისოდ ყველა ხელშემწყობი პირობა არსებობს.

ყველა ზემოდ დასახელებულ კოლექტივებში გაერთიანებულია 671 ოჯახი 2183 სულით.

სიღნაღის მაზრაში, მეურნეობის მრავალფეროვნება, მიწის ხარისხის სიკარგე, კოოპერაციის სიძლიერე და ღარიბ-საშუალო გლეხკაცობის მტკიცე ლტოლვის ზრდა კოლექტიურ მეურნეობისაკენ საუკეთესო პირობებია იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია მაზრაში ჯანსაღ ნიადაგზე დადგეს. ამის საუკეთესო მაჩვენებელია მაზრის ხელისუფლების ცხოველი ინტერესი ამ საქმისადმი და ის სურვილი კოლექტიურ მეურნეობისა, რომელიც დღეს გვაქვს.

აკ. ჭოჭუა.

კულტურული მუშაობა სოფლად

(წერილი საგარეჯოდან)

ყველასათვის ცნობილია, რომ ძველი რეჟიმი ხალხის უვიცობაზე ეყრდნობოდა და ამიტომ შეგნებულად უხშობდა გზებს მშრომელი ხალხის განვითარების საქმეს.

რევოლიუციამ დაამსხვრია ეს ბორკილები; საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქცია მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს, არა ნაკლები მოზრდილთა შორის სწავლა-განათლების შეტანას. გამოცხადდა სასტიკი ბრძოლა მშრომელ მასებს შორის გამეფებულ წერა-კითხვის უცოდინარობას, გაიხსნა სკოლები მოზრდილთათვის, აშენდა კლუბები, თეატრები, გაიბა ხშირი ქსელი ქოხ-სამკითხველოებისა და მრავალი სხვა.

ამის დამამტკიცებელია საგარეჯოს თემში წარმოებული პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობაც. დღეს აქ გლეხობა აღარ გაურბის სწავლა-განათლების საქმეს. მან იგრძნო სწავლის მნიშვნელობა. მას უკვე საკმაოდ აღძრა სურვილი ცოდნის შეძენისა.

იმის საკითხი, აკმაყოფილებს თუ არა გლეხობის ასეთ მოთხოვნილებებს ის ორგანო, რომელიც უძღვება თემში ამ დიდ საქმეს?

ამისათვის ჩვენ მოკლედ შევეხებით იმ ნაყოფიერ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს საგარეჯოს პოლიტ-განი ამ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში.

თემში არსებობს სახ. თეატრი, რომელსაც 50 წლის ისტორია აქვს. სათემო ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი, სასოფლო წითელი კუთხეები და სხვა. სათემო ქოხ-სამკითხველოს და წითელ კუთხეებს ჰყავთ თავისი საბჭოები, რომელიც აერთიანებს თემის და სოფლის საუკეთესო კულტურულ ძალებს და აქტიურ გლეხებს. ასეთი საბჭოების არსებობა დიდ დახმარებას უწევს ქოხ-სამკითხველოს მასიურ-საგანმანათლებლო მუშაობაში. ქოხ-სამკითხველოში მოწყობილ კუთხეებთან სწარმოებს გლეხობაში მრავალმხრივი მეცადინეობა, როგორიცაა: სასოფლო მეურნეობის შესწავლა, კოოპერაციის, მოსახლეობის გასამხედროება, ფიზ-კულტურის, ქიმიის, რადიოსი და სხვა.

საგარეჯოს ქოხ-სამკითხველოში მოწყობილია: კოოპერატიული, ლენინის, სამხედრო, რადიო, მოჯამაგირეთა, ქალთა, გლეხკორთა და პიონერთა კუთხეები. თვითეულ კუთხეს ჰყავს თავის განსაკუთრებული საბჭო, რომელიც აწარმოებს გეგმიან მუშაობას. ქოხ-სამკითხველოში გამოყოფილია ცალკე დღეები, ქალებისათვის და მოჯამაგირეთათვის. უკანასკნელთათვის ყოველ კვირა ეწყობა სპეციალური მხატვრული საღამოები. იკითხება რამე მხატვრული ნაწარმოები, ჟურნალ-გაზეთებიდან სხვადასხვა ადგილები, იმართება სჯა-ბაასი წაკითხულის ირგვლივ და სხვა.

უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში ქოხ-სამკითხველოში ჩატარდა 170 საუბარი, პოლიტიკურ საკითხებზე, აგრონომიულზე, სანიტ-ჰიგიენურზე, გლეხკორთა მოძრაობაზე, გასამხედროებაზე, ანტირელიგიურ საკითხებზე და სხვა. ამასთანავე ერთად დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საწრეო მუშაობას. თემის სხვადასხვა სოფლებში დაარსებულ იქმნა 5 აგროწრე, რომელშიაც მეცადინეობდა 200-დე გლეხი, 3 ფიზკულტურის წრე—103 წევრით, 3 ქალთა წრე—55 წევრით, ერთი კოოპერატიული წრე—29 წევრით, ერთი რადიო-მოყვარულთა წრე—27 წევრით, გლეხ-ახალგაზრდობის მომღერალთა წრე—19 წევრით, მოჭიდავეთა წრე—13 წევრით და სხვ. სულ ყველა წრეებში გაიარა 443 წევრმა. ხშირად ეწყობოდა თვითმოქმედების საღამოები რომელიც გლეხობაზე დიდ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

სათანადო სიმაღლეზე იყო დაყენებული წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლის საქმეც. წარსულ სამოსწავლო წელში გახსნილ იქნა თემში 6 წ.-კ. უცოდინარობის სალიკ-სკოლა, 2 მცირე მცოდნეთათვის და ერთიც საუბრის სახის სკოლა. ამ რიცხვში ზოგიერთი სკოლები გახსნილ იქნა ადგილობრივ პოლიტგანის ინიციატივით ბიუჯეტის გარეშე. ყველა სახის მოზრდილთა სკოლებში გაიარა 300-ზე მეტმა გლეხმა.

ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოსთან გამოდის ყოველკვირეული კედ. გაზეთი „სინათლე". გაზეთის ირგვლივ დარაზმულია რამოდენიმე ათეული გლეხკორები, რომელნიც აგრეთვე თანამშრომლობენ ცენტრალურ პრესაშიც. გარდა ამისა თემში არსებობს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა კედლის გაზეთი, და ორი სასოფლო გიორგიწმინდისა და ნინოწმინდაში. უკანასკნელი გაზეთები ემსახურებიან, როგორც ადგილობრივ სოფლის ყოფა-ცხოვრების გაშუქებას, ისე სათემო კედ-გაზეთისათვის საუკეთესო კედკორთა კადრის მომზადებას.

ქოხ-სამკითხველოს ბიბლიოთეკაში ირიცხება 2000-ე ქართული და რუსული წიგნი. ყველა წიგნები დამუშავებულია ათწილადი კლასიფიკაციის წესით. ბიბლიოთეკას ამჟამად ჰყავს წიგნის მუდმივი 500 მკითხველი, რაც სოფლის პირობებში ფრიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. რომ გლეხებმა უკეთ ისარგებლონ წიგნებით, ამისათვის შემოღებულია წიგნების დახასიათება. ადგილობრივ კედლის გაზეთის საშუალებით სწარმოებს გამოწვევის წესი. ერთი რომელიმე გლეხი ამა თუ იმ წიგნის წაკითხვის შემდეგ იწვევს გაზეთის საშუალებით იმავე წიგნების წასაკითხად დანარჩენს ამხანაგებს. ასეთი წესებით გლეხობის საკმაო ნაწილმა ხელი მიჰყო წიგნების კითხვას.

ქოხ-სამკითხველოში მოწყობილია რადიო, აქვთ ჭადრაკი და სხვა გონებრივი გასართობანი.

სათეატრო მუშაობაც საგარეჯოში გასულ წელთან შედარებით სხვა მეზობელ თემებთან, კარგად იყო დაყენებული. ზაფხულში თეატრის დასი მუშაობდა თბილისის პოლიტგანიდან საგანგებოდ გამოგზავნილ მცოდნე რეჟისორის ხელმძღვანელობით. 1926 წ. ოქტომბრიდან—გასული წლის ოქტომბრამდე გამართულ იქნა საგარეჯოს თეატრში 44 საღამო-წარმოდგენა. სოფლის პირობებში-კი თვეში 3-4 წარმოდგენა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს. წარმოდგენები იმართებოდა, როგორც ფასიანი, ისე უფასო. საგარეჯოს დრამატ. დასი შეძლების და გვარად აწყობდა წარმოდგენებს სხვა მეზობელ თემებშიც.

ამავე ერთი წლის განმავლობაში შეკეთდა სახ. თეატრის შენობა, გაყვანილი იქნა მასში ელექტრო-მოწყობილობა, შეძენილ იქნა დეკორაციები და სხვა სცენის მოწყობილობანი.

ქოხ-სამკითხველოსათვის შეძენილ იქნა საწრეო მუშაობისათვის ერთი მოზრდილი დარბაზი, სოფელ გიორგიწმინდაში საფუძველი ჩაეყარა სახ. სახლის აგებას, გაფართოვდა სოფელ ნინოწმინდის წითელი კუთხის ბინა და მრავალი სხვა.

ამჟამად საგარეჯოს პოლიტგანის ყურადღება მიქცეულია მოსახლეობის გასამხედროების საქმეზე. საგარეჯოში მოეწყო სასროლი ტირი, დაარსდა ქიმიური წრე და რამოდენიმე სამხედრო კუთხე.

და ბოლოს უნდა ითქვას, რომ საგარეჯოს პოლიტგანმა ამ ერთი წლის განმავლობაში თავისი ნაყოფიერი მუშაობით დაიმსახურა დიდი ავტორიტეტი თემის მშრომელ მოსახლეობაში.

ალ. გ—ლი.

ქრონიკა

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მორიგი წლიური საერთო კრება შესდგება ა. წ. 24 მარტს.

პურის ბაზრის გამოკვლევა

ამ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატები შეუდგენ პურის ბაზრის მდგომარეობის გამოკვლევას.

გამოკვლევას მიზანია იმის გამორკვევა, თუ რატომ აქვს ადგილი კუდებს პურის საცხობებთან იმ დროს, როდესაც ბაზარზე საკმაო პურის მარაგი მოიპოვება.

კომისარიატების განკარგულებაში არსებულ წინასწარი ცნობების მიხედვით, კუდების გამომწვევი მიზეზია პურის გამომცხობ აპარატის მოუწესრიგებლობა.

გამოკვლევას ექნება სასწრაფო ხასიათი და დამთავრდება ორ დღეში.

სანიტარულ უჯრედების კონფერენციები

ამჟამად თბილისში მიმდინარეობს ცალკე სახლთა მფლობელებთან დაარსებული სანიტარული უჯრედების საუბნო კონფერენციები. კონფერენციების დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: სანიტარულ უჯრედების მოვალეობა და არსებული სანიტარული ხასიათის დეფექტების გამოსწორება, ბინების სანიტარული დაცვა, სახლებში კომუნალური კეთილმოწყობა და სხ.

უმუშევარი ექიმები

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საექიმო სექციის ინიციატივით ამ დღეებში დაიწყება უმუშევარ ექიმთა მდგომარეობის გამოკვლევა. ის ექიმები, რომელთაც აქვთ კერძო პრაქტიკა და მაინც უმუშევრათ არიან აღრიცხულნი—მოხსნილ იქნებიან აღრიცხვიდან.

სულ, კავშირის ცნობებით, თბილისში ითვლება 65 უმუშევარი ექიმი.

გალანტერია ზაფხულისათვის

თბილისის მუშკოოპმა მოსკოვში გაგზავნა თავის წარმომადგენელი საზაფხულო გალანტერიის შესარჩევად და შესაძენად.

თბილისის აღმასკომში

◆ ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად საჭირო რელსების შესაძენად აღმასკომმა გადადო 350 ათასი მანეთი.

◆ მოსალოდნელ წყალდიდობის წინააღმდეგ ზომების მისაღებად გადაიდო 70 ათასი მანეთი.

◆ გზები. მაზრაში გაზაფხულიდან სათემო და სამაზრო მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 58.000 მანეთი.

◆ ვარე უბნებში ხანძრის საწინააღმდეგო ონკანების მოსაწყობათ წყალსადენის სამმართველოს გადაეცა 9000 მანეთი.

◆ თვალსაჩინო ხელსაწყოთა ინსტიტუტის გასაფართოებლად განათლების განყოფილებას დაევალა შეადგინოს ცალკე გეგმა.

◆ სანერგებელი მეურნეობა. საადგილ-მამულო განყოფილებას დაევალა წელს მაზრაში მოაწყოს რამდენიმე სანერგებელი მეურნეობა.

ჯანსახკომში

◆ აბანო. ჯანსახკომის ცნობით ხაშურში შენდება ახალი აბანო, რომლის აგება დაჯდება 10.000 მანეთი.

◆ საფერშლო პუნქტი. სოფ. მანდიეთრში (ქუთაისის მაზრა) გაიხსნა საფერშლო პუნქტი.

მიწსახკომში

◆ კოლექტიური მეურნეობების და გლეხებისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების საქმე მთლიანად გადაეცა „სოფლის კავშირს".

◆ სახელოსნოები. მიწსახკომმა გადასწყვიტა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში 14 ადგილას გახსნას სას.-სამ. იარაღ-მანქანების შემკეთებელი სახელოსნო.

◆ საბეითლო საქმის გასაუმჯობესებლად მიწსახკომმა გადასწყვიტა გაადიდოს ბეითალ ექიმთა რიცხვი 20 კაცით.

◆ კრება. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში დღეს საღამოს 6 ს. შესდგება მშენებელთა კავშირის წევრების საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ ამხ. გეწკინი და კვირიკაძე.

პროფკავშირში

◆ ტრამვაის მუშათა კლუბთან მეღვინეთა კავშირმა გახსნა ჭრა-კერვის სკოლა.

◆ სექცია. კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირთან დაარსდა სახლის მშენებელთა სექცია.

სხვადასხვა

◆ საბინაო მშენებლობა. საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა ჭიათურის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას გადაუგზავნა 15.000 მანეთი.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ბაგიშვილიდან—პოლოსოვს, ფულჩენკოდან—კანიელონტს, სოხუმიდან—თუმანოვს, გორიდან—შარმთაშვილს; ხაშურიდან—ბაბანოვებს, ლენინაკანიდან—აბრამიანცს.

შემთხვევები

გამფლანგველის დაპატიმრება

რამოდენიმე ხნის წინად მუშკოოპის საწყობის (მოლოკანთა ქ. № 40) გამგემ გიორგი გერმისაშვილმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ დაეკარგა 450 მანეთი. გამოძიებით გამოირკვა, რომ გერმისაშვილს ფული კი არ დაჰკარგვია არამედ „შემოეხარჯა" სისტემატიური ქეიფობის დროს. მას გაფლანგული აღმოაჩნდა 1000 მანეთამდე. გერმისაშვილი დაპატიმრებულია.

ჯიბგირობა

სოფელ ნიჩბისიდან ჩამოსულ გლეხს შაქრო კალატოზიშვილს საფეიქრო სინდიკატში ვიღაც უცნობმა პირმა ჯიბიდან ამოაცალა 40 [illegible] და მიიმალა.

ქურდის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი რაფკა კარასისძე არუთინოვი.

ყალბი ჩეკები

„ზაკქნიგას" მაღაზიიდან (რუსთაველის გამზირი) ვიღაც პირს ყალბი ჩეკებით სისტემატიურად გაჰქონდა წიგნები და საკანცელარიო ნივთები. თვალყურის დევნების შემდეგ ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა გალაკტიონ სიმონის ძე დუმბაძე.

ხელოვნება

სათეატრო მუზეუმი

პრაქტიკული მუშაობა სათეატრო მუზეუმის მოსაწყობად სახელოვნო დაწესებულებათა მთავარი მმართველობის მიერ დავალებული აქვს დ. არსენიშვილს, რომელიც ექსპონატებს აგროვებს, როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში.

მოსკოვიდან ჩამოტანილია განსვენებულ ალ. ი. სუმბათაშვილ-იუჟინის პორტრეტები, ხელნაწერები, კოსტიუმები და რეჟ. ვ. მჭედლიშვილის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები და მრავალი სხვა მასალები, რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრმა გადასცა საქართველოს სათეატრო მუზეუმს. მათ შორის ჩამოტანილ იქნა აგრეთვე გამოჩენილ მხატვრების: ა. ბენუას, კოროვინის, ქ. შერვაშიძის; ი. ბაკსტის და მოლოვინის დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები.

გარდა ქართული თეატრის მასალებისა, სათეატრო მუზეუმში იქნება აგრეთვე ამიერკავკასიის თეატრების მასალები; სახელდობრ, ცნობილ დრამატურგ მირზა ფატალი ახუნდოვის (აზერბეიჯანიდან) ხელნაწერები და გამოჩენილ მსახიობების (ადამიანი, სირანუში, აბელიანი) პორტრეტები და ნივთეულობა.

მუზეუმში აღდგენილია ძველი ოსმალური თეატრი „ქარა გოზ" (შავთვალა), რომლის წარმოდგენები იმართება ჩრდილების საშუალებით და ძალიან წააგავს ჩინეთის თეატრს. „ქარა გოზი" წინად ყოფილა თბილისში თათრის უბანში.

მუზეუმში წარმოდგენილია აგრეთვე იტალიური ოპერა—გამოჩენილი დირიჟორების—ბასის, ტრიეფის, შენინგის და მომღერლების—ადელაიდას, ლიუზას, დები ვაზოლების, რამონის და სხვათა სახით. იტალიური ოპერის თეატრი საქართველოში ყოფილა მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში. მუზეუმში თავმოყრილია თეატრის შენობის, სცენის, ორკესტრის და დასის შემადგენლობის ფოტოგრაფიული სურათები.

გარდა იტალიური ოპერისა, მუზეუმში წარმოდგენილია ფრანგული ოპერა და გერმანული დრამა. რომლებიც 35 წლის წინად მუშაობდენ თბილისში.

ქართული თეატრი მუზეუმში აღდგენილია გიორგი ერისთავიდან დღემდე. მუზეუმში არის სპეციალური კუთხეები, სადაც მოთავსებულია გამოჩენილ ქართველ მსახიობთა და დრამატურგთა კოსტიუმები, ხელნაწერები და პორტრეტები. მათ შორის ბაბო ავალიშვილის (პირველი ქართველი მსახიობი-ქალი) ნატო გაბუნიას, მაკო საფაროვა-აბაშიძის, სუმბათაშვილ-იუჟინის, ლადო მესხიშვილის, ვასო აბაშიძის, ვანო სარაჯიშვილის, კოტე ყიფიანის; კოტე მესხის, გ. შირალიანის, ვახტანგ მჭედლიშვილის და სხვათა პორტრეტები.

მუზეუმში შენახულ ექსპონატთა რაოდენობა 3000-ზე აღწევს. მუზეუმი გაიხსნება ახლო ხანში.

დისპუტი თეატრზე

ორშაბათს, 26 მარტს, განათლების კომისარიატის სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთ. მმართველობა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში აწყობს დისპუტს შემდეგ თემაზე: „ქართული თეატრი დღეს". შესავალი სიტყვით გამოვა სამეცნიერო და სახელოვნო დაწესებულებათა მთ. მმართველობის გამგე ამხ. თოხაძე, მომხსენებელია ამხ. შ. დუდუჩავა. დისპუტში მონაწილეობას მიიღებენ: სერ. ამაღლობელი, ალ. ახმეტელი, ზ. ბოჭორიძე, კ. მარჯანიშვილი, გრ. რობაქიძე, ბენ. ჭიჭინაძე, ტ. ტაბიძე, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი და სხვა.

დასაწყისი საღ. 7 საათზე. სასწავლებლებს, დაწესებულებებს და ცალკე პირებს ბილეთების (უფასოდ) მიღება შეუძლიათ სამეც. და სახელ. დაწესებულებათა მთ. მმართველობაში (რუსთაველის პრ. № 31).

ბილეთები, რომლებიც დარიგებული იყო 20 მარტისათვის, გამოდგება ორშაბათს, 26 მარტს.

ხელოვნების ქრონიკა

◆ „ლატავრა"-ს არიები. გამოვიდა ოპერა „ლატავრა"-ს მთავარი არიების ნოტები.

◆ „ბ-ნ კიურის ხელობა". დღეს მუშათა თეატრში უკანასკნელად ამ სეზონში, რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ბ-ნ კიურის ხელობა".

◆ რუსთაველის თეატრში დღეს გაიმართება წარმოდგენა სომხურ ენაზე.

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა".

◆ „ოიდიპოს მეფე". 26 მარტს ოპერის თეატრში ა. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ოიდიპოს მეფე".

◆ სეზონის დახურვა. დაიხურა მუშათა თეატრის ქართული დრამის სეზონი.

◆ მხატ. ეჰინერის სურათები. განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი მმართველობის დავალებით ამხ. ბარონ ბიბინეიშვილმა შეიძინა ლენინგრადში მხატვარ ეჰინერის ნახატები ეთნოგრაფიული ხასიათისა, შეკრებილი 30-35 წლის წინად დასავლეთ საქართველოში.

აღნიშნული კოლექცია გადაეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას.

◆ ოთხშაბათს, 21 მარტს, მუშათა ცენტრალურ კლუბში, რეჟ. ვახ. აბაშიძე დასდგამს ექვს სურათიან რევოლიუციონურ პიესას „პროვოკატორს". მთავარ როლში—მუშ. თეატრის მსახიობი ქალი მ. დავითაშვილი. პირველი წარმოდგენა უფასოდ დაიდგმება მუშებისათვის.

◆ ხელოვანთა სასახლეში გაიხსნა წიგნსაცავ-სამკითხველო. სამკითხველო ღიაა ყოველდღე.

სასამართლო

გარყვნილების ბუდე

საბრალმდებლო სკამზე სხედან ანა და ევგენი ვაგნერები.

ანა უკვე მოხუცებული ქალია, მაგრამ ეხლაც შერჩენია გარყვნილი ქალის დაღი.

ევგენი ვაგნერი ნამდვილი დეგენერატის განსახიერებაა.

1917 წლიდან ცხოვრობდენ ისინი თბილისში. ჰქონდათ ბინა მოლოკნის ქ. № 29.

მათი ბინა წარმოადგენდა არალეგალურ საროსკიპოს, სადაც თავს იყრიდენ ნაძირალები და გარყვნილების გზაზე დამდგარი პირები.

ვაგნერებს ორი ბინა ჰქონდათ ერთ სახლში. ერთი იყო ზედა სართულზე, მეორე—ქვევით.

„სამპატიო" მუშტრებისათვის მისაღებათ ვაგნერებს ჰქონდათ მიჩნეული ზედა სართული, ხოლო უფრო „ნაკლებ ხარისხოვან" (ფულის მხრივ) მუშტრებს ქვედა სართულში იღებდენ.

ვაგნერებს ჰყავდათ სხვადასხვა მოვაჭრე ქალების მთელი შტატი. მათ ბინაზე ყოველთვის იყო წივილ-კივილი, აურ-ზაური და თავაწყვეტილი ქეიფი.

მდგმურებს მოსვენება არ ჰქონდათ. ურჩიოდენ და აფრთხილებდენ ვაგნერებს, მაგრამ უკანასკნელნი ყურსაც არ ათხოვებდენ მათ საყვედურებს.

ხელისუფლების ყურამდე მივიდა საჩივარი, რომ ვაგნერები მდგმურებს მოსვენებას არ აძლევენ. საქმეში ჩაერია სახლის კომიტეტი, რომელმაც წინადადება მისცა მათ ხელი აელოთ გარყვნილ ცხოვრებაზე, ან გადასახლებულიყვნენ სახლიდან.

თვალის ასახვევად ვაგნერებმა გააუქმეს თავიანთი „დაწესებულების" „ზედა-პალატა" ქვევით კი განაგრძობდენ თავიანთ ხელობას.

ვაგნერები თავიანთ წუმპეში ითრევდენ მცირეწლოვან და ახალგაზრდა ქალებს.

არა ერთი და ორი ახალგაზრდა ქალიშვილი მოხვედრია ვაგნერების ბადეში და სამუდამოთ გაუბედურებულა.

ასე განაგრძობდენ ვაგნერები თავიანთ ბინძურ საქმეს სანამ სისხლის სამართლის მილიციაში არ ამოჰყვეს თავი.

ვაგნერების საქმეს არჩევს თბილისის სამაზრო სასამართლო ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

„ზეიმით" საზეიმო სხდომაზე

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის კლუბში (ელბაქიძის დაღმართზე) საზეიმო სხდომა მიმდინარეობს.

პრეზიდიუმმა დაიკავა ადგილი და აუდიტორია ყურადღებით უსმენს მომხსენებელს.

სხდომის დარბაზის კარებს იქით მოისმის ჩოჩქოლი.

— გამიშვით, „მოხსენება" უნდა გავაკეთო,—იძახის ერთი.

— შენ რა მოხსენება უნდა გააკეთო, როცა ფეხზე ძლივს დგეხარ,—უპასუხებს მეკარე მთვრალ ახალგაზრდას.

უკანასკნელს გამოექომაგა მეორე, რომელიც „სერიოზულად" ამტკიცებს ეს კაცი მომხსენებელია და თვითონ კი „თანამომხსენებელი".

— ამხანაგო, დარბაზში შესვლა არ შეიძლება. ამხანაგი უკვე აკეთებს მოხსენებას. თქვენი „მოხსენება" რომ გამოფხიზლდებით, მაშინ გააკეთეთ! ეხლა მიბრძანდით აქედან,—მეკარემ ჩაიკეტა კარება.

დაუპატიჟებელმა „მომხსენებლებმა" სცადეს კარის შემტვრევა, მაგრამ ვერ მოახერხეს და ხელის ჩაქნევით მოშორდენ მას. ერთმა მათგანმა კლუბის მაგიდაზე თვალი მოჰკრა მანდოლინას.

არ გასულა ორი წუთი, რომ სხდომის დარბაზში აუდიტორიის გამახვილებული ყურადღება დაირღვა მანდოლინის დანჯღრეულმა ხმამ.

ერთი უკრავს, მეორემ აიყოლა ხმა „მარიტუნია".

— ამხანაგებო, რატომ გვიშლით ხელს,—გამოდის დარბაზიდან პრეზიდიუმის წევრი და უსაყვედურებს.

— ხელს თქვენ გვიშლით!—განაგრძობენ თავისას მთვრალი ახალგაზრდები. ერთმა „მიულოცა" პრეზიდიუმის წევრს.

— აქ სამიკიტნო ხომ არ გგონიათ! ეხლა დასტოვეთ კლუბის შენობა. ვერა ხედავთ საზეიმო სხდომაა?—უყვირის დარბაზიდან გამოსული აღშფოთებული მოქალაქე.

— საზეიმო სხდომაზე ზეიმი უნდა! ჩვენაც ვზეიმობთ,—ჩამოუარა ლეკური მეორემ.

როცა ზრდილობიანმა ლაპარაკმა არ გასჭრა, გამოძახებულ იქნენ მილიციონერები.

მთვრალი ახალგაზრდები დააპატიმრეს. ერთი აღმოჩნდა ივანე ამატუნი და მეორე—კონსტანტინე დოლგოლევი.

სამორიგეო კამერამ ივანე ამატუნს, (პრამიკა თუ „მომხსენებელს") მიუსაჯა ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო კონსტანტინე დოლგოლევს—2 კვირით.

ჯერ, „გამარჯობა" და შემდეგ მუშტი

რუბენ შატბეროვი. ნასვამი მიდის ქუჩაში, „ანჩხლი" კაცია რუბენი. გამვლელ მოქალაქეებს უწუნებს ყოფა-ქცევას. არც გარეგნობა მოსწონს ბევრის.

— გამარჯობა შენი! სად მიჩერჩეტებ,—ეუბნება შატბეროვი თავის ნაცნობ მოქალაქეს, გვარად ანდრიასოვს.

— გაგიმარჯოს!..

— ყმაწვილო, რას იბერები! სთქვი მარიფათიანად „გაგიმარჯოს".

— ყველას ხომ თქვენსავით „მარიფათი" არ აქვს, ჩემო რუბენ.

— აბა მე გასწავლი მარიფათს...

შატბეროვმა „მარიფათიანად" სილა გააწნა ანდრიასოვს, რომელიც იქვე თავ-ბრუ დახვეული დაეცა ფილაქანზე.

— რას ერჩოდი ამ კაცს,— ეუბნება შატბეროვს ამ ამბავზე მოსული მილიციელი და ხელს ჰკიდებს წაქცეულ მოქალაქეს.

შატბეროვი დაჭრილ მილიციელს ჩამოეკიდა რევოლვერზე და წართმევას უპირობს. ართმევს.

მილიციელმა ერთი ხელის მოქნევით მოიგერია თავდამსხმელი, რომელმაც კიდევ მოინდომა იერიშის მიტანა რევოლვერის ხელიდან გამოსართმევად.

— აბა, „ხუმრობას" თავი გაანებე! ვარდება ჩემი რევოლვერი,—მილიციელმა დაანახვა შატბეროვს რევოლვერის ლულა.

— შერცხვეს ვინც უკან დაიხიოს,—დაიძახა შატბეროვმა და იძრო ჯიბიდან დანა.

— რატომ უნდა შემომაკლა თავი, გაჩერდი ამხანაგო შენთვის.

შატბეროვმა მილიციელს ხელზე დაჰკრა დანა. დაჭრილმა მილიციელმა გაისროლა რევოლვერი და ფეხში დასჭრა ხულიგანი.

შატბეროვი დაპატიმრებულია. საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

ბეჩ.

ავიაქიმში

ა. ქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პლენუმი

შაბათს, 24 მარტს ა. ქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ბინაზე შესდგება ამავე საზოგადოების პლენუმი.

პლენუმს დაესწრებიან ამხანაგები, როგორც თბილისიდან, ისე ავტონომიურ რესპუბლიკებიდან და მაზრებიდან.

ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

მიმდინარე წლის მარტის ბოლო რიცხვებში მოსკოვში გაიხსნება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს პლენუმი. პლენუმზე დასასწრებლად საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ავიაქიმები აგზავნიან თითო წარმომადგენელს.

სამაზრო ორგანიზაციების გამოკვლევა

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება შეუდგა საზოგადოების სამაზრო ორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევას. ამ მიზნით მაზრებში მივლინებულ იქნა ინსტრუქტორები.

ავიაქიმი წითელ ჯარში

№ ქართ. მს. ლეგიონის მე-2-ე ასეულის თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედი შეუდგა პრაქტიკულ მუშაობის წარმოებას წევრებს შორის. ამ მიზნით კვირაში სამჯერ ავიაქიმის კუთხეში იმართება საუბარი ავიაქიმის მნიშვნელობაზე საომარ და მშვიდობიან დროს. ავიაქიმის უჯრედმა გამოჰყო რამოდენიმე ამხანაგი, რომლებსაც დაევალა მუშაობის წარმოება სამშეფო სოფელში.

რკინისგზებზე

მატარებლის დამტვრევა

20 მარტს სადგ. არაქსიდან სარდარაბადისაკენ გაგზავნეს საბარგო მატარებელი.

როცა მატარებელი სადგ. სარდარაბადს მიუახლოვდა, მიუხედავად იმისა, რომ სემაფორი დაკეტილი დახვდა, არ გაჩერდა და შევიდა სადგურის ხაზებზე.

ამ დროს სადგურში მანევრებს აწარმოებდა მეორე საბარგო მატარებელი.

არაქსიდან წამოსული მატარებელი დაეჯახა სადგურში მყოფს. დაჯახების დროს დაიმსხვრა ოთხი ვაგონი და დაზიანდა ორთქლმავალი.

ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

ხაზი გაწმინდა ერევნიდან გაგზავნილ დამხმარე მატარებელმა.

ჭადრაკი

პროფკავშირთა მასიური ტურნირი

პროფკავშირთა მასიური ტურნირის პირველი და მეორე ტური შესდგა ორშაბათს, 19 მარტს მუშათა ახალი კლუბის დასასვენებელ დარბაზში. ორივე ტურში მონაწილეობა მიიღო თბილისის 250 მოჭადრაკემ (რკინისგზელ მოჭადრაკეთა გარდა).

ტურნირში წააგო 90 კაცმა. მეორე ტურის შემდეგ ტურნირში მონაწილეობას იღებს 160 კაცი. დამარცხებული მონაწილენი ტურნირიდან გამორიცხულნი არიან ტურნირის ჟიურის მიერ მიღებულ პირობების თანახმად (1 წაგება, 2 ყაიმი, ½ წაგება და 4 ყაიმი იწვევს მონაწილის მექანიკურად გამოსვლას ტურნირიდან).

გუშინ, 20 მარტს შესდგა ტურნირის მესამე და მეოთხე ტური. მონაწილეობა მიიღო 160 კაცმა. თამაში გაგრძელდა 6 საათი. ორ-ორჯერ წააგო 63 კაცმა, რომლებიც საერთო წესის მიხედვით გამორიცხულ იქნენ ტურნირის შემადგენლობიდან.

პარასკევს, 23 მარტს, საღამოს 7 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბში შესდგება ტურნირის ფინალი; ფინალში გამარჯვებული 10 მოჭადრაკე ადგენს მასიურ ტურნირის ჩემპიონატს, რომელშიაც ყოველი მონაწილე ითამაშებს თითო პარტიას. ჩემპიონატში გამარჯვებული 3 მოჭადრაკე პროფსაბჭოს კულტ-განყოფილების მიერ დაჯილდოვებული და მიწვეული იქნება ქ. თბილისის 1929 წლის მცირე ჩემპიონატზე.

მცირე ჩემპიონატის გახსნა

დღეს, 21 მარტს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნება ქ. თბილისის მოჭადრაკეთა მცირე ჩემპიონატი. ჩემპიონატში მონაწილეობას იღებენ კვალიფიციურ მოთამაშეთა წინასწარ შეჯიბრში გამარჯვებული მოჭადრაკენი (მეორე და მესამე კატეგორიის).

მცირე ჩემპიონატის პირველ ტურში თამაშობენ: წერეთელი, ლევენტის, ვარტაზაროვი, [illegible], თარასოვი; [illegible], მეხსუთელი; სტრელჩიკოვი და ბერიძე.

მცირე ჩემპიონატში გამარჯვებული [illegible] იქნება მიწვეული ქ. თბილისის 1929 წლის დიდ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

დიდი საზაფხ. ტურნირი

ხვალ, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შესდგება დიდი საზაფხ. ტურნირის წინასწარი შეჯიბრი. ჯგუფებრობით პირველ რიგში მიდიან: სმირნოვ, ხალატოვი, რაქანტი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 21 მარტი

დღეს, 21 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება: საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ბოროტმოქმედთა გამოსწორების დარგში—ქართულ ენაზე.

მიწსახკომის მოხსენება: როგორ უზრუნველვყოთ მუდმივი შემოსავალი საგლეხო მეურნეობაში—ქართულ ენაზე.

მოხსენება: საბჭ. კავშირის ელექტროფიკაცია—რუსულ ენაზე.

მოხსენება: საბჭოთა კოოპერაციის როლი საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობაში—ქართულ ენაზე.

მოხსენება: გრიპი და მასთან ბრძოლა—სომხურ ენაზე.

საუბარი რადიო-ტექნიკაზე—ქართულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობები.

ოპერა „ლატავრა"-ს ტრანსლიაცია.

პასუხი რადიოს მოყვარულთა წერილებზე.

ა. კ. დეპეშითა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

სტენოგრაფისტთა ცოდნის შემოწმება

შრომის ბირჟის კომიტეტმა დაადგინა გამოჰყოს საექსპერტო კომისია სტენოგრაფისტთა ცოდნის ხარისხის გამოსარკვევად.

კომისიაში შედიან: ამხ. ჯუღელი, თილაკვაძე, კაზლოვსკი და კვინიკაძე.

ქალაქის გამწმენდი არტელი

აქამდი თბილისში არსებობდა კერძო არტელი („ასენიზატორი"), რომელიც აწარმოებდა ქალაქის ნაგვისაგან გაწმენდას. ამჟამად აღნიშნულ არტელის მაგიერ შრომის ბირჟასთან დაარსდა ქალაქის გამწმენდი კოლექტივი. ამ კოლექტივის მიზანია ერთის მხრით მეტი სისუფთავე დაიცვას ქალაქში და მეორე მხრით რაციონალურად გამოიყენოს შრომის ბირჟაში დაგროვილი არაკვალიფიციური მუშა-ხელი.

ამ კოლექტივში პირველ რიგში ჩაბმული იქნება 300 კაცამდე. შემდეგ კი ეს რიცხვი უნდა გადიდდეს 2½-ჯერ.

ამ საქმისათვის შრომის ბირჟამ გადასდო 7.000 მანეთი.

მეცნიერება და ტექნიკა

მიწისქვეშა ტრამვაი

ლონდონში მოაწყვეს ახალი სისტემის მიწისქვეშა რკინის გზა. ორი-სამი ვაგონიდან შედგენილი მატარებლები ივლის ისე, რომ მათზე ადამიანი არ იქნება. მათ მოძრაობაში მოიყვანენ ავტომატიურად ცენტრალურ სადგურიდან. მატარებლები ივლის 55 კილომეტრის სისწრაფით საათში.

იოდი სოფლის მეურნეობაში

ჩეხმა აგრონომმა სტოკლაზამ დაამტკიცა, რომ შესაძლებელია შაქრის ჭარხლის მოსავლის საგრძნობლად გადიდება იოდის შენაერთების გამოყენებით (ორი კილო ჰექტარზე). შვეციაში და ჰოლანდიაში ფართე მასშტაბით აწარმოებენ ამ აღმოჩენის შემოწმებას.

4—6 გირვანქიანი პამიდორი

ხანგრძლივი ცდებისა და ხუთი წლის განმავლობაში შერჩევის შემდეგ ერთმა აგრონომმა კანზასის შტატში (შეერთებული შტატები) მოახერხა გამოეყვანა დიდნაყოფიანი უთესლო პომიდორი. ახალი ჯიშის პომიდორის ღერო 37 ფუტს (7 საჟ. და 2 ფუტ.) უდრიდა. პირველი მოსავლის ერთ-ერთი ნაყოფი ოთხ გირვანქამდი იწონიდა. მიუხედავად ამისა, ხსენებულ აგრონომს არ აკმაყოფილებდა მიღწეული შედეგი და ის განაგრძობს მუშაობას გამოყვანილი ჯიშის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, კერძოდ შაქრის რაოდენობის გადიდებისათვის პომიდორებში.

ხორბლის დაფქვის ახალი სისტემა

ამერიკაში უკანასკნელ ხანებში ხორბლის დასაფქვავად სარგებლობენ მეტად მოხერხებული წესით. ხორბალს ათავსებენ ჰერმეტიულად დახურულ ქვაბებში, რომლებშიაც 80—100 ატმოსფერის წნევის პირობებში უშვებენ ორთქლს. შემდეგ ქვაბების სახურავს ერთბაშად ალებენ და რამოდენიმე წამის განმავლობაში წნევა მათში სწრაფად ეცემა. ამ დროს ხორბლის მარცვლებში შემდეგი პროცესი ხდება: მარცვლის ყველა უჯრედებში შეჭრილი ორთქლი უცებ ფართოვდება და მარცვალს აფეთქებს შიგნიდან: ხორბალი იქცევა მშვენიერ ფქვილად. ახალი მეთოდით სარგებლობენ არა მარტო ხორბლის დასაფქვავად, არამედ ყველა შემთხვევებში, როცა საჭიროა რაიმე მასის წვრილად დაფქვა და სხ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქარ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, 21 მარტს, დღის 2 საათზე დანიშნულია თათბირი რომელზედაც მოწვეულნი არიან: ამხ. ხაჭაპურიძე, მთვარელიძე, იმედაძე, ჩხარტიშვილი, ალაგარდიანი; კეცარიძე; მხითარიოვი, ხუნდაძე, სულაქველიძე, ამაღლობელი, გეგენავა; კალაძე, ზუდილევა, დ. ცხაკაია; გოგუაძე; გვაზავა, ფ. მახარაძე, ტოროშელიძე; ავაქოვი; მგელიძე, დ. კანდელაკი, ვარძიელი; სურგულაძე და არტ. კვირკაძე.

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 22 მარტს, საღამოს 5 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მეორე დახურული პლენუმი რაიკომების წევრ-კანდიდატებთან ერთად.

პლენუმის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სამკ. ფაკ-ს არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინებს ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 21 მარტს საღამოს 5 საათზე შესდგება ამავე უჯრედის მორიგი კრება. დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა. ამასთანავე უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები კომკავშირში მიღების შესახებ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო - კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. გაბრიელ აბობაძეს და ელენე კამიანს გამოცხადდენ დღეს, 21 მარტს, საღამოს 6 საათზე მე-4 რაიკომში, პარტიაში მიმღებ კომისიის სხდომაზე.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო - კოლექტივის სხდომა დანიშნულია დღეს, 21 მარტს, საღამოს 5 საათზე. წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკ. არსებულ პარტ-კოლექტივის ბიურო იტყობინებს, რომ დღეს, სრულ 11 საათზე ამიერ-კავკასიის კოოპერატიული კავშირის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 34 ამხ. კანდელაკის კაბ.) შესდგება პარტ-კოლექტივის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 21 მარტს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში (ტატიანის ქ., № 2) შესდგება არსრაიკომის ქალთა სადელეგატო კრება.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 21 მარტს, საღამოს 6 სათ.-ზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მიმღებ კომისიის სხდომაზე:

მე-7-დე უჯრედიდან: ეკატერინე ზორენკო, ევგენია ანიკაევა, ალექსანდრა პოპოვა, სირანუშ ბალდასაროვა, ედუკი არიბჯანოვა, მარიამ ჩიყველაძე, ნინო სვანიშვილი, მარიამ ენისკელოვა, ვერა ივანოვა, მარიამ გლაზოვა, ნინა ხუბაშვილი; სოფიო ნერსესოვა, ვარვარა ქავთარაძე, მე-48-ე უჯრედიდან: იშუ ბიტ-სარგიზი, ლევან მანუკიანი, მე-12-ტე უჯრედიდან: მიხეილ ჩოდრიშვილი, ზ. ზვიაგილსკი, მე-18-ტე უჯრედიდან: ალექსანდრე მჭედლიშვილი, მე-40-ე უჯრედიდან: ბორის ჩხეიძე, რაფიელ კაჭარავა, მე-37-ტე უჯრედიდან: კლემენტი გრიგოლია, მე-18-ტე უჯრედიდან: ართავაზ სიმონიანი, გურგენ გუკასიანი, სტეფანე ზაზაიანი, მიხეილ ზრიაგერზინი, მურშუდლი ჯაფაროვი; მარიამ აბრამოვა, გრიგოლ დავიდოვი, ჯამალ მაქსიმოვი, კარლ ზარიგიინი, ლევ ლიდინი, ნაუმ პრიკტი; კიპრიან მიხაილოვი, ლევ კლეპშინსკი, ვარია მურადოვი, მე-78-ტე უჯრედიდან: მარიამ მუსაელიანი, დარია გარიბოვა, მე-68-ე უჯრედიდან: გიორგი ხომერიკი, მე-27-დე უჯრედიდან: არტაშეს მარკაროვი, მე-22-ე უჯრედიდან: ელენე კალოიანი, გაბრიელ ახობაძე, მე-11-ტე უჯრედიდან: არჩილ დარბაისელი, მე-63-ე უჯრედიდან: გრიგოლ სიხარულიძე, მე-29-ე უჯრედიდან ალექსანდრე ჯებაშვილი, მე-15-ტე უჯრედიდან: იოსებ ტიტოვი, მე 48 ე უჯრედიდან: მარიამ კარსაულიძე ელისაბედ გრიგოლაშვილი, ბარბალე კვაგინაძე, ნინო [illegible], ოლღა სიხარულიძე; [illegible] კალანდაძე, ალექსანდრა ჩიკოვანი, თამარა ხოშტარია, თამარ ჩხეიძე, პლატონიდა დოლაქიშვილი, ვენერა ჩხეიძე; ელენე ბერიშვილი, ზაზილინა ფალიანი, ნინო მაცაბერიძე, სოფიო ჯანელიძე, მაღლენა იაგორაშვილი, ესასი გვაშელი, ანა არუთინოვა; ანიკო ხანეთაშვილი, ელენე ფალიანი, ბარბალე გოხელაშვილი.

სამუდამოდ გულდათუთქულნი და უღრმეს მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ივდითი, შვილები: გიორგი, გრიგოლი, დიმიტრი და შურა გორდელაძეები, რძლები: ანნა, ეკატერინე და გალია, ქალიშვილები: ნეოლინა ზიმინისა, ლიდა ორჯონიკიძისა, ელენე და მარიამ გორდელაძეები, სიძეები: ამბროსი ზიმინი და იაკობ ორჯონიკიძე, შვილიშვილები: თამარი, გოგუცა, ნინა, ლილი, თინა, მერი, გერა, რუსუდანი, ოთარი და თეიმურაზი აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 18 მარტს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ქაიხარ იესეს-ძე გორდელაძე

დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 22 მარტს ქალ. ოზურგეთის სასაფლაოზე.

რიონის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო იუწყება, რომ 18 მარტს, დღის 12 საათზე მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მთავარ ინჟინრის მოადგილე და ელექტრო-მექანიკურ განყოფილების უფროსი ინჟინერ-ტექნოლოგი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ვასილიევი

სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს, 21 მარტს, საღამოს 7 საათზე. პროფსაბჭოს დარბაზში. გამოსვენება იქიდანვე. დაკრძალვა ხუთშაბათს, 22 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. ნ. 802 2—2

საქართველოს ტექნიკურ საზოგადოების ელექტრიკთა სექცია აცხადებს, რომ 18 მარტს დღის 12 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა „ზაჰესის" აშენების ერთი მთავარ ინიციატორთაგანი, საქართველოს და მთელი ა/კ. ფედერაციის ელექტროფიკაციის დიდი მოღვაწე ინჟინერი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვასილიევი

სამოქალაქო პანაშვიდი ოთხშაბათს 21 მარტს, საღამოს 7 საათზე. პროფსაბჭოს დარბაზში გამოსვენება იქიდანვე. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 22 მარტს. ნაშუადღევის 4 საათზე. 1872

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველოს დირექცია და თანამშრომელნი გულითადი მწუხარებით იუწყებიან, რომ 18 მარტს, დღის 12 საათზე გარდაიცვალა ზაჰესის ელ-მექანიკურ განყოფილების ყოფილი უფროსი ინჟინერი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვასილიევი

გამოსვენება პროფსაბჭოს დარბაზიდან. ხუთშაბათს 22 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1878

აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგურის საამშენებლო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ 18 მარტს ქ. თბილისში გარდაიცვალა აბჰესკომის

კონსულტანტი პროფესორი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე ვასილიევი

2—1 ნ. 806

აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგურის სამუშაოთა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება აბჰესის

კონსულტანტი პროფესორი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვასილიევის

გარდაცვალებას ქ. თბილისში 2—1 ნ. 806

აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგურის თანამშრომლები იგლოვებენ ღრმად პატივცემულ და საყვარელ

პროფესორ-ინჟინერის

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვასილიევის

უდროოდ გარდაცვალებას 2—1 ნ. 806

ელენე გრიგოლის ასული, მაკრინე აბელის ასული არჩილ აბელისძე მეუღლეთი ელენეთი ბაირამაშვილები, ქეთევან აბელის ასული ტატიშჩევი შვილებით: გლებით და რუსუდანით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 18 მარტს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი სიძე და მეგობარი

ინჟინერი-ტექნოლოგი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ვასილიევი

პანაშვიდი დღეს 21 მარტს, საღამოს 7 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში, გამოსვენება იქიდანვე ხუთშაბათს, 22 ნარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1871

ს.ა.ლ.კ.კ. სენაკის სამაზრო კომიტეტი მწუხარებით იუწყება სამკომის პრეზიდიუმის წევრის, სამკომის ინსტრუქტორის, ერთ-ერთ აქტიური მუშაკის, ორგანიზაციის საყვარელ მებრძოლ ამხანაგის

ალექსანდრე (სუტა) წერეთლის

უდროოდ ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა სოფ. თევლათში 20 მარტს. 1880

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, 21 მარტს (მე-3 წარმოდგენა) **ლატავრა**

სახ. არტ. ზ. პ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერა 5 მოქმედ. მონაწ. კრასნიცკაია, ბოლხანეცკაია, ქუმსიაშვილი, ვენაძე, მეხნიაევი, ქურხული, ფრიდლოვი, გაეცკი, ბოლხანოვი, ხვანიძე და სხვ.

დადგმა ა. ახმეტელისა, დირიჟ. სახ. არტ. ი. პ. ფალიაშვილი

ანონსი: ხუთშაბათს 22 მარტს, მოსკოვის აკად. დიდი თეატრის პრემიერის დ. დ. ბოლოტინის მე-2 გასტროლი რიგოლეტო.

ნ. 805

სახკინმრეწველის თეატრები

აპოლო	„განკიცხულნი" ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად
არფასტო	უკანასკნელად თბილისში „ნიბელუნგები" 1 და 2 სერია ერთად
სოლეი	პირველად თბილისში, ამერიკული მხატვრული შედევრი მეზღვაურის მეგობარი ქალი
დარბაზი	ამერიკული ტრიუკ-ფილმი კინო-რომანი 4 სერიად აფრიკის ქალიშვილი 1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	უკრაინის ფოტო-კინოს ფილმი ბელვედერის ჩრდილები
პროლეტარი ავლაბარი	გრანდიოზული ფილმი სოდომი და გომორა

ანონსი მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь" 0—16

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნაშ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელიმენი 11—78 25—0

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზ. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

შორაპნის მაზრის პირდაპირ გადასახადთა ინსპექცია

აცხადებს, სახელმწიფო, კოოპერატიულ დაწესებულებების და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება ქვემოდ ჩამოთვლილ შავი ქვის მრეწველთა ქონება, მათზე რიცხულ სახელმწიფო გადასახადების ნარჩენების ასანაზღაურებლად.

I. ა. წ. 27 მარტს დღით სამშაბათს დილის 10 საათზე ქალ. ჭიათურაში—ნინოშვილის ქუჩაზე—ქონება დაფასებული 3.500 მან., რომელიც ეკუთვნის მოქ. ჯიბო იოსების-ძე აბაშიძეს: 1) სავაჭრო დუქნების შენობები სამი თვალი შირეული მასალიდან აგებული და ქვიტკირით დახურული (№№ 141, 142, 143).

II. ა. წ. 28 მარტს დღით ოთხშაბათს დილის 10 საათზე პატარა ჭიქაურაში—საფარში (ჭიათურის ახლო) პლატონ გიორგის-ძე ჩაჩანიძის და ვლადიმერ რუხაძის კუთვნილი ქონება, დაფასებული 2000 მან. სახელდობრ: შავი ქვის სარეცხი ქარხნის მატორი—40 ძალიანი.

III. ა. წ. 27 მარტს დღით სამშაბათს დილის 10 საათზე ქ. ჭიათურაში, ქონება დაფასებული 1540 მანეთად, რომელიც ეკუთვნის მოქ. კიმოთე ვაშაძეს და ამხ-ს: 1) გარეცხილი შავი ქვა 8500 ფუთი, 2) რკინის ბოჭკები 4 ცალი და 3) სანავთე ქვაბი 1 ცალი. ვაჭრობა დაიწყება შეფასებული ფასებიდან.

თუ ვინცობაა ვაჭრობა არ შესდგა, მეორე ვაჭრობა გადატანილი იქნება ა. წ. 10 აპრილისათვის ზემოაღნიშნულ მისამართით.

1877. შორაპნის მაზრის პ. გ. ინსპექცია.

მედიც. დოქტორი

ვ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

თბილისის ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 22 მარტს შუადღის 12 საათზე, სასახლის ქუჩაზე № 3, ფინსახკომის ვალების გასასტუმრებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

150 ფუთი სალებავების, საგალანტერიო საქონლის, კამოდების, გარდერობების და სხვა საბინაო ნივთების გასასყიდად. ნ. 804

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ შაბათს 24 და კვირას, 25 მარტს დილის 11 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 803

ყვარელის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ნ. შ. შამანაური

აცხადებს, რომ იგი ა. წ. 29 მარტს დღის 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის ცხრა სულ მსხვილფეხა საქონელს, შეფასებულს 380 მანეთად, ერთ ფაშატ ცხენს კვიცით და ერთ ულაყ ცხენს—290 მანეთად და ერთ პურის ზელელს—300 მან., რომელიც ეკუთვნის ს. ჭიკაანში/მცხ. გიორგი პართენიშვილს და გაიყიდება მართა პართენიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ყვარლის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა № 1384—27 წ.

უკეთუ ვაჭრობა დანიშნულ ვადაზე რაიმე მიზეზით არ შესდგა, იგი გადადებულ იქნება 1928 წ. 5 აპრილისთვის № 106. 1879

დაიკარგა: სალექციო წიგნაკი მატრიკული № 2712 და კოოპერატივის წიგნაკი № 9974 ალექსანდრე დავითისძე მიქაბერიძის სახელზე, ჩ. გ. 1881

დაიკარგა სოც. უზრუნველყოფის განყოფილებიდან მიცემული მოწმობა ფაზი კუთუევას სახელზე, ჩ. გ. 1876

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომლებიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, გუდიაშვილის ქ., № 20 26—4

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ლუნაჩარსკის შესახვევი) № 8.

ქ. ქუთაისი

ექ. თ. ვ. ბოლქვაშვილი

შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ. 4—6 საათ. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი"

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიერის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება ფსიქიატრიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორესის ქ. კუთხე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ეფრონ-ცეიტის ძველი მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

დაიკარგა: საბინაო დავთარი (ლოტკინის ქ. № 15) ბინა ალექსის ასული დემეტრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1875

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—25

ქუთაისში

ექ. დ. ჩეჩელაშვილი

გადავიდა ახალ ბინაზე ჭავჭავაძის ქ. № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებს. მიღება დილის 8—12 საათ. 13—1

ექიმი

ნ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

დაიკარგა: უვადო პასპორტი და ობლიგაციის ქვითარი მიხაკ მელიქოვის სახელზე, ჩ. გ. 1873

დაიკარგა ერკაპის წიგნაკი № 8736 ვიქტორ ნათიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა: სამთამადნო კავშირის საწევრო წიგნაკი № 3468 გიორგი მიხეილისძე ჯაფარიძის სახელზე, ჩ. გ. 1874

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68